



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტციხერი პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი, სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

DEUTSCHE STIFTUNG FÜR INTERNATIONALE RECHTLICHE ZUSAMMENARBEIT E.V.



Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz

პროფესორ, სამართლის დოქტორ, საპატიო დოქტორ ჰაინერ ალვარტისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა – 2

შინაარსი

სტატიები

- ქართული სისხლის სამართლის განვითარების და სისხლის სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი**
პროფესორი, სამართლის დოქტორი *მერაბ ტურავა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 75
- ექსპანსიური სქესობრივი დანაშაულების სისხლის სამართალი**
პროფესორი, სამართლის დოქტორი *ედვარდ შრამი*, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი 85
- გაუფრთხილებლობით დანაშაულში ობიექტური და სუბიექტური მასშტაბის მნიშვნელობა**
ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი *ლევან ხარანაული*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 93
- კორპორაციული დანაშაული: დამნაშავე კორპორაციის მოდელის საჭიროება?**
ასისტენტი, სამართლის დოქტორი *ანრი ოხანაშვილი LL.M.* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე 100
- ბულინგის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა**
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი *მორის შალიკაშვილი, LL.M.* (ჰამბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 106
- მოთივი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში**
ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი *თემურ ცქიტიშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი 116



სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე
ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი და ვიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლაერენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი LL.M.
(იენა)
დოქ. ანეკე პეტცუე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩეანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი-პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2021 წლის მესამე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

ხატია თანდილაშვილი LL.M. (პოტსდამი), ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
ნინო ქოჩიაშვილი LL.M. (იენა), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ლევან კასრაძე LL.M. (ოსლო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

2021 წლის მესამე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ),
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

ქართული სისხლის სამართლის განვითარების და სისხლის სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი

პროფესორი, სამართლის დოქ. *მერაბ ტურავა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

I. შესავალი

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ რეფორმებსა და განვითარებაზე, რომელიც საქართველოში მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში განხორციელდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანულ-ქართულმა თანამშრომლობამ, რაც გამოიხატა გერმანელი და ქართველი კოლეგების მიერ არაერთი პროექტის განხორციელებაში, მათ შორის, ღრმად პატივცემული იუბილარის – პროფესორ *ჰაინერ ალვარტის* მონაწილეობით.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბოლო ათწლეულების მანძილზე, გერმანულმა სამეცნიერო და კულტურულმა ინტერვენციამ საქართველოში თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. არაერთმა სტუდენტმა, მეცნიერმა და პრაქტიკოსმა იურისტმა, სასწავლო და სამეცნიერო მივლინებებით, გერმანიაში მიიღო კარგი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება, რომლის შედეგები აისახა და მომავალში კიდევ უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენს ჩვენი იურისტების სამეცნიერო, პედაგოგიურ, პრაქტიკულ საქმიანობაზე, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროში. მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ის ურთიერთობები, რომელსაც გერმანულ-ქართული თანამშრომლობა ჰქვია და უკვე ათეული წლებია მიმდინარეობს.

წლების მანძილზე ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი აქტიური თანამონაწილეა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი *ჰაინერ ალვარტი*.

II. სისხლის სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული თანამშრომლობის მოკლე მიმოხილვა

ქართველი სისხლის სამართლის პროფესორები, განსაკუთრებით, *თინათინ წერეთელი*, *ვლადიმერ მაყაშვილი* და *ოთარ გამყრელიძე*, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აქტიურად სწავლობდნენ დასავლეთგერმანულ სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურას, რაც აისახა კიდევ მათ სამეცნიერო ნაწერებში. სამეცნიერო თანამშრომლობა დასავლეთგერმანულ სისხლის სამართლის პროფესორებთან კი დაიწყო, ჯერ კიდევ, ე.წ. სტაგნაციის პერიოდში, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან. სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი გერმანული და საბჭოთა სისხლის სამართლის სამეცნიერო კოლოკვიუმებს სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში.¹ ეს იყო ფრაიბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტისა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მოღვაწე სისხლის სამართლის სამეცნიერო საზოგადოების დიალოგი, რომელიც, „ცივი ომის“ მიუხედავად, მაინც შედგა. უფრო მეტიც, მან საფუძველი ჩაუყარა სისხლის სამართლის სფეროში გერმანულ-ქართულ აქტიურ სამეცნიერო თანამშრომლობას. *თამაზ შავგულიძემ*, *ოთარ გამყრელიძემ*, *მინდია უგრეხელიძემ* და სხვა არაერთმა ქართველმა მეცნიერმა დაამყარა სამეცნიერო კავშირები მსოფლიოში ცნობილ საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს-პლანკის ინსტიტუტთან, რომლის დირექტორი იყო მსოფლიოში აღიარებული პრო-

¹ იხ. *Jescheck, Hans-Heinrich/Kaiser, Günther/Eser, Albin, Erstes Deutsch-Sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie, 1982*; იხ. ასევე *Jescheck, Hans-Heinrich/Kaiser, Günther/Eser, Albin, Zweites Deutsch-Sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie, 1985*.

ფესორი ჰანს ჰაინრიხ იეშეკი.² გერმანული და საბჭოთა სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის მეორე სამეცნიერო კოლოკვიუმი ჩატარდა სწორედ საქართველოში, 1982 წლის შემოდგომაზე. მასხენდება ჩემი შეხვედრები პროფესორ იეშეკთან (2002), ასევე პროფესორ როქსინთან (2009), როცა მათ გაიხსენეს საქართველოში ჩატარებული ეს კოლოკვიუმი და მასში მონაწილე ქართველ მეცნიერებთან დაწყებული გერმანულ-ქართული დიალოგი.³

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა გერმანულ-ქართული თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში. ერთ-ერთი ასეთი თანამშრომლობის მაგალითია ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული სამეცნიერო პროექტი იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო კოლოკვიუმები, შეიქმნა ნაშრომი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, რომელიც შედგება ორი წიგნისაგან.⁴ 2011 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა სისხლის სამართლის მეცნიერთა პირველი სიმპოზიუმი ქართველი და გერმანელი პროფესორების და სხვა აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო პროფესორი ალვარტი. ამ სიმპოზიუმის მასალები გამოიცა ცალკე წიგნად.⁵

² ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი იყო 1966-1982 წლებში. იგი აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სისხლის სამართლის მეცნიერად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის ავტორობით გამოსული წიგნი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (სულ 5 გამოცემა), ერთ-ერთ ყველაზე ციტირებად სახელმძღვანელოს წარმოადგენს აკადემიურ სივრცეში.

³ კოლოკვიუმის მასალები იხ. *Jescheck, Hans-Heinrich/Kaiser, Günther/Eser, Albin* (1985).

⁴ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, პირველი წიგნი, 2011; *მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, მეორე წიგნი, 2011.

⁵ იხ. *ტურავა, მერაბ* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში (სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული), 2013.

III. სამართლებრივი სისტემის ტრანსფორმაცია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. სარეფორმო მუშაობა მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში

1. გერმანული სისხლის სამართლის აზროვნების ზეგავლენა ქართული მატერიალური სისხლის სამართლის განვითარებაზე

ა) მოკლე ისტორიული ექსკურსი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი, გაერთიანდა გერმანია, დასრულდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირება და დამთავრდა ცივი ომის (1946-1991 წლები) პერიოდი, რამაც გახსნა ჩაკეტილი გარემო და ახალი პერსპექტივები დაუსახა გერმანულ-ქართულ თანამშრომლობას სისხლის სამართლის სფეროში. თუმცა, მიუხედავად „ცივი ომისა“, ქართული სისხლის სამართლის განვითარება, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იმყოფება გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენის ქვეშ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, *თინათინ წერეთლის* მიერ გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით, ქართული მატერიალური სისხლის სამართლის განვითარება.⁶ მოგვიანებით, ასევე გერმანული სისხლის სამართლებრივი აზროვნების ზეგავლენით, *ოთარ გამყრელიძემ* შექმნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი.⁷

ქართულ სისხლის სამართალში, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით, თავდაპირველად განვითარდა დანაშაულის კლასიკური და ნეოკლასიკური სისტემები. ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან *თ. წერეთელმა* და *ვ. მაყაშვილმა*⁸ დაინ-

⁶ ამ ზეგავლენის შედეგია *თინათინ წერეთლის* არაერთი ნაშრომი: „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ (1963), „მოძღვრება დანაშაულზე“ (1969), „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (1961), „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965).

⁷ *ოთარ გამყრელიძის* ნაშრომები ეძღვნება შემდეგ თემებს: „დანაშაულის შუალობით ამსრულებლობა და თანამსრულებლობა“ (1974), „სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“ (1989).

⁸ იხ. *წერეთელი, თინათინ/მაყაშვილი*, ვლადიმერ, Состав преступления как основание уголовной ответственно-

ყეს მუშაობა დანაშაულის სისტემის სტრუქტურის აგებისათვის, რადგან, როგორც *ოთარ გამყრელიძე* მიუთითებს, დანაშაულის ცნების ჩამოყალიბებას, მთელი სისხლის სამართლის სისტემის შემუშავებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ გაიაზრეს და ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გადმოიტანეს გერმანულ სამართლებრივ დოგმატიკაში შემუშავებული დანაშაულის ცნების სამსაფეხურიანი სტრუქტურა, რომლის მიხედვით, დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.⁹ მიუხედავად, ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურ სოციალისტურ რევოლუციამდე, რუსულ სისხლის სამართალზე გერმანული სისხლის სამართლის ძლიერი ზეგავლენისა, რუსულ საბჭოურ სისხლის სამართალში ვერ განვითარდა დანაშაულის ცნების სამსაფეხურიანი სტრუქტურა. ამ საკითხზე პოლემიკა მიმდინარეობდა ცნობილ ქართველ მეცნიერ *თ. წერეთელსა* და ცნობილ რუს მეცნიერ *ა. პიონტკოვსკს* შორის. ეს უკანასკნელი მხარს უჭერდა დანაშაულის სისტემის ერთსაფეხურიან სტრუქტურას და დანაშაულის ცნებას დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან აიგივებდა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ოთხ ელემენტს: ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე.¹⁰

თ. წერეთლის გამოკვეთილი განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ქართულ სისხლის სამართალში იურისტების უმრავლესობამ მხარი *ა. პიონტკოვსკის* თვალსაზრისს დაუჭირა და ამ საუკუნემდე ამ პოზიციაზე დარჩა.¹¹ სისხლის სამართლის

ქართულ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესშიც ბოლო პერიოდამდე *ა. პიონტკოვსკის* დანაშაულის სისტემა გამოიყენებოდა.¹² დღეისათვის ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულია დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა.¹³

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაზე ზეგავლენა მოახდინა გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამართულმა დისკუსიამ უმართლობის სუბიექტური ელემენტების პრობლემაზე, მათ შორის, განსაკუთრებით *ჰ. ველცელისა* და *ე. მეცგერის* ცნობილმა პოლემიკამ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ გერმანული ნეოკლასიკური სისტემის ანალოგიურად, *თ. წერეთელი* და *ო. გამყრელიძე* აღიარებდნენ უმართლობის სუბიექტური ელემენტის არსებობას.¹⁴ მოგვიანებით, *ოთარ გამყრელიძემ* ასევე არაბოროტი განზრახვა აღიარა ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნად და *ჰ. ველცელის* ფინალიზმის ზეგავლენით გამოიწინა იგი ბოროტი განზრახვისაგან (*dolus malus*).¹⁵

რაც შეეხება ბრალს, მართალია, საქართველოში ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ უკანასკნელ პერიოდამდე მაინც ბრალის ფსიქოლოგიური თეორია იყო გაბატონებული. *ო. გამყრელიძის* აზრით, ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია ჩვენში ვერ განვითარდა, უფრო პოლიტიკური მოტივების გამო.¹⁶

თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ზეგავლენით, დღეისათვის ბრალის წმინდა ნორმატიულმა თეორიამ ჩვენში კარგად მოიკიდა ფეხი და მას, ზოგიერთი მეცნიერის განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ბევრი მხარდამ-

СТИ, ჟურნალი: „საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი“ („Советское государство и право“), 1954, 5.

⁹ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996, 42. ქართულ სისხლის სამართალზე გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ზეგავლენის შესახებ იხ. ასევე *Turawa, Merab*, Straftatsysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbegriffs, Berlin, 1998, გვ. 170-178.

¹⁰ *ოთარ გამყრელიძე* აკადემიკოს *ა. პიონტკოვსკის* უწოდებს საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერების ფუძემდებელს. იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996, 42.

¹¹ ასეთი შეფასება იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996.

¹² *პიონტკოვსკი, ანდრეი*, საბჭოთა სისხლის სამართლის კურსი (Курс советского уголовного права), მე-2 ტომი 1970, გვ. 87-88.

¹³ იგი საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში პირველად ქართულ იქნა ჩემი ავტორობით გამოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს მეშვეობით. იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-7 გამოცემა, 2008.

¹⁴ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996, გვ. 43.

¹⁵ შეად. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 82, 98-99.

¹⁶ ამის შესახებ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996, 44.

ჭერი გამოუჩნდა, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა შორის.¹⁷

გერმანული სისხლისსამართლებრივი სისტემური აზროვნება თავის ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის განვითარებაზეც. ამ მხრივ, გამონაკლისი არ არის *თინათინ წერეთლისა* და *ოთარ გამყრელიძის* სამეცნიერო მოღვაწეობა. ასევე, თანამედროვე ქართული მატერიალური სისხლის სამართლის თეორიული საფუძველია გერმანული მოდელით აგებული დანაშაულის სამსაფეხურიანი (ნეო)ფინალისტური სისტემა ბრალის ნორმატიული თეორიით, თუმცა ქართულ სისხლის სამართალში ნეოკლასიკურ სისტემასაც ჰყავს თავისი მომხრეები.¹⁸ შეიძლება ითქვას, რომ გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით, დანაშაულის სამსაფეხურიანი სტრუქტურა, დღეისათვის, ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულ სისტემას წარმოადგენს.

ბ) 90-იანი წლების რეფორმა ქართულ მატერიალურ სისხლის სამართალში. დღეს მოქმედი 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი

დღეს მოქმედი ქართული მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსი ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისს. მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ამ კოდექსით, თანამედროვე ქართული მატერიალური სისხლის სამართალი აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით, რომელიც სათავეს გერმანული სისხლის სამართლის კლასიკურ სისტემაში იღებს.¹⁹ მასში მოცემულია დანაშაულის სის-

ტემის სამივე ელემენტი: ქმედების შემადგენლობა თავისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნებით, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

დანაშაულის სისტემის შესახებ წარმოდგენილი თვალსაზრისი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, იგი გერმანული სისხლის სამართლის აზროვნების ზეგავლენით ჩამოყალიბდა.²⁰ თ. წერეთელი და ო. გამყრელიძე თავიანთ ნაშრომებში წარმოადგენენ დანაშაულის ნეოკლასიკურ სისტემას. გერმანული სისხლის სამართლის იდეების ზეგავლენით დღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსი²¹ ერთმანეთისგან განასხვავებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ (გამამართლებელ), ბრალის გამომრიცხველ (საპატიებელ) და შემამსუბუქებელ გარემოებებს.²²

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს მთელ რიგ სიახლეებს.²³ უპირველეს ყოვლისა, იგი საკანონმდებლო დონეზე აღიარებს დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემას, რომელსაც საფუძველი მე-19 საუკუნის ბოლოს კლასიკურ სისტემაში (*ლისტი*, *ბინდინგი*, *ბელინგი*) ჩაეყარა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იგი განვითარებას ნეოკლასიკურ სისტემაში პოულობს. 50-იანი წლე-

მიმოხილვა, 2013, მე-9 გამოცემა, გვ. 58-70 და მისი ადრეული გამოცემები.

²⁰ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996, 39-45.

²¹ იგი შეიმუშავა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებელმა ქვეკომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი *გიორგი ტყეშელაძე*. მისი ერთ-ერთი გამორჩეული წევრი იყო პროფესორი *მინდია უგრეხელიძე*, რომელიც შემდგომში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე გახდა.

²² დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებაამდე, 1996 წელს *ოთარ გამყრელიძე* წერდა: „ეს პრობლემა საქართველოში ჯერ კიდევ დამუშავების საწყის სტადიაზეა და საჭიროებს გაღრმავებას“. იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, ჟურნალი „სამართალი“, N3-4, 1996, 44.

²³ იგი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს და ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისს. გერმანულ სისხლის სამართალზე ორიენტირებული მისი ზოგადი ნაწილის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა პროფესორმა *ოთარ გამყრელიძემ*. მან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ალტერნატიული პროექტიც კი შეიმუშავა. იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 267-284.

¹⁷ ასევე, *ოთარ გამყრელიძე* ბოლო წლებში აღიარებს, რომ „ბრალი შეფასებითი, ნორმატიული ცნებაა“, იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 99; ბრალის სისხლისსამართლებრივ კატეგორიასა და ბუნებაზე იხ. ასევე *კუტალია, ლაშა-გიორგი*, ბრალი სისხლის სამართალში, 2000.

¹⁸ იხ. *თოდუა, ნონა*, წიგნში: *ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 190.

¹⁹ დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ისტორიული განვითარების შესახებ იხ. *Schünemann, Bernd* (რედ.), *Grundfragen des modernen Strafrechtssystems*, 1984; დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის განვითარების შესახებ ქართულ ენაზე იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის-სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989, გვ. 138-155; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის

ბიდან ვითარდება სისხლის სამართლის ფინალური სკოლა, რომლის ფუძემდებელია, ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში, განსაკუთრებით *თინათინ წერეთლის* ნაწერებიდან, კარგად ცნობილი *ჰანს ველცელი*.²⁴ *ოთარ გამყრელიძე* წერს: „ჩვენ შევნიშნავდით ველცელის მოძღვრების ზოგიერთ დადებით მომენტს, თუმცა ფინალურ თეორიას საქართველოში მიმდევრები არ ჰყოლია“.²⁵

შეიცვალა დრო და ვითარება. *თინათინ წერეთლის*, *ოთარ გამყრელიძისა* და ქართული სისხლის სამართლის სხვა წარმომადგენლების შეხედულებებისგან განსხვავებით, ჩვენი თვალსაზრისია სწორედ დანაშაულის (ნეო)ფინალისტური სისტემის ცალკეული ელემენტების განვითარება საქართველოში.²⁶ ჩვენ ვაღიარებთ, რომ დანაშაულის ფინალური სისტემის დამსახურებაა ბრალის ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიის განვითარება. კლასიკური სისტემის ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, რაინჰარდ ფრანკმა ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიით შეცვალა, რომელსაც მოგვიანებით, ფინალისტების მიერ ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიის განვითარება მოჰყვა.²⁷

გასული საუკუნის ბოლოს, დღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიღების დროს, ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული მდგომარეობა განსხვავდებოდა დღევანდელისგან. ამ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მყარად დამკვიდრდა არაერთი ახალი ინსტიტუტი. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში ფორმით დღეს თითქმის ერთხმად არის აღიარებული, მაშინ, როდესაც მის შინაარსობრივ მხარესთან დაკავში-

რებით კვლავაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. დანაშაულის ცალკეული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ადგილი და შინაარსი დანაშაულის სისტემაში ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ეტაპზე კვლავ დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მართალია, *თინათინ წერეთელმა* ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ზოგადად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის შესახებ, მაგრამ, ვინაიდან გაბატონებული საბჭოთა მოძღვრება დანაშაულის სისტემას განსხვავებულად აყალიბებდა,²⁸ ქართულ საუნივერსიტეტო სწავლებასა და სასამართლო პრაქტიკაში ამ საუკუნემდე მას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

შეიძლება ითქვას, რომ *თინათინ წერეთელმა* და *ოთარ გამყრელიძემ* იგივე როლი შეასრულეს დანაშაულის თანამედროვე ქართული სისტემის ჩამოყალიბებაში, როგორც თავის დროზე *ფრანც ფონ ლისტმა* და *ერნსტ ბელინგმა* გერმანულ სისხლის სამართალში. სწორედ ამ ტრადიციის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ზეგავლენით, თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის განვითარებისთვის წამოყენებულ იქნა არაერთი ახალი დებულება,²⁹ რომელიც აისახა ჩვენს სამეცნიერო ნაშრომებში.³⁰

ჩვენ მიერ აღიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი დანაშაულის ელემენტებია. ქმედების შემადგენლობა კი, თავის მხრივ, შედგება ორი ნაწილის: ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობებისგან.

დანაშაულის ქართული სისტემა განსხვავდება ანგლოამერიკულისაგან და გერმანული სისხლის

²⁴ იხ. *წერეთელი, თინათინ*, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1966, 2, გვ. 25-37.

²⁵ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, 1998, გვ. 252.

²⁶ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 90.

²⁷ *კლაუს როქსინი* აღნიშნავს, რომ ფინალური სკოლის მიერ განვითარებული ბრალის ცნებაც არ არის წმინდა ნორმატიული იმ გაგებით, რომ მისი შინაარსი შეფასებით არ ამოიწურება, არამედ „გაკიცხვასთან“ ერთად, თავის თავში შეიცავს სხვა საგნობრივ კომპონენტებსაც; ამის შესახებ იხ. *Roxin, Claus*, „Schuld“ und „Verantwortlichkeit“ als strafrechtliche Systemkategorien, წიგნი: FS für Heinrich Henkel zum 70. Geburtstag, 1974, გვ. 171-172.

²⁸ იხ. ა. *პიონტკოვსკის* შეხედულება წიგნში: *პიონტკოვსკი, ანდრეი*, საბჭოთა სისხლის სამართლის კურსი (Курс советского уголовного права), მე-2 ტომი 1970, გვ. 87-88, ხოლო *ვ. კუდრიაეცევის* მოსაზრება იხ. წიგნში: *კუდრიაეცევი, ვლადიმერ*, დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგადი თეორია (Общая теория квалификации преступления), 1972, გვ. 73.

²⁹ იხ. *Turawa, Merab*, Straftatsysteme in rechtsvergleichen-der Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbe-griffs, Berlin, 1998.

³⁰ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013. ამ წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა 2000 წელს, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის წაკითხული ლექციების მასალა.

სამართლის ზეგავლენას განიცდის. წლების მანძილზე ქართულმა სისხლის სამართალმა განიცადა არსებითი ხასიათის ცვლილებები. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები შეეხო ქართული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებსაც: კერძოდ, გაფართოვდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის, შეიცვალა სასჯელის ცალკეული სახეების, ასევე პირობითი მსჯავრისა და სხვა ინსტიტუტების შინაარსი და მათი დანიშვნის წესი.

სასჯელისაგან განსხვავებით, ახალი სისხლის სამართლის პოლიტიკა ნაკლებად შეეხო დანაშაულის სისტემასა და მისი გამოვლენის ცალკეულ შემთხვევებს. იგი კვლავ გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ზეგავლენით ვითარდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენას განიცდის არა მარტო არაერთი ნაციონალური სამართლებრივი სისტემა მთელ მსოფლიოში, არამედ ასევე საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართალი. ამის მაგალითია, თუნდაც საერთაშორისო სისხლის სამართალში ამსრულებლის დასჯადობის ინსტიტუტი ე.წ. ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობის თეორიის მიხედვით,³¹ რომლის ავტორია ცნობილი გერმანელი პროფესორი *კლაუს როქსინი*.³²

დღეს ქართული სისხლის სამართალი გახდა უფრო ნორმატიული და პრაგმატული. ამის შედეგია სისხლის სამართლის ნორმატივიზაციის პროცესის გაღრმავება. პრაგმატიზმის გამოხატულება კი არის ის, რომ 2006 წელს ქართულ სისხლის სამართალში შემოღებულ იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელსაც, კრიტიკის მიუხედავად, გარდა ანგლოამე-

რიკულისა, კონტინენტალური ევროპის არაერთ ქვეყანაში (მაგ.: საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია) აქვს ანალოგი.

გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით, ქართულ სისხლის სამართალში განვითარდა არა მარტო ბრალის შეფასებითი (ნორმატიული) თეორია, არამედ ასევე ვითარდება მოძღვრება ობიექტური შერაცხვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სწორედ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას.³³ იგი 80-იანი წლების შუა პერიოდიდან გაბატონდა გერმანულენოვან სისხლის სამართლის დოგმატიკაში,³⁴ ასევე ლათინურ ამერიკაში³⁵ და მნიშვნელოვანია, საერთაშორისო სისხლის სამართალშიც.³⁶ სწორედ *ჰაინერ ალვარტისა* და სხვა გერმანელი პროფესორების მონაწილეობით, გასულ წლებში, გაიმართა არაერთი დისკუსია მიზეზობრივი კავშირისა და შედეგის ობიექტური შერაცხვის თეორიის და მისი საქართველოში განვითარების პერსპექტივების თაობაზე.

მიზეზობრიობის თეორიასა და შედეგის ობიექტური შერაცხვის შესახებ გერმანულ მოძღვრებას შინაარსობრივად ასევე ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში აქვს ბევრი ანალოგი. ლიტერატურაში მოცემული არაერთი მაგალითი გვიჩვენებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტური შერაცხვის არაერთი პრობლემა ამ ორი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, შედეგის თვალსაზრისით, ანა-

³¹ ორგანიზაციული ბატონობის თეორიის შესახებ სისხლის სამართალში იხ. *Okhanashvili, Anri, Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien, 2021*. აღსანიშნავია, რომ ეს თეორია ჯერ კიდევ ყოფილი იუგოსლავიის სასამართლო ტრიბუნალის მიერ იქნა განხილული *Stakić*-ის საქმეზე. რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას, *როქსინის* ორგანიზაციული ბატონობის თეორია პირველად ICC-ის მიერ გამოყენებულ იქნა *Prosecutor v. Lubanga*-სა და *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეებზე.

³² იხ. *Werle, Gerhard/Burghardt, Boris, Die Mittelbare Mittäterschaft – Fortentwicklung deutscher Strafrechtsdogmatik im Völkerstrafrecht? in: FS für Manfred Maiwald zum 75. Geburtstag, 2010, გვ. 849.*

³³ ჩემი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვის მე-7 გამოცემაში, 2008, გვ. 99-100, 110-126, ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში პირველად მოხდა მიზეზობრიობის განვრცობა ობიექტური შერაცხვის დამოუკიდებელი კატეგორიით.

³⁴ შეად. *Roxin, Claus/Greco, Luis, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, მე-5 გამოცემა, 2020, გვ. 479.*

³⁵ გერმანულიდან განსხვავებით, ავსტრიულ სასამართლო პრაქტიკაში ობიექტური შერაცხვის შესახებ მოძღვრებამ პოვა უფრო ფართო გამოყენება. შეად. *Roxin, Claus/Greco, Luis, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, მე-5 გამოცემა, 2020, გვ. 479.* გერმანული სასამართლო პრაქტიკა ობიექტური შერაცხვის მოძღვრებას როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის დამოუკიდებელ კატეგორიას განიხილავს მხოლოდ გაუფრთხილებლობით დანაშაულებში, ხოლო განზრახი დელიქტების დროს ობიექტური შერაცხვის საკითხი ფასდება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე.

³⁶ იხ. *Ambos, Kai, Internationales Strafrecht, მე-5 გამოცემა, 2018, გვ. 170-171.*

ლოგიურად წყდება³⁷. ჩვენი მიზანია, ხელი შევეწყოთ ობიექტური შერაცხვის შესახებ თანამედროვე მოძღვრების შემდგომ განვითარებას საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში³⁸, რომელიც ბოლო პერიოდამდე უცნობი იყო ქართული სამართლებრივი დოქტრინისა და პრაქტიკისათვის. სისხლის სამართლის ორი ინსტიტუტი: მიზეზობრიობა და ობიექტური შერაცხვა წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ორ დამოუკიდებელ კატეგორიას. შესაბამისად, იგი წარმოადგენს კიდევ ერთ ნაბიჯს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნატურალისტური მოძღვრებიდან შეფასებით სისტემაზე გადასასვლელად.

მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 50-60-იან წლებში გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში დისკუსია მიმდინარეობდა მოქმედების ფინალური მოძღვრების გარშემო, რომელმაც ასევე საზღვარგარეთ, მათ შორის, საქართველოში მოიპოვა დიდი გამოხმაურება, დღესდღეობით ობიექტური შერაცხვის მოძღვრება წარმოადგენს ნააზრევს, რომელიც, როგორც *ფრიდრიხ-ქრისტიან შროედერი* აღნიშნავს, თავისი ფუძემდებლური მნიშვნელობითა და საზღვარგარეთ მოპოვებული რეზონანსით, მოქმედების ფინალური მოძღვრების ადგილას დადგა.³⁹

გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით, ქართული სისხლის სამართალი ერთმანეთისგან მიჯნავს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს. იგი მატერიალურ მართლწინააღმდეგობას განასხვავებს ფორმალურისაგან. ცალკე განიხილავს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მერვე თავში მოცემულ გამართლების საფუძვლებს, როგორც კანონისმიერ, ისე ზეკანონიერს. ქართული სისხლის სამართლის

კოდექსი დანაშაულის სისტემის შემდგომ ეტაპზე კი ბრალს განიხილავს როგორც ნორმატიულ კატეგორიას, წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ კანონისმიერ და ზეკანონიერ გარემოებებს.

2. ცვლილებები და განვითარების ძირითადი ტენდენციები ქართულ სისხლის სამართალში 2004 წლიდან

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ანგლოამერიკული ზეგავლენის გაძლიერების პარალელურად, ცვლილებები განიცადა მატერიალურმა სისხლის სამართალმაც. დღემდე ცვლილებები, ძირითადად, შეეხო სასჯელებსა და სასჯელთა დანიშვნას.

ა) „სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებები მოსამართლეებისათვის“

2007 წლის 25 ივლისს გამოქვეყნდა ე.წ. გაიდლაინები („სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებები მოსამართლეებისათვის“). ეს ნოვაცია ანგლო-ამერიკული წარმომავლობისაა, რომელიც ამერიკაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან არსებობს. მისი სავალდებულო ხასიათი 2005 წლის 13 იანვარს თვით ამერიკის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია ამერიკის კონსტიტუციის მე-6 შესწორებასთან შეუსაბამოდ.⁴⁰

საქართველოში აღნიშნული გაიდლაინები სამართლებრივად არ იყო სავალდებულო მოსამართლეებისათვის, მაგრამ მას პრაქტიკაში ყველა მოსამართლე იყენებდა. დღეისათვის ამ ცვლილებამ უკვე დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა და აღარ გამოიყენება.

³⁷ იხ. *Mansdörfer, Marco, Die Allgemeine Straftatlehre des common law*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 127.

³⁸ თვალსაზრისი ამ მოძღვრების თაობაზე ქართული სისხლის სამართალში თავდაპირველად გამოითქვა წიგნში: *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-7 გამოცემა, 2008, გვ. 99-126. კაზუსის ამოხსნის დროს შედეგის ობიექტური შერაცხვის თეორიის გამოყენების იდეას ავითარებს ასევე *მჭედლოშვილი-ჭედრიანი, ქეთევან*, წიგნში: კაზუსების ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, 2008, გვ. 60-69 და მის მე-2 გამოცემაში (2010).

³⁹ იხ. *Schroeder, Friedrich-Christian, Der Blitz als Mordinstrument. Ein Streifzug durch 150 Jahre Strafrechtswissenschaft*, 2009, გვ. 39-40.

⁴⁰ იხ. ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *United States v. Booker*, 543 U.S. 220 (2005). სასამართლომ აქ ერთმანეთისგან გამოიჯნა და ცალ-ცალკე შეაფასა სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებების სარეკომენდაციო და სავალდებულო ხასიათი. სასამართლოს შეფასებით, კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის ზემოხსენებული ე.წ. გაიდლაინების სარეკომენდაციო ხასიათი, თუმცა კონსტიტუციის მე-6 შესწორებასთან შეუსაბამოდ მიიჩნია მისი სავალდებულო ბუნება.

ბ) ნულოვანი ტოლერანტობა სისხლის

სამართალში

2006 წლის დასაწყისში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობა სისხლის სამართალში. გაუქმდა რამდენიმე დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებისა და სასჯელთა შთანთქმის პრინციპი და შემოღებულ იქნა სასჯელთა მთლიანი შეკრების წესი. დღეისათვის ამ ცვლილებამაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა და 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, გამოიყენება რამდენიმე დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელთა შთანთქმის პრინციპი.

გ) სანქციათა ორკვალიანი სისტემის გაუქმება

2007 წლის 3 ივლისის კანონის ამოქმედებამდე, საქართველოში არსებობდა სასამართლოს მიერ გამოსაყენებელ სანქციათა ორკვალიანი სისტემა: სასჯელი დანაშაულისათვის, ხოლო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები. მაშასადამე, სისხლის სამართალში უარყოფილ იქნა ე.წ. სანქციათა ორკვალიანი სისტემა.⁴¹ როგორც ცნობილია, იგი ისტორიულად უკავშირდება შვეიცარიელი იურისტის კარლ შტოსის სახელს, რომელმაც იგი ჯერ კიდევ 1893 წელს ჩამოაყალიბა.

დ) სხვა შესაძლო ცვლილებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ჩატარდა გარკვეული მუშაობა ქართული მატერი-ალური სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში შესატან სხვა შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი საექსპერტო დასკვნა, რომლის ავტორია ინგლისელი მეცნიერი რიჩარდ ვოგლერი,⁴² ეხება რამდენიმე ასეთ საკითხს. ამ დასკვნაზე იმიტომ

ვამახვილებ ყურადღებას, რომ იგი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. დასკვნაში მოცემულ საკითხთა შორისაა:

აა) განზრახვა, ევენტუალური განზრახვა/ თვითიმედოვნება და დაუდევრობა (Intent, Recklessness and Negligence)

ქართული სისხლის სამართალი (კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები) დანაშაულის სისტემაში ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახვას (პირდაპირი და არაპირდაპირი) და გაუფრთხილებლობას (თვითიმედოვნება და დაუდევრობა). განზრახვის მეორე ფორმის – არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვის გამიჯვნა გაუფრთხილებლობის პირველი ფორმისაგან – თვითიმედოვნებისაგან (რომელსაც ასევე შეგნებული გაუფრთხილებლობა ეწოდება) პრობლემატურია, როგორც ქართულ, ასევე გერმანულ სისხლის სამართალში, რომელიც ჯერ კიდევ *ლუდვიგ ფონ ბარმა (1898)* შენიშნა.⁴³ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, *ლუდვიგ ფონ ბარის* ციტირებით დაწყებულ თავის სამეცნიერო პუბლიკაციაში გერმანელმა მეცნიერმა *თომას ვაიგენდმა* გააანალიზა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ურთიერთგამიჯვნის პრობლემები გერმანული და ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით და პრობლემის გადაწყვეტის გზა ანგლოამერიკული *Recklessness*-ის ანალოგიური სამართლებრივი ფიგურის შემოღებაში დაინახა.

ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში, რომელიც არ აკეთებს გამიჯვნას ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის, ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებული მდგომარეობაა. ანგლოამერიკული *Recklessness*-ის სამართლებრივი ფიგურა თავის თავში აერთიანებს ორივე ამ ფორმას და წარმოადგენს რისკის შემცველი ქმედების განსახორციელებლად მიღებულ შეგნებულ გადაწყვეტილებას.⁴⁴

მაშასადამე, ქართული, ისევე როგორც გერმანული, სისხლის სამართლისგან განსხვავებით, ანგ-

⁴¹ აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სანქციათა ორკვალიან სისტემას.

⁴² რიჩარდ ვოგლერი თანამედროვე ინგლისური სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღიარებული პროფესორია, რომელიც ასევე თანამშრომლობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან. მის სახელს უკავშირდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებით, საზაფხულო სკოლის ფარგლებში ჩატარებული არაერთი ლექცია მონვეული პროფესორის რანგში.

⁴³ იხ. *Von Bar, Ludwig, ZStW 18 (1898), 534, 556.*

⁴⁴ ამ სამართლებრივი კატეგორიის შესახებ ინგლისური სამართლის მიხედვით იხ. *Safferling, Christoph, Vorsatz und Schuld, 2008, გვ. 360-368*, ხოლო ამერიკული სამართლის მიხედვით იხ. *Dubber, Marc, Einführung in das US-amerikanische Strafrecht, 2005, გვ. 66-71*; გერმანულ ევენტუალურ განზრახვასთან მის შედარებასთან დაკავშირებით იხ. *Mansdörfer, Marco, Die Allgemeine Straftatlehre des common law, 2005, გვ. 73-76.*

ლოამერიკულ სისხლის სამართალში ევენტუალური განზრახვა და თვითიმედოვნება წარმოადგენს სუბიექტური შერაცხვის (*mens rea*) ერთიან ფორმას.

ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის დროს წარმოშობილი პრობლემებისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად, *თომას ვაიგენდმა* სისხლის სამართლის დოგმატიკაში დააყენა ანგლოამერიკული Recklessness-ის ანალოგიური შუალედური საფეხურის შემოღების იდეა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას.⁴⁵ ქართული სისხლის სამართალი დგას გერმანული სისხლის სამართლის ანალოგიური პრობლემის წინაშე.

ჩემი პოზიცია, რომელიც ასევე ჩემს ნაშრომში აისახა,⁴⁶ მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია, საკანონმდებლო ცვლილების გზით გავიზიაროთ *თომას ვაიგენდის* თვალსაზრისი და უარვყოთ ევენტუალური განზრახვის კატეგორია. ამ ახალ სამართლებრივ ფიგურას, რომელიც თავის თავში გააერთიანებს, დღევანდელი გაგებით, ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების შემთხვევებს, შეიძლება ეწოდოს „დანაშაულებრივი გულგრილობა“. მაშასადამე, იგი ანგლოამერიკული Recklessness-ის ანალოგიური და დღევანდელი ქართული სისხლის სამართლის „ევენტუალური განზრახვისა“ და „თვითიმედოვნების“ გამაერთიანებელი იქნება.⁴⁷ შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება მოითხოვს მასთან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისობაში მოყვანას.

ანალოგიურ თვალსაზრისს ქართული სისხლის სამართლისათვის აყალიბებს ინგლისელი მეცნიერი *რიჩარდ ვოგლერი*. იგი გვთავაზობს გერმანული,

ფრანგული, ხორვატიული და ქართული ორელემენტური სისტემიდან – განზრახვა და გაუფრთხილებლობა (*Vorsatz und Fahrlässigkeit*) სამელემენტური სისტემაზე – განზრახვა, ევენტუალური განზრახვა/თვითიმედოვნება და დაუდევრობა (*Intent, Recklessness and Negligence*) გადასვლას.

ბ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი ითვალისწინებს მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. პირის გათავისუფლების აუცილებელი პირობა და მიზანია სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი უკავშირდება ცნობილ გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერ *ანსელმ ფოერბახს*. *ფოერბახმა* თავის დროზე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, პირის დაუსჯელობის მიზანშეწონილობა დაასაბუთა კრიმინალპოლიტიკური (ე.წ. ოქროს ხიდის თეორია) თეორიის საფუძველზე.⁴⁸ დღეს განვითარებულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სხვა, ასევე მნიშვნელოვანი თეორიები, მათ შორის, წახალისებისა და სასჯელის მიზნების თეორია.⁴⁹ სწორედ გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით დამკვიდრდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ქართულ სისხლის სამართალში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი პრობლემატიკა არაერთხელ ყოფილა განხილული, პროფესორ *ალვარტის* მონაწილეობით, სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხებზე გერმანულ-ქართული დიალოგის დროს.

როგორც ინგლისელი მეცნიერი *რიჩარდ ვოგლერი* მიუთითებს, საერთო სამართლის სისტემაში ნებაყოფლობით ხელის აღება არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც მას მცდელობა უკვე ჩადენილი აქვს. მისი აზრით, ქართული მიდგომა, საერთო სამართლის, როგორცაა ინგლისისა და უელსის, ასევე აშშ-ის მიდ-

⁴⁵ იხ. *Weigend, Thomas, Zwischen Vorsatz und Fahrlässigkeit, ZStW 93 (1981), გვ. 657*; იხ. ასევე *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 291*.

⁴⁶ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 288-289.

⁴⁷ რევოლუციამდელი რუსი მეცნიერი *ნ. ტაგანცევიც* ევენტუალურ განზრახვას ხშირად „დანაშაულებრივ გულგრილობას“ უწოდებდა; იხ. *ტაგანცევი, ნიკოლაი*, რუსული სისხლის სამართალი I, ზოგადი ნაწილი (*Русское уголовное право I, часть общая*), 1902, გვ. 601-602; ამის შესახებ იხ. *მაყაშვილი, ვლადიმერ*, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, N4, 1965, 21.

⁴⁸ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 322.

⁴⁹ აღნიშნული და სხვა თეორიების შესახებ იხ. *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas (1996), გვ. 538-540*.

გომასთან შედარებით, წარმოადგენს შედარებით ლიბერალურს და არის კონტინენტალური ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის ანალოგიური.⁵⁰ ექსპერტის დასკვნით, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ საკითხზე ცვლილებების შეტანა ქართულ კოდექსში არ წარმოადგენს აუცილებლობას.

გგ) უმოქმედობა

ინგლისელი მეცნიერის *რიჩარდ ვოგლერის* დასკვნა ეხება უმოქმედობის დასჯადობასაც. იგი უთითებს უმოქმედობის დასჯადობის საფუძვლებზე. მასში მითითებულია სამართლებრივი გარანტიის ფუნქციაზე, მოქმედების შესაძლებლობაზე. გაანალიზებულია ანგლოამერიკული პრეცედენტები. ამ დასკვნის ლეიტმოტივი ისაა, რომ კოდექსმა ასევე უნდა გამოხატოს ის, თუ რომელი სპეციფიკური სამართლებრივი ვალდებულებების დაცვა იქნება სისხლის სამართლით აუცილებელი (იმის ნაცვლად, რომ ეს მორალური მსჯელობის საგნად დარჩეს). ეს თვალსაზრისი არ ეწინააღმდეგება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს, დოგმატიკაში გამოხატულ პოზიციებს. ანალოგიურ თვალსაზრისს სამართლებრივი გარანტიის საფუძვლებთან დაკავშირებით, რომ ის სისხლის სამართლის კანონით უნდა იყოს თუ არა განსაზღვრული, ეხება ასევე პროფესორი *ბურკჰარდ იენკე*.⁵¹

არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ დაურეგულირებელი ზოგადი ნაწილის რამდენიმე საკითხი, რომლის დარეგულირებაც მნიშვნელოვანია კანონიერების პრინციპის, სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის თვალსაზრისით. ერთ-ერთი ასეთია სამართლებრივი გარანტიის ფიგურა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში. თუ ეს საკითხი სისხლის სამართლის კოდექსით დარე-

გულირდა, იქნება წინგადადგმული ნაბიჯი კანონიერების პრინციპის (*nullum crimen, nulla poena sine lege*) განსახორციელებლად.⁵²

IV. დასკვნა

გერმანულ-ქართულმა თანამშრომლობამ სისხლის სამართლის სფეროში, უდავოდ, ხელი შეუწყო ქართული მატერიალური სისხლის სამართლის განვითარებას. ასევე, ამ თანამშრომლობას აქვს კარგი პერსპექტივები. არაერთი ქართველი იურისტი მუშაობს გერმანულ უნივერსიტეტებში სისხლის სამართლის, საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის საკითხებზე. მართალია, შეიმჩნევა ქართული სისხლის სამართალზე ანგლო-ამერიკული სამართლის ძლიერი ზეგავლენა, რაც მისასაღმებელია და ზოგადი განვითარების ტენდენციაა მთელ მსოფლიოში, მაგრამ უფრო სისხლის სამართლის პროცესში. მატერიალური სისხლის სამართალში, განსაკუთრებით დანაშაულის მოძღვრების საკითხებში, კვლავ გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა არის შენარჩუნებული.

⁵⁰ უნდა აღინიშნოს, რომ, ამ მხრივაც, მცირე განსხვავების გარდა, დანაშაულზე ხელის აღების ინსტიტუტის ქართული მოწესრიგება და მისი დოქტრინალური გაგება სრულად შეესაბამება გერმანულ დოგმატურ აზროვნებას დანაშაულზე ხელის აღების სისხლისსამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

⁵¹ იხ. *Jähnke, Burkhard, Zur Frage der Geltung des „nullum-crimen-Satzes“ im Allgemeinen Teil des Strafgesetzbuches*, წიგნში: FS 50 Jahre Bundesgerichtshof, 2000, გვ. 393.

⁵² გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დაადგინა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი გარანტიის ფიგურის კანონით პირდაპირ დაურეგულირებლობა არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას და, შესაბამისად, კანონიერების პრინციპს. იხ. BVerfG, Beschluss der 3. Kammer des Zweiten Senats vom 21. November 2002 – 2 BvR 2202/01. მიუხედავად ამისა, ეს არ გამორიცხავს გარანტიის ფუნქციის მქონე პირთა წრის კანონმდებლობით დაკონკრეტების საჭიროებას და მიზანშეწონილობას.

ექსპანსიური სქესობრივი დანაშაულების სისხლის სამართალი*

პროფესორი, სამართლის დოქ. *ედვარდ შრამი*, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი

საუკეთესო სურვილებით ეძღვნება პროფესორ, სამართლის დოქტორ, საპატიო დოქტორ ჰაინერ ალვარტს 70-ე დაბადების დღისადმი.

I. შესავალი

სქესობრივი დანაშაულები არა მხოლოდ საქართველოში,¹ არამედ გერმანიაშიც დიდ ცვლილებებს განიცდის. უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში² ზოგიერთი დანაშაული მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ამასთან, არაერთი ახალი ნორმა იქნა მიღებული სქესობრივი თვითგანსაზღვრულობის დაცვის მიზნით. წინამდებარე სტატიაში მოკლედ იქნება მიმოხილული ამ წელს განხორციელებული რეფორმები. 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებიდან ჩანს, რომ მოცემულ სფეროში სისხლის სამართლის ექსპანსიის კრიმინოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიგიტალიზაციის გავლენა, რომელიც მოწყვლადი პირებისთვის ერთგვარ წყევლად შეიძლება იქნეს მიჩნეული: ინტერნეტი შესაძლებელს ხდის, აფართოებს და ხელს უწყობს, ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი ინტენსივობით, სექსუალურ თავდასხმებს, განსაკუთრებით, ბავშვების მიმართ. გერმანიაში ბავშვთა ექსპლუატაციის მრავალი შემზარავი შემთხვევა გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი (მაგალითად, მიუნსტერსა და ბერგიშ გლადბახში მომხდარი თავდასხმები), სადაც დამნაშავეებმა მათი საზარელი დანაშაულები ვიდეოს სახით ჩაინერეს და შემდეგ დარქნეტში (Darknet) გაავრცელეს. შემდგომში განხილული დანაშაულები წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ კანონმდებელი შეეცადა შებრძოლებოდა ამ სოციალურ გადახრებსა და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. თუმცა, კანონმდებ-

ლობა ზოგიერთ ნაწილში დასახულ მიზანს სცდება: მან ისეთი მიმართულებითაც დააწესა დასჯადობა ან გაამკაცრა სასჯელი, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საჭიროება არ არსებობს ან ნაკლებად მკაცრი სასჯელის დაწესება უფრო მართებული იქნებოდა.

II. 2016 წელს განხორციელებული რეფორმები

თუმცა, მანამდე დავბრუნდეთ უკან და მიმოვიხილოთ წინა პერიოდი: გერმანიაში სქესობრივ დანაშაულთა ტრადიციულმა სტრუქტურამ ფუნდამენტური ცვლილება განიცადა 2016 წელს, როდესაც გსსკ-ის 177-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დანაშაულში „სექსუალური იძულება, გაუპატიურება“ შევიდა ცვლილებები. იძულების მოდელის მიხედვით, რომელიც იქამდე გსსკ-ში მოქმედებდა, სრულწლოვანთა სექსუალურ თვითგანსაზღვრულობაზე თავდასხმას, რომლისთვის გათვალისწინებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მხოლოდ მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ჩადენილი იყო სექსუალური იძულება ან გაუპატიურება, ე.ი. როცა დამნაშავე სექსუალური ქმედების განხორციელებისას იყენებდა იძულების საშუალებებს (ძალადობა, სხეულისათვის ან სიცოცხლისათვის იმნუთიური საფრთხის შექმნის მუქარა) ან თუ დამნაშავე იყენებდა მსხვერპლის უმწეო მდგომარეობას. საზოგადოებაში სქესობრივი ინტერაქციისთან მიმართებაში დამოკიდებულების ცვლილების, და, ამავე დროს, ევროპის საბჭოს მიერ სტამბოლის კონვენციის მიღების შედეგად, კანონმდებელმა განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები ინტენსიური და ხანგრძლივი კრიმინალურ-პოლიტიკური დისკუსიების შემდეგ და შემოიტანა სიახლე, რომელიც ეყრდნობა მიდგომას „არა ნიშნავს არას“. შეიქმნა ახალი

* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, ხატია თანდილაშვილმა.

¹ შდრ. ცანავა, ლანა, სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის გამონვევები და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები, DGSiZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი) 1/2021, 1.

² შემდგომში შემოკლებულია, როგორც გსსკ.

სექსობრივი დანაშაული ე.წ. „სექსუალური თავდასხმა“, რომელსაც მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სექსუალური ქმედება ხორციელდება „სხვა პირის შეცნობადი ნების სანინალმდეგოდ“ (გსკ-ის 177-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი). შესაბამისად, მოცემული დანაშაულისათვის აუცილებელია, რომ სექსუალური ქმედების წინააღმდეგ გამოვლენილი ნება გარედან, მესამე ობიექტური პირის მიერ იყოს შეცნობადი. შეცნობადია ქცევა, თუ იგი მკაფიოდ არის გამოხატული ან კონკლუდენტური ქცევით ვლინდება. თუ პირის გამონათქვამი ამბივალენტურია ან თუ რეალური სანინალმდეგო ნება არ არის ცხადად შეცნობადი, მაშინ სახეზე არ გვაქვს ქმედების შემადგენლობა და დამნაშავე უნდა გათავისუფლდეს.³ სხვა სახელმწიფოებში (მაგალითად, შვედეთი) მხოლოდ მაშინ მოხდება პირის მსჯავრდებაზე უარის თქმა, თუ სახეზეა მსხვერპლის მკაფიოდ გამოხატული თანხმობა (ე.წ. „მხოლოდ კი ნიშნავს კის“ მიდგომა). ეს უკანასკნელი მოდელი გერმანიაში მოქმედებს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, რომლებიც ასეთ მიიჩნევიან მათი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო (გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი).⁴ სექსუალური იძულება და ასევე გაუზიარებლობა დარჩა სექსუალურ თავდასხმის ნორმის შემადგენლობაში როგორც კვალიფიკაცია (გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მე-5 პუნქტი) და განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა სექსუალური თავდასხმისა (გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მე-6 პუნქტი). საკანონმდებლო რეფორმებით მიღწეულ იქნა თუ არა კანონმდებლის ნება, რომ გაეძლიერებინა მსხვერპლთა დაეცვა ამგვარ დანაშაულებში, რეფორმიდან ხუთი წლის შემდეგაც დგას კითხვის ნიშნის ქვეშ: გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლო ნორმას ძალიან ვიწროდ განმარტავს, რაც ნიშნავს იმას, რომ შეცნობად სანინალმდეგო ნებაზე დაწესებულია მტკიცების მაღალი სტანდარტი.⁵

³ Lackner, Karl/Kühl, Kristian/Heger, Martin, StGB, 29. Aufl. 2018, § 177 Rn. 5; Eisele, Jörg, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, StGB, 30. Aufl. 2019, § 177 Rn. 20; Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 177 Rn. 11.

⁴ Kindhäuser, Urs/Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil 1, 10. Aufl. 2021, § 21 Rn. 2; Renzikowski, Joachim, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 177 Rn. 80 და მომდევნო გვერდითი ველები.

⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით შდრ. Heinemann, Isvant,

გარდა ამისა, 2016 წელს შემოღებულ იქნა ორი ახალი დანაშაული, რისი საფუძველიც გახდა 2015 წელს ე. წ. კიოლნის საახალწლო ღამეს, ასობით ადამიანზე განხორციელებული მასიური სექსუალური თავდასხმები. შედეგად, სექსუალური თვითგანსაზღვრულობის დაცვის მიზნით, დასჯადად გამოცხადდა ისეთი ქმედებები, რომლებიც მცირედ უმართლობას შეიცავენ.⁶ გსკ-ის დაემატა ახალი ნორმა – §184 i „სექსუალური შევიწროება“.⁷ აღნიშნული ნორმით ისჯება სექსუალური გაგებით სხვა პირის სხეულზე შეხება, რის შედეგადაც ხდება პირის შევიწროება. მხოლოდ სიტყვიერი და ჟესტიკულაციური სექსუალური შევიწროება (ე.წ. „Catcalling“) არ შედის გსკ-ის 184 i პარაგრაფში,⁸ ამიტომ მოცემული ქმედება, როგორც პატივის შეზღუდვა, დაისჯება გსკ-ის 185-ე პარაგრაფით (შეურაცხყოფა).⁹ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში, გერმანელ ქალ იურისტთა გაერთიანების მიერ (Deutscher Juristinnenbund) მიჩნეულია, რომ გსკ-ის 184 i პარაგრაფის მოქმედების ფარგლები უნდა გაფართოვდეს და უნდა გავრცელდეს Catcalling-ის ფორმებზეც.¹⁰

KriPoZ JuP (Kriminalpolitische Zeitschrift, Junges Publizieren) 2021, 63, 73 და მომდევნო გვერდები, ხელმისაწვდომია: <https://kripoz.de/2021/09/27/22843/> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

⁶ Matt, Holger/Renzikowski, Joachim/Eschelbach, Ralf, StGB, 2. Aufl. 2020, § 184 i Rn. 1; Renzikowski, Joachim, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 184 i Rn. 1; აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკულად: Frommel, Monika, in: Kindhäuser, Urs/Neumann, Ulfrid/Paefgen, Hans-Ullrich, StGB, 5. Aufl. 2017, § 184 i Rn. 4.

⁷ გსკ-ის 184 i პარაგრაფის პირველი პუნქტი: სხვა ადამიანის სხეულზე შეხება სექსუალურობის გამოხატულობის რაიმე ფორმით და ამ გზით შევიწროება, ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით, თუ ქმედებისათვის მოცემული თავში განმტკიცებული სხვა ნორმებით უფრო მკაცრი სასჯელი არ არის გათვალისწინებული.

⁸ Renzikowski, Joachim, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 184 i Rn. 10.

⁹ Arzt, Gunther/Weber, Ulrich/Heinrich, Bernd/Hilgendorf, Eric, Strafrecht, Besonderer Teil, 3. Aufl. 2015, § 7 Rn. 5; Schittenhelm, Ulrike, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, StGB, 30. Aufl. 2019, § 185 Rn. 4.

¹⁰ Kindhäuser, Urs/Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil 1, 10. Aufl. 2021, § 21 Rn. 27; Dechering, Chiara, KriPoZ JuP, 2021, 123 და მომდევნო გვერდები, ხელმისაწვდომია: <https://kripoz.de/2021/09/27/22843/> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

გარდა ამისა, შემოტანილ იქნა გსსკ-ში 184 j პარაგრაფის შემადგენლობა, რომელშიც განმტკიცდა ე.წ. „ჯგუფიდან ჩადენილი დანაშაულები“.¹¹ აღნიშნული ნორმის შესაბამისად, პირი ისჯება უკვე მაშინ, როცა ის ისეთ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლის წევრმაც ჩაიდინა გსსკ-ის 177-ე ან 184 i პარაგრაფებით გათვალისწინებული დანაშაულები. ნორმის მიზანია, რომ სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მაშინაც იქნეს უზრუნველყოფილი, როცა სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირი მიეკუთვნება პირთა ჯგუფს, მაგრამ მისი იდენტიფიცირება ვერ ხდება საქმის გარემოებების გამო, მაგალითად, დანაშაულის ადგილზე მყოფ ხალხში შერევის გამო. აღნიშნული ნორმა ამ დრომდე პრაქტიკულად უმნიშვნელოდ რჩება და სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეტწილად არაკონსტიტუციურად მიიჩნევა. ერთის მხრივ, არსებობს საფრთხე, რომ ბრალის პრინციპის დარღვევით, მტკიცებულების ნაკლებობიდან გამომდინარე, დაისჯება ის ადამიანი, რომელსაც რეალურად არ ჰქონია შეხება სქესობრივი დანაშაულის უშუალო ჩადენასთან. მეორე მხრივ, მოცემული ნორმა განსაზღვრულობს პრინციპის კუთხითაც კრიტიკას იმსახურებს.¹²

III. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, გსსკ-ის 176-ე და მომდევნო პარაგრაფები

მოდით კვლავ დავუბრუნდეთ 2021 წელს, რომელშიც სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვის მიზნით გაფართოვდა და გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი ნორმები.

¹¹ გსსკ-ის 184 j პარაგრაფი: ის, ვინც დანაშაულის ჩადენას იმით უწყობს ხელს, რომ მონაწილეობს ადამიანთა ისეთ ჯგუფში, რომელიც სხვა პირს დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს და როცა ჯგუფის რომელიმე წევრის მიერ ჩადენილია 177-ე ან 184 i პარაგრაფებით გათვალისწინებული დანაშაული და ქმედებისათვის სხვა ნორმებით უფრო მკაცრი სასჯელი არ არის გათვალისწინებული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე ან ჯარიმით.

¹² Matt, Holger/Renzikowski, Joachim/Eschelbach, Ralf, StGB, 2. Aufl. 2020, § 184 j Rn. 1; Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 184 j Rn. 2.

1. გსსკ-ის 176-ე პარაგრაფით დადგენილი ძირითადი დანაშაულის შემადგენლობა

„ბავშვთა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის¹³ მიღებით, 2021 წლის პირველი ივლისიდან გსსკ-ის 176-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული სამ შემადგენლობად დაიყო, რათა დანაშაულის სფერო უფრო ნათელი გამხდარიყო და დაწესებულიყო სხვადასხვა ზომის სასჯელი, რომლიც ორიენტირებული იქნებოდა უმართლობის სიმძიმეზე. გსსკ-ის 176-ე პარაგრაფი „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია“ რჩება, როგორც ძირითადი დანაშაული, თუმცა, მისთვის სასჯელის მინიმალურ ზომად განისაზღვრა ერთი წელი, რის გამოც იგი დანაშაულის სხვა კატეგორიას მიეკუთვნა (Verbrechen) (გსსკ-ის §12).¹⁴ აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის¹⁵ 153-ე, 153 a პარაგრაფების შესაბამისად, გამოძიებისას და სასამართლო განხილვებისას ველარ მოხდება პროცესის შეწყვეტა დანაშაულის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის სიმცირის გამო. ასევე აღარ არის შესაძლებელი, ზეპირი განხილვის გარეშე, სასჯელის შესახებ ბრძანების (Strafbefehl) მიღება (გსსკ § 407), რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსია. სახელმწიფოს მხრიდან სასურველია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მკაფიო მოქმედება, მაგრამ ვინაიდან ზღვარი დასჯად და არადასჯად სექსუალურ ქმედებას შორის ძალიან დაბალია და ბავშვების შემთხვევაში, ბავშვის სხეულის ზედა ნაწილზე შეხება, ენით კოცნა ან ბარდაყზე მოფერება უკვე გსსკ-ის 184 h პარაგრაფით გათვალისწინებულ სექსუალურ ქმედებას

¹³ Gesetz vom 16.6.2021 (Bundesgesetzblatt Bd. I, გვ. 1810).

¹⁴ გსსკ-ის 176-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი: თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ ერთი წლით ისჯება ის, ვინც 1. სექსუალურ ქმედებებს ახორციელებს თოთხმეტ წელს მიუღწეველ პირთან (ბავშვთან) ან საკუთარ თავზე ახორციელებს ბავშვის მეშვეობით; 2. ბავშვს იყოლიებს იმაზე, რომ სექსუალური ქმედებები განახორციელოს მესამე პირზე ან მესამე პირის მეშვეობით საკუთარ თავზე განახორციელოს; 3. სხვას სთავაზობს ბავშვს პირველ და მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ან პირდება ბავშვით უზრუნველყოფას.

¹⁵ შემდგომში შემოკლებულია, როგორც გსსსკ.

წარმოადგენს,¹⁶ მომავალში ესეთი უფრო მცირე მნიშვნელობის ქმედებებისთვის მოხდება არაპროპორციულად მკაცრი სასჯელის შეფარდება, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ერთი წლისა.

დღეს ბავშვები უფრო ადრე აბიჯებენ სექსუალური მომნიშვნის ასაკში. აქედან გამომდინარე, ხანდახან მათ უკვე აქვთ ხოლმე სქესობრივი კავშირები, თუმცა, ესეთი კავშირები სისხლისსამართლებრივი კუთხით არ არის რელევანტური, ვინაიდან გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, პირი 14 წლამდე ბრალუხანროდ მიიჩნევა (გსსკ-ის §19), შესაბამისად, პირს მხოლოდ 14 წლის მიღწევის შემდეგ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით პრობლემურია სქესობრივი კავშირი მოზარდებსა (ე.ი. 14-დან 18 წლამდე პირს) და ბრალუხანროდ ბავშვებს (ე.ი. 14 წლამდე პირს) შორის. ასეთი კავშირების დროს, რომ არ მოხდეს მოზარდი პარტნიორის არასაჭიროდ კრიმინალიზაცია და ბავშვის ადრეული სექსუალური მომნიშვნელობა რომ იქნეს გათვალისწინებული, გსსკ-ის 176-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სასჯელის შეუფარდებლობას ასაკობრივად ახლო მდგომ პირებს შორის, თუ სქესობრივი კავშირი განხორციელდა თანხმობით.¹⁷ მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელს შეეძლო საერთოდაც გამოერიცხა დასჯადობა, ანუ ასეთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა არ ჩაეთვალა შესრულებულად.

„ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია ბავშვის სხეულზე შეხების გარეშე“, მაგალითად, სექსუალური ქმედებები ბავშვის წინ ან ბავშვზე პორნოგრაფიული შინაარსის შემცველი საშუალებებით ზემოქმედება, გსსკ-ის 176 a პარაგრაფის მიხედვით

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ათ წლამდე. ხოლო ე.წ. კიბერგრუმინგის (Cybergrooming) შემთხვევები, ე.ი. ინტერნეტის გზით ბავშვზე ზეგავლენის მოპოვება, რათა შემდეგ მასთან დამყარდეს სქესობრივი კავშირი, გსსკ-ის 176 b პარაგრაფით მიჩნეულია, როგორც „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მომზადება“ და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი თვიდან ხუთ წლამდე. გსსკ-ის 176 c პარაგრაფის მიხედვით, „ბავშვთა მიძიმე სექსუალური ექსპლუატაციისთვის“ სასჯელის სახედ გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ორი წლისა. მოცემულ დანაშაულს მაშინ აქვს ადგილი, როცა დანაშავე რეციდივისტია. იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ნასამართლევი უნდა იყოს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ჩადენისთვის (გსსკ-ის 176 c პარაგრაფის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი), ან ბავშვთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარებისთვის (გსსკ-ის 176 c პარაგრაფის პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტი). გსსკ-ის 176 d პარაგრაფი შეეხება „სექსუალურ ექსპლუატაციის, რასაც მოჰყვა სიკვდილი“. მოცემული დანაშაული ისჯება უფადო თავისუფლების აღკვეთით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ 10 წლისა.

კანონმდებელს თავდაპირველად სურდა, რომ ტრადიციული ცნება „სექსუალური ექსპლუატაცია“ შეეცვალა „სექსუალიზირებული ძალადობით“. კანონმდებლის მოსაზრებით, „ბავშვთა ნებისმიერ სექსუალურ ქმედებას უნდა დაერქვას სექსუალიზირებული ძალადობა“,¹⁸ ვინაიდან ექსპლუატაციის (ბოროტად გამოყენების) ცნება ისე უღერს, რომ თითქოს ზოგადად შეიძლებოდა ბავშვთა მართლზომიერი გამოყენება. მისი აზრით, ძალადობის ცნებით უფრო კარგად ჩანს უმართლობა, რომელიც ძალთა ბალანსის ბოროტად გამოყენებაში მდგომარეობს.¹⁹ მოცემულ ტერმინოლოგიურ ცვლილებებს გერმანიის პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში მწვავე კრიტიკა მოჰყვა, რის გამოც კანონმდებელმა მათ გამოყენებაზე უარი თქვა, რაც სრულიად მართებულია.²⁰ ძალადობის ასეთი

¹⁶ Lackner, Karl/Kühl, Kristian/Heger, Martin, StGB, 29. Aufl. 2018, § 184 h Rn. 6; Hörnle, Tatjana, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 184 h Rn. 26.

¹⁷ გსსკ-ის 176-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტი: პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია, მოცემული ნორმის მიხედვით უარი თქვას სასჯელის შეფარდებაზე, თუ დამნაშავესა და ბავშვს შორის სქესობრივი ქმედება განხორციელდა თანხმობით და მათ შორის, როგორც ასაკობრივი, ასევე განვითარების დონესა და მონიფულობას შორის სხვაობა მცირეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამნაშავე იყენებს ბავშვის ნაკლებ უნარს, რომ მიიღოს გადაწყვეტილება მის სექსუალურ თვითგანსაზღვრულობაზე.

¹⁸ Bundestagsdrucksache 19/23707, გვ. 22.

¹⁹ Bundestagsdrucksache 19/23707, გვ. 2, 22, 37.

²⁰ ექსპერტების: Busweiler, Julia/Eisele, Jörg/Hörnle, Tatjana/Kinzig, Jörg და Lederer, Jenny-ის მიერ გამოთქმულ კრიტიკასთან დაკავშირებით შდრ. გერმანიის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის 115-ე სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციები, რომელთა ნახვა შესაძლებელია:

განმარტება არ შეესაბამება ძალადობის ტრადიციულ ცნებას, რომელიც გსსკ-შია განმტკიცებული. როგორც წესი, ძალადობის ცნების შემთხვევაში, უნდა ფიგურირებდეს როგორც მსხვერპლის (სხეულზე იძულების განხორციელება), ისე დამნაშავის სხეული (სხეულით ძალის გამოყენება). გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ძალადობა არის მსხვერპლის სხეულზე განხორციელებული იძულება დამნაშავის მიერ ძალის გამოყენებით, რათა დაძლიოს მსხვერპლის მხრიდან მომდინარე ან მოსალოდნელი წინააღმდეგობა.²¹ „სექსუალიზირებული ძალადობის“ ცნებას კი შეეძლო ჩაეთვალა ისეთი ქმედებებიც ძალადობად, რომლებიც დაკავშირებულია მანიპულაციასთან, ასევე ისეთ ქმედებები, რომლებიც არ მოიცავს არანაირ ფიზიკურ კონტაქტს. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოვიდოდა ძალადობის სისტემურ განმარტებასთან. გარდა ამისა, კანონმდებლის მოსაზრებისგან განსხვავებით, არსებობს მეორე მხრივ საფრთხე იმისა, რომ ახალი დანაშაულების განმარტებისას გამოყენებული იქნება გსსკ-ის 240-ე პარაგრაფში მოცემული ძალადობის მახასიათებლები, რომელსაც სექსუალური ექსპლუატაციის მრავალი შემთხვევასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ამასთან, სექსუალური ექსპლუატაციის ცნება შეესაბამება საერთაშორისო დონეზე გამოყენებულ ტერმინოლოგიას. საბოლოოდ, კანონმდებელმა ცვლილებების განმახორციელებელი კანონპროექტის დასათაურებისას მაინც გამოიყენა ცნება „სექსუალიზირებული ძალადობა“, თუმცა, ცალკეული დანაშაულების ქმედების შემადგენლობების დასათაურებისას და შემადგენლობაში მოცემული უმართლობის ფორმულირებისას ისევ „სექსუალური ექსპლუატაციის“ ცნებაზე შეჩერდა.²²

<https://www.bundestag.de/dokumente/textarchiv/2020/kw50-pa-recht-schutz-kinder-808830#tab-830108> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

²¹ BVerfGE 92, 1, 17; Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 240 Rn. 8; Kindhäuser, Urs/Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil 1, 10. Aufl. 2021, § 12 Rn. 5; Sinn, Arndt, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 240 Rn. 37; ფაქტობრივად განმასხვავებლად: Lackner, Karl/Kühl, Kristian/Heger, Martin, StGB, 29. Aufl. 2018, § 240 Rn. 6.

²² Bundestagsdrucksache 19/27928, გვ. 23 და მომდევნო გვერდი; Haase, Maria, KriPoZ JuP, 2021, 142 და მომდევნო გვერდები, ხელმისაწვდომია: <https://kripoz.de/2021/09/27/22843/> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

2. სხვა რეგულაციები, რომლებიც მიმართულია ბავშვთა დაცვისკენ

ა) სექსუალური ექსპლუატაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები, გსსკ-ის პარაგრაფი 176 e

2021 წლის 22 სექტემბერს ძალაში შევიდა გსსკ-ის 176 e პარაგრაფი „სექსუალური ექსპლუატაციის ჩადენისათვის სახელმძღვანელო მითითებების გავრცელება და ფლობა“.²³ კრიმინალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მოცემული ნორმის მიღების საფუძველი გახდა ის გაუმართლებელი ქმედებები, რომელიც პირდაპირ კავშირშია ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან. კერძოდ, ინტერნეტ სივრცეში, განსაკუთრებით ე.წ. დარქნეტში არსებობს პედოფილების სუბკულტურული პლატფორმები, სადაც ხელმისაწვდომია სახელმძღვანელო მითითებები, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საუკეთესო გზით ბავშვის სექსუალური გამოყენება (ექსპლუატაცია).²⁴ საკანონმდებლო პროცესში ხაზი გაესვა იმას, რომ ესეთი სახელმძღვანელო მითითებების აღმოჩენა ხდება პედოფილ ეჭვიმტანილებთან.²⁵ ესეთი „რჩევებით“ ისინი საკუთარ მიდრეკილებას აღვივებენ, რომ შემდგომ ჩაიდინონ გსსკ-ის 176-ე და მომდევნო პარაგრაფებით გათვალისწინებული დანაშაულები. კანონმდებელი აღიარებს, რომ ამ შემთხვევაში, დროის კუთხით გაცილებით უფრო ადრე ხდება დამნაშავის დასჯა, ე.ი. იქამდე, ვიდრე დამნაშავე ბავშვის ექსპლუატაციას განახორციელებს ან განხორციელებას შეეცდება, მაგრამ ეს მიდგომა აუცილებელია ბავშვთა ეფექტურად დაცვის მიზნით.²⁶ გარდა ამისა, სახელმძღვანელო მითითებებში გამოყენებულია ზიზლის ენა, რომელიც ბავშვებს წარმოაჩენს სექსუალური ექსპლუატაციის სუბიექტად, დანაშაულს კი – ჩვეულებრივ მოვლენად. აღსანიშნავია, რომ გსსკ-ის მე-5 პარაგრაფის მე-8 ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემული ნორმა ვრცელდება საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებზეც, მხოლოდ იმ პირობით, თუ

²³ Gesetz vom 14.9.2021 (Bundesgesetzblatt Bd. I, გვ. 4250).

²⁴ Kubiciel, Michael, juris PraxisReport Strafrecht, 13/2021, Anm. 1.

²⁵ Bundestagsdrucksache 19/31115, გვ. 11.

²⁶ Bundestagsdrucksache 19/31115, გვ. 11.

დამნაშავე გერმანელია. გარდა ამისა, გამოძიებლებს, რომლებიც სახელმძღვანელო მითითებების გამოძიებაზე მუშაობენ, შეუძლიათ ინტერნეტ სივრცეში ატივრონ ბავშვთა პორნოგრაფიის ცრუ ჩანაწერი და ამ გზით გაიკვალონ გზა დამნაშავეთა წრეებისკენ (გსსკ-ის 176-ე პარაგრაფის მე-5 პუნქტის მიხედვით, არ ისჯება პირი, როცა ის როგორც ფარული გამოძიებელი გამოძიების მიზნებისთვის ჩადის დანაშაულს).²⁷

ბ) ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული გამკაცრებები, გსსკ-ის §184 b

2021 წლის პირველ ივლისს ასევე გამკაცრდა სასჯელი ბავშვთა პორნოგრაფიის მიმართულებითაც.²⁸ კერძოდ, გსსკ-ის 184 b პარაგრაფში მოცემულია დანაშაული „ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი მასალის გავრცელება, მოპოვება და ფლობა“. ცვლილებების შედეგად, დანაშაულისათვის გაიზარდა სასჯელის ზომა და ამჟამად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთი წლიდან ათ წლამდე. ბავშვთა პორნოგრაფია, ისევე როგორც ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, მიეკუთვნა ისეთ დანაშაულთა კატეგორიას, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ერთი წლისა (Verbrechen). შესაბამისად, გსსკ-ის 176-ე პარაგრაფის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც დამნაშავის მიმართ ვეღარ იქნება გამოყენებული „მოკრძალებული“ მიდგომა, ე.ი. აღარ იქნება შესაძლებელი მის მიმართ პროცესის შეწყვეტა (გსსკ-ის §§153, 153 a) ან სასჯელის შესახებ ბრძანების (გსსკ-ის §407) მიღება. ნაკლებად მკაცრი სასჯელი შენარჩუნდა ისეთი გამოსახულებების შემთხვევაში, რომლებიც არ ასახავენ რეალურ შემთხვევებს. ამის საპირისპიროდ, სასჯელი გამკაცრდა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, თუ იგი შეეხება ისეთ პორნოგრაფიულ მასალას, რომელშიც ასახულია რეალური შემთხვევა.

გ) ბავშვის მსგავსი სექსუალური აკრძალვა, გსსკ-ის §184 I

დიდ უცნაურობას წარმოადგენს გსსკ-ის 184 I პარაგრაფში განმტკიცებული ახალი დანაშაული,

რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის პირველ ივლისს. ნორმის მიზანია ბავშვის მსგავს სექსუალურ ნებთან დაკავშირებული ქმედებების დასჯადად გამოცხადება, ე.ი. დასჯადია სექსუალური ნების დამზადება, შეთავაზება, რეკლამირება, ვაჭრობა, მინოდება ან სავაჭრო სივრცეში გაშვება. რაც შეეხება მოცემული სექსუალური ფლობას, იგი ისჯება გსსკ-ის 184 I პარაგრაფის მე-2 პუნქტით.²⁹

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ნორმა თითქმის ყველა ექსპერტმა გააკრიტიკა, კანონმდებელმა იგი გსსკ-ში მაინც განამტკიცა. აღნიშნული მიუთითებს კანონმდებლის მხრიდან მეცნიერების დიდ უგულვებლყოფზე და კიდევ ერთხელ ამტკიცებს (არა მხოლოდ სექსობრივი დანაშაულების მიმართ) იმას, რომ მასმედიასა და სოციალურ ქსელებში გამოხატული აღშფოთება ზოგიერთ პარლამენტარს უძლიერებს მის ამბიციურ განზრახვას, რომ შეიქმნას პოპულისტურ ხედვებზე დამყარებული დამსჯელობითი კანონმდებლობა. ფაქტიურად უცნობია, რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება ნორმა, შესაბამისად, ამ ნორმით დასჯადია ისეთი ქმედება, რომელიც დროის თვალსაზრისით რეალური დანაშაულის ჩადენიდან ძალიან დაშორებულია.³⁰ გარდა ამისა, არ არსებობს არანაირი ემპირიული დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა მოცემული თოჯინებიდან მომდინარე საფრთხეს, ანუ ცხადყოფდა, რომ სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ასეთი თოჯინის გამოყენება გამოიწვევდა ე.წ. „Hands-on-Delikt“-ს, ე.ი. რეალურად მოხდებოდა ბავშვთა ექსპლუატაცია.³¹ საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე

²⁹ გსსკ-ის 184 I პარაგრაფის პირველი პუნქტის პირველი წინადადება: თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით ისჯება ის, ვინც 1. აწარმოებს, სთავაზობს ან რეკლამირებას უწევს ბავშვის სხეულის ან სხეულის ნაწილის რეპროდუქციას, რაც მისი ბუნებიდან გამომდინარე გამიზნულია სექსუალური ქმედებების განსახორციელებლად ან 2. პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეპროდუქციით ვაჭრობს ან შემოაქვს მოცემული კანონის მოქმედების სფეროში ან სფეროს გავლით ან 3. ვაჭრობის გარეშე, პირველ ქვეპუნქტში აღწერილ რეპროდუქციას ასხვისებს, აბარებს ან სხვა გზით უშვებს ვაჭრობაში.

³⁰ *Faehling, Karen*, KriPoZ JuP, 2021, 158, 173, ხელმისაწვდომია: <https://kripoz.de/2021/09/27/22843/> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

³¹ *Lederer, Jenny*, Stellungnahme, 115. Sitzung Rechtsausschuss am. 7. 12. 2020, გვ. 1 და მომდევნო გვერდები.

²⁷ *Kubicjel, Michael*, juris PraxisReport Strafrecht, 13/2021, Anm. 1.

²⁸ Gesetz vom 16.6.2021 (BGBl. I გვ. 1810).

ეხება პირადი ცხოვრების მიკუთვნებული სფეროს კრიმინალიზაციას, მაშინ როცა ქმედების უარყოფითი შედეგები არ დასტურდება. ნორმით ხდება იმ პედოფილების დასჯა, რომლებიც მოცემული თოჯინების მეშვეობით „მიისწრაფვიან, საკუთარი სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ, ისე რომ არ ახდენენ ბავშვთა ექსპლუატაციას.“³²

IV. ინტიმური ფოტოების სისხლისამართლებრივი დაცვა, გსსკ-ის §184 k

ბოლოს, ასევე, უნდა შევეხოთ დანაშაულს, რომელიც 2021 წლის პირველ იანვარს შევიდა ძალაში, კერძოდ, გსსკ-ის 184 k პარაგრაფი „ინტიმური სფეროს ხელყოფა ფოტოების გადაღებით“.³³ ნორმის მიღების საფუძველი გახდა ორი დაზარალებული ქალბატონის პეტიცია, რომლებიც ითხოვდნენ რომ დასჯად ქმედებად გამოეცხადებინათ ე.წ. *Upskirting*, ე.ი. ქვედაბოლოს შიგნით ფოტოს ფარულად, უნებართოდ გადაღება. საკანონმდებლო პროცესისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო პერსონალური უფლებების დაცვა: უნდა გაფართოებულიყო გსსკ-ის 201 a პარაგრაფში მოცემული დანაშაული „ფოტოს გადაღებით პირადი ცხოვრების განსაკუთრებით დაცული სფეროსა და პირადი უფლებების ხელყოფა“ თუ ახალი ნორმა უნდა განთავსებულიყო გსსკ-ის კერძო ნაწილის მე-13 თავში, რომელშიც მოცემულია „დანაშაულები სექსუალური თვითგანსაზღვრულობის წინააღმდეგ“. საბოლოოდ ნორმა სქესობრივ დანაშაულთა თავში განმტკიცდა, ვინაიდან ფოტოებზე გამოსახულია სხეულის კონკრეტული ნაწილები, რის გამოც ირღვევა არა მხოლოდ საკუთარ გამოსახულებაზე უფლება, არამედ პირველ რიგში ილახება მსხვერპლთა სექსუალური თვითგანსაზღვრულობის (თვითგამორკვევის) უფლება.³⁴

³² Hörnle, Tatjana, Stellungnahme, 115. Sitzung Rechtsausschuss am 7.12. 2020, გვ. 13.

³³ Gesetz v. 9.10.2020 (BGBl. I გვ. 2075).

³⁴ Kindhäuser, Urs/Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil 1, 10. Aufl. 2021, § 21 Rn. 27; Ziegler, Theo, Beck'scher Onlinekommentar zum StGB, 50. Ed., § 184 k Rn. 1; აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკა: Renzikowski, Joachim, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl.

გსსკ-ის 184 k პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობა³⁵ პირველი პუნქტის 1-3 ქვეპუნქტებში მოიცავს სხვადასხვა ქმედებებს. დანაშაულის ობიექტია: გენიტალები, საჯდომი, ქალის მკერდი ან შიდა თეთრეულით დაფარული სხეულის ნაწილები. ამასთან, აღნიშნული მოიცავს არა მხოლოდ „Upskirting“-ს, არამედ ასევე „Downblousing“-ს (ფოტოების გადაღება მკერდის ღარისთვის). აუცილებელი არ არის, რომ მოხდეს პირის იდენტიფიცირება.³⁶ დანაშაულის საგანი არის ფოტო გამოსახულებები. მათში მოიაზრება როგორც სტატიკური ფოტოები, ისე ვიდეოები, რომელთა დამახსოვრებაც შეიძლება ანალოგიური და ციფრული ფორმით. ასევე მოიაზრება გამოსახულებები, რომელთა დამახსოვრებაც არ ხდება, მაგალითად, ფოტოების გადაღება სტრიმინგის მეშვეობით.³⁷ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის კუთხით, პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ დამნაშავე მოქმედებდეს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით (ნებელობა), ან მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით (ცოდნა). პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებისათვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვა.³⁸ ქმედების სუბიექტური შემადგენ-

2021, § 184 k Rn. 2., კანონმდებლის არასრული და ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია; მოცემული რეგულაცია წესით ეკუთვნის გსსკ-ის 201a პარაგრაფს, ვინაიდან ამგვარი ფოტოები არ წარმოადგენს სექსუალური თვითგანსაზღვრულობის (თვითგამორკვევის) ხელყოფას.

³⁵ გსსკ-ის 184 k პარაგრაფის პირველი პუნქტი: თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ისჯება ის, ვინც 1. მიზანმიმართულად ან გაცნობიერებულად სხვა პირის არაშიშველი გენიტალების, საჯდომის, ქალის მკერდის ან შიდა თეთრეულით დაფარული ზემოაღნიშნული ნაწილების ფოტოებს ნებართვის გარეშე ამზადებს ან გადასცემს; 2. პირველ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებით წარმოებულ ფოტოს იყენებს ან მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომს ხდის; 3. ნებართვით წარმოებულ ფოტოს, პირველ ქვეპუნქტში მოცემული ფორმით, გაცნობიერებულად და ნებართვის გარეშე მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომს ხდის.

³⁶ Kindhäuser, Urs/Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil 1, 10. Aufl. 2021, § 21 Rn. 32.

³⁷ Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 184 k Rn. 2; შდრ. Graf, Jürgen Peter, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 201a Rn 23; Eisele, Jörg, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, StGB, 30. Aufl. 2019, § 201a Rn. 6.

³⁸ შდრ. Ziegler, Theo, Beck'scher Onlinekommentar zum StGB, 50. Ed., § 184 k Rn. 15; Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 184 k Rn. 13; Renzikowski, Joachim, in: Mün-

ლობისათვის მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის მოტივს, დამნაშავე შეიძლება მოქმედებდეს სექსუალური ან კომერციული მოტივით.³⁹

დანაშაულებრივი ქმედება არის ფოტოების უნებართო წარმოება ან გადაცემა, თუ ფოტოზე არ არის გამოსახული შიშველი სხეულის ნაწილები (მაგალითად, თუ ეს ნაწილები დაფარულია ტანსაცმლით ან ცხვირსახოცით). ქმედება არ მოიცავს ორთქლის აბანოში, საუნაში ან ნუდისტურ სანაპიროზე გადაღებულ ფოტოებს, ასევე არ მოიცავს სპორტული აქტივობის დროს გადაღებულ ფოტოებს, თუკი ამ აქტივობის დროს როგორც წესი ჩანს ხოლმე შიდა თეთრეული (მაგალითად, ჩოგბურთის დროს).⁴⁰ ფოტოების წარმოებაში იგულისხმება ფოტოს შექმნა.⁴¹ გადაცემაში კი იგულისხმება გამოსახულების გადაცემა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, რეალურ დროში განხორციელებული გადაცემით.⁴² უნებართო წარმოება და გადაცემა კი გულისხმობს შემთხვევას, როცა აღნიშნული ხორციელდება გამოსახულებაზე გამოსახული პირის ნების (კონკლუდენტური ნების) გარეშე.

ნორმის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, დასჯადია პირველ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებით წარმოებული გამოსახულების გამოყენება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პირველი პუნქტის პირველი და მეორე ქვეპუნქტებისგან განსხვავებით, მე-3 ქვეპუნქტი მოიცავს ნებართვით გადაღებულ გამოსახულებებს, რომლებიც შემდეგ ნებართვის გარეშე გახდა ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის.

წინამდებარე სტატიის დასრულისას ასევე უნდა ითქვას, რომ 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან ადევნების დანაშაულის შემთხვევაშიც (გსსკ-

ის §238), უზრუნველყოფილია ფოტო და ვიდეო გამოსახულებების გაძლიერებული დაცვა.⁴³ ის, ვინც სხვა პირს უნებართოდ ადევნება და ამით გამოიწვევს მისი ცხოვრების მნიშვნელოვან გაუარესებას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით. გსსკ-ის 238-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, ადევნების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს პირის, მისი ნათესავის ან სხვა ახლობელი პირის გამოსახულების მრავალჯერადი გავრცელება ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული შეიძლება გავრცელდეს შიშველ ან პორნოგრაფიულ გამოსახულებებზეც, კერძოდ, ე.წ. „revenge porn“-ის ფორმით, რაც გულისხმობს შემთხვევას, როცა მიტოვებული პარტნიორი მისი ყოფილი მეგობარი გოგოს შიშველ ფოტოებს ავრცელებს ინტერნეტში მასზე შურისძიების მიზნით.⁴⁴

chener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 184 k Rn. 23 და მომდევნო გვერდითი ველები.

³⁹ შდრ. Bundestagsdrucksache 19/20668 გვ. 15.

⁴⁰ Renzikowski, Joachim, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 184 k Rn. 15.

⁴¹ შდრ. Lackner, Karl/Kühl, Kristian, StGB, 29. Aufl. 2018, § 201a Rn. 4; Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 184 k Rn. 9; Renzikowski, Joachim, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl. 2021, § 184 k Rn. 16.

⁴² შდრ. Lackner, Karl/Kühl, Kristian, StGB, 29. Aufl. 2018, § 201a Rn. 5; Fischer, Thomas, StGB, 68. Aufl. 2021, § 184 k Rn. 10.

⁴³ Gesetz v. 10.8.2021 (BGBl. I გვ. 3513).

⁴⁴ Kindhäuser, Urs/Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil 1, 10. Aufl. 2021, § 18 Rn. 38.

გაუფრთხილებლობით დანაშაულები ობიექტური და სუბიექტური მასშტაბის მნიშვნელობა

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. **ლევან ხარანაული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

ქართულმა სისხლის სამართლის მეცნიერებამ გერმანული სისხლის სამართლის წყალობით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია,¹ რაც, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის სამწვეროვანი სისტემის ჩამოყალიბებაში გამოიხატა.²

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის სამწვეროვანი დაყოფა წარმოადგენს წარმატებულ ნაბიჯს კონტინენტური ევროპის სამართალში, დანაშაულის სისტემაში მისი ელემენტების განლაგების საკითხი დღემდე ინვეს აზრთა სხვაობას. ეს პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც საქმე შეეხება გაუფრთხილებლობით დანაშაულს.³ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის

შესახებ ერთი მოძღვრების მეორეთი ჩანაცვლების მიზეზი სწორედ გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებული საკითხები გამხდარა.⁴ ეს შეეხო როგორც კლასიკურ, ასევე ფინალურ მოძღვრებებს.⁵ ამის გამო სისხლის სამართლის მეცნიერებამ გაუფრთხილებლობის ახალ სისტემას დაუდო სათავე, რომელიც ნეოკლასიკური და ფინალური მოძღვრებების ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს (ნეოფინალიზმი). მასში დანაშაულის ისეთი ელემენტი, როგორც არის გაუფრთხილებლობა, ორმაგი ფუნქციითაა წარმოდგენილი, კერძოდ, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობის, ხოლო ბრალის ეტაპზე ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის სახით. ამასთან, გაცნობიერებული გაუფრთხილებლობის დროს აღიარებულია ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.⁶

¹ მე-20 საუკუნის ბოლოდან გააქტიურდა ქართულ-გერმანული ორმხრივი დიალოგი სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროში, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა. ამ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორს ჰაინერ ალვარტს. სწორედ პატივცემული იუბილარის ხელშეწყობითა და პატრონაჟით ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ იენის უნივერსიტეტში სამეცნიერო-სასავლო პროგრამებში მონაწილეობით გაიღრმავა თავიანთი ცოდნა და განივითარა საკუთარი მეცნიერული უნარები. ყოველივე ამის გამო, გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო პატივცემული იუბილარის მიმართ.

² ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის სამწვეროვანი დაყოფის შესახებ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის-სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989, გვ. 138-155; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 70 და მომდევნო გვერდები; *Turava, Merab*, Straftatsysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbegriffs. Ein Beitrag zur Entwicklung eines rechtsstaatlichen Strafrechts in Georgien, 1997, გვ. 13 და მომდევნო გვერდები.

³ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის განვითარების ისტორიის და გერმანული სისხლის სამართლის ქართულ სისხლის სამართლის გავლენის შესახებ იხ. *ხარანაული*,

ლევან, გაუფრთხილებლობის ევოლუცია დანაშაულის კლასიკური მოძღვრებიდან თანამედროვე სისტემამდე, „სამართლის ჟურნალი“ 1/2018, 177 და მომდევნო გვერდები.

⁴ გაუფრთხილებლობის პრობლემატიკის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიური სწავლების საფუძველზე ხორციელდებოდა. ამ მხრივ, გამოირჩევა *კანტიანური* იდეალისტური და ნეოკანტიანური ფილოსოფიური სწავლებები. იხ. *Vormbaum, Thomas*, Einführung in die moderne Strafrechtsgeschichte, 3. Aufl., 2013, გვ. 47. ამ გავლენებზე *ამელუნგი* წერდა, რომ გერმანულ მოძღვრებას და სისხლის სამართლის დოგმატიკას სოციალურ-სპირიტუალისტური ხასიათი გააჩნია. იხ. *Amelung, Knut*, Rechtsgüterschutz und Schutz der Gesellschaft, 1972, გვ. 32.

⁵ იხ. *Heinrich, Bernd*, Strafrecht Allgemeiner Teil, 4. Aufl., 2014, გვ. 43.

⁶ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ: 6-7, 10, 546; *ხარანაული, ლევან*, გაუფრთხილებლობის ევოლუცია დანაშაულის კლასიკური მოძღვრებიდან თანამედროვე სისტემამდე, „სამართლის ჟურნალი“ 1/2018, 177 და მომდევნო გვერდები. სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში ჩამოყალიბებული გაუფრთხილებლობისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ სისხლის სამართალში ბრალის ეტაპზე ასევე უნდა დადგინდეს ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის თანამედროვე მოძღვრების მიხედვით გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სისტემაში, განსხვავებული მეცნიერული მოსაზრებების კრიტიკული ანალიზის ფონზე, განხილულია გაუფრთხილებლობის ობიექტური და სუბიექტური (ინდივიდუალური) შეფასების მასშტაბის მნიშვნელობა.

II. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი მოდელების მოკლე მიმოხილვა

დანაშაულის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბების შედეგად გაუფრთხილებლობა განზრახვის გვერდით, როგორც ბრალის ფორმა აღარ გაიგება, არამედ იგი არის დასჯადი ქმედების განსაკუთრებული ტიპი, რომელსაც უმართლობასა და ბრალში საკუთარი ელემენტები გააჩნია.⁷

სწორედ ამ ელემენტების განლაგების და მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით (როგორც ქართულ, ასევე გერმანულ) სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაუფრთხილებლობის სხვადასხვა მოდელია წარმოდგენილი. გაბატონებული შეხედულების მიხედვით, გაუფრთხილებლობა, როგორც დასჯადი ქმედების განსაკუთრებული ტიპი, იყენებს შეფასების ორმაგ მასშტაბს. თავდაპირველად, არასასურველი ზიანის თავიდან აცილების თვალსაზრისით, მოწმდება საფრთხის სიტუაციაში ობიექტურად რომელი ქცევა არის მოთხოვნილი. მეორე ეტაპზე ირკვევა, რამდენად მოეთხოვება პირადად დამნაშავეს ასეთი ქცევის შესრულება თავისი ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებით.⁸

გაუფრთხილებლობითი ქმედების შემადგენელი ნაწილებია წინდახედულობის ნორმის დარღვევა, შედეგის ობიექტური გათვალისწინებულობა და შედეგის თავიდან აცილებადობა, ხოლო ბრალის შემადგენელია – წინდაუხედაობისა და გაუთვალისწინებულობის გაკიცხვა.⁹ ე. ი. გაუფრთხილებლობითი ბრალი ეფუძნება შერაცხვაუნარიანობას, დამნაშავის მოთხოვნილი წინდახედულობისა და გათვალისწინების უნარს და ნორმით მოთხოვნილი შესაბამისი ქცევის შესრულების შესაძლებლობას (Die Zumutbarkeit normgemässen Verhaltens).¹⁰

გაუფრთხილებლობის ორსაფეხურიანი მოდელში დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა აღიარებული არ არის.¹¹ ამის მიუხედავად, ზოგიერთი მეცნიერი სამართლიანად აღიარებს გაუფრთხილებლობით დელიქტებში სუბიექტურ შემადგენლობას, ოღონდ მხოლოდ თვითიმედოვნების (გაცნობიერებული გაუფრთხილებლობის) დროს. დაუდევრობას (გაუცნობიერებელი გაუფრთხილებლობას) სუბიექტური შემადგენლობა არ გააჩნია, რადგან ამ დროს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები და წინაპირობები დამნაშავის წარმოდგენით არ არის მოცული.¹²

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ორსაფეხურიანი გაგებისაგან განსხვავებით, ზოგიერთი მეცნიერი მხარს უჭერს გაუფრთხილებლობის ერთსაფეხურიან გაგებას. აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით წინდახედულობის ნორმის განჭვრეტადობის და შედეგის თავიდან აცილებადობის ინდივიდუალური შესაძლებლობები ქმედების შემადგენლობაში თავსდება. მაშასადამე, გაუფრთხილებლობის დროს ყველა ობიექტური და სუბიექტური ელემენტი ქმედების შემადგენლობაში მოწმდება, ხოლო გაუფრთხილებლობით ბრალში

⁷ იხ. *Dias, Jorge de Figueiredo*, Schuld und Persönlichkeit, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft (ZStW), 1983, 246. გაუფრთხილებლობითი დელიქტი განზრახვის ტექნიკურ ანექსს აღარ წარმოადგენს, როგორც ამას *ბინდინგი* ამბობდა. ამის შესახებ იხ. *Heng-da Hsu*, Zurechnungsgrundlage und Strafbarkeitsgrenze der Fahrlässigkeitsdelikte in der modernen Industriegesellschaft, 2009, გვ. 102-103.

⁸ იხ. *Jescheck, Hans-Heinrich*, Beiträge zum Strafrecht 1980-1998, 1998. გვ. 183. ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაუფრთხილებლობის ორმასშტაბიანობის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა *ტურავამ*. იხ. *Turava, Merab*, Straftatsysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbe-

griffs, 1998, გვ. 256-257; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, 2010, გვ. 163-164.

⁹ იხ. *Jescheck, Hans-Heinrich*, Beiträge zum Strafrecht 1980-1998, 1998, გვ. 121.

¹⁰ იხ. *Jescheck, Hans-Heinrich*, Beiträge zum Strafrecht 1980-1998, 1998, გვ. 121.

¹¹ იხ. *Otto, Harro/Bosch, Nikolaus*, Übungen im Strafrecht, 7. Aufl., 2010, გვ. 44-45.

¹² იხ. *ტურავა, მერაბ*, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სისტემა, ცალკეული ელემენტების ახლებურად განმარტებისათვის, ოთარ გაყრელიძის 80 წლისადმი მიძღვნილ კრებული, 2016, გვ. 229; *Roxin, Claus*, Strafrecht Allgemeiner Teil, 1. Band, 4. Aufl., 2006, გვ. 1090.

მხოლოდ სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობები (Zumutbarkeit) განიხილება, ასევე აქვე მოწმდება ბრალის სხვა დანარჩენი ელემენტები (მაგალითად, შერაცხაობა და ბრალის გამომრიცხველი საპატივბელი გარემოებები).¹³

ერთსაფეხურიანი მოდელის მხარდამჭერები აკრიტიკებენ გაუფრთხილებლობის ორსაფეხურიან დაყოფას და აღნიშნავენ, რომ ასეთი დაყოფა დანაშაულის კლასიკურ მოძღვრებაზე დაფუძნებული, სადაც სუბიექტური მხარის ყველა ნიშანი, განზრახვა-გაუფრთხილებლობის გათვალისწინებით, ბრალშია გადატანილი. მათი დაასკვნით წინდახედულობის დარღვევის გათვალისწინებულობის (შეცნობადობის) უნარს და თავიდან აცილებადობას ქმედების შემადგენლობაში უნდა მოექცნოთ ადგილი. სწორედ ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა გაუფრთხილებლობითი ცნების ერთსაფეხურიანი (ერთ დონიანი) მოდელი, სადაც გაუფრთხილებლობითი ქმედების ყველა სპეციფიკური ელემენტი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე იქნა გადატანილი, ხოლო ბრალის ეტაპზე განიხილება ის საკითხი, დამნაშავეს რამდენად ჰქონდა წინდახედულობის დაცვის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა (Die Zumutbarkeit normgemässen Verhaltens).¹⁴

ასეთმა მოსაზრებამ შესაძლებელია უნებლიე საფრთხე შეუქმნას დანაშაულის სამწვეროვანი დაყოფის კონცეფციას. თუ ინდივიდუალური შერაცხვაუნარიანობის კრიტერიუმში, ქმედების შემადგენლობაში ჰპოვებს ადგილს, მაშინ ეს გამოიწვევს ბრალის შინაარსის ქმედების შემადგენლობის შინაარსში აღრევას. ამიტომ ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების დადგენის საკითხი ბრალის პრობლემაა.

III. გაუფრთხილებლობითი დელიქტის შეფასების ობიექტური მასშტაბი

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სისტემაში, როგორც აღინიშნა, გაუფრთხილებლობის კომპონენტების განლაგება იწვევს აზრთა სხვა-

დასხვაობას, საიდანაც ყველაზე მეტ მხარდაჭერას იმსახურებს პოზიცია, რომლის მიხედვით ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოწმდება წინდახედულობის მოვალეობის დარღვევა, შედეგის დადგომის გათვალისწინების და შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.¹⁵

წინდახედულობის ნორმის დარღვევა¹⁶ ყოველი გაუფრთხილებლობითი დელიქტის აუცილებელი ნიშანია. ამასთან, წინდახედულობის ნორმა თავისი ბუნებით უსაფრთხოების ნორმის სინონიმია.¹⁷ მიუხედავად იმისა, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ცალკეულ შემადგენლობებში უსაფრთხოების ნორმების (წინდახედულობის ნორმების) დარღვევებზე პირდაპირ არ არის მითითებული, ისინი მაინც გამომდინარეობენ მოცემული ნორმების შინაარსიდან.¹⁸ მაშასადამე, ობიექტური წინდახედულობის დარღვევის სწავლების მიხედვით, წინდახედულობის დარღვევა განისაზღვრება დამნაშავეს პიროვნებისაგან დამოუკიდებელი ზოგადი კრიტერიუმებით, რომლებიც აღმოცენდებიან როგორც კანონმდებლობით დარეგულირებული წინდახედულობის მოთხოვნებიდან, კერძოდ, ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებიდან, ასევე წინდახედულობის მასშტაბებიდან, რომლებიც შესაბამისი ურთიერთობის სფეროშია აღიარებული.¹⁹ ასეთი ნორმებია, მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 116-ე მუხლი), ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 124-ე მუხლი). საკითხის ასეთი გადანაცვლება ეფუძნება გაუფრთხილებლობის ზოგად განმარტებას, რომელიც მოცე-

¹⁵ იხ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 558-559.

¹⁶ გამყელიძეს მიაჩნია, რომ ტერმინი „თვითიმედოვნება“ (გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა) უნდა შეიცვალოს ტერმინით „წინდაუხედაობა“. ამით იგი ერთი მხრივ, განსხვავდება ევენტუალური განზრახვისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, დაუდევრობისაგან. იხ. გამყელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ. 199.

¹⁷ იხ. უგრეხელიძე, მინდია, წინდახედულობის ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 4/1971, 56.

¹⁸ იხ. უგრეხელიძე, მინდია, წინდახედულობის ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 4/1971, 57.

¹⁹ იხ. Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang, Strafrecht Allgemeiner Teil, 11. Aufl., 2003. გვ. 529.

¹³ ერთსაფეხურიანი მოდელის შესახებ იხ. Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut, Strafrecht Allgemeiner Teil, 45. Aufl., 2015, გვ. 311.

¹⁴ იხ. Kindhäuser, Urs, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2015, გვ. 292.

მულია საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლში, სადაც ყურადღება გამახვილებულია წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედების, მოსალოდნელი შედეგის გაცნობიერება-გაუცნობიერებლობის და თავიდან აცილებადობის თაობაზე. შესაბამისად, სსკ-ის მე-10 მუხლის მიხედვით, წინდახედულობის ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობითი დელიქტის სისტემის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სპეციალური ან საყოფაცხოვრებო ნორმების დარღვევაში.²⁰

როგორც წესი, წინდახედულობის ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას მთლიანად მოიცავს,²¹ მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, წინდახედულობის ნორმის დარღვევა მხოლოდ შედეგზეა ორიენტირებული და შესაბამისად, მოცემული ნორმა მხოლოდ შედეგიან გაუფრთხილებლობით დანაშაულებს ესადაგება, ხოლო უშედეგო გაუფრთხილებლობითი დელიქტები (ე.წ. ფორმალური შემადგენლობები) მოცემული ნორმის განმარტების მიღმა რჩებიან. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლში გაუფრთხილებლობის არსი არასრულყოფილად არის გადმოცემული.

ზოგიერთი მეცნიერი კრიტიკულად აფასებს გაუფრთხილებლობაში წინდახედულობის ნორმის დარღვევის ელემენტის ცალკე გამოყოფას და მიაჩნია, რომ წინდახედულობის დარღვევა გაუფრთხილებლობითი ქმედების სინონიმია.²² ასეთი მსჯელო-

ბები ინტერესს იწვევს, რადგან წინდახედულობის მოთხოვნის დარღვევა ლოგიკურად ქმედებასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, გაუფრთხილებლობით დელიქტებში წინდახედულობის მოვალეობის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ ქმედების განხორციელებით დაირღვეს და ამ გაგებით ქმედებისა და წინდახედულობის მოვალეობის დარღვევის გაიგივება აზრს მოკლებული არ უნდა იყოს.

ზოგიერთი მეცნიერი წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევას ქმედების მართლწინააღმდეგობასთან აიგივებს.²³ შესაბამისად, ობიექტურად წინდახედულ ქცევებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე მიიჩნევენ. ამ მოსაზრებას საფუძვლად დაედო ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას სამოქალაქო საქმეზე, სადაც სასამართლომ წინდახედული და ნორმის შესაბამისი ქცევა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად შეაფასა. ასეთი პოზიციის მიმდევრები ამოდიან ერთიანი მართლწესრიგის ცნებიდან, რომელიც ზოგადია სამართლის ყველა დარგისთვის, მათ შორის, სისხლის სამართლისთვის.²⁴

აღნიშნული მოსაზრების ავტორები კიდევ უფრო შორს მიდიან და მიუთითებენ იმაზე, რომ გარდა წინდახედულობის ნორმის დარღვევისა, ქმედების შემადგენლობის განხორციელების ობიექტური გათვალისწინებულობა და თავიდან აცილებადობა გაუფრთხილებლობით დელიქტებში მართლწინააღმდეგობის ნიშნებია. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის განხორციელება არა მხოლოდ ქმედების ჩამდენისათვის, არამედ მოცემულ სიტუაციაში მყოფი ასევე სხვა დანარჩენი პირისათვის ობიექტურად, აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი და თავიდან აუცილებადი უნდა იყოს ე. ი. ქმე-

²⁰ ანალოგიური მოსაზრება იხ. *უგრეხელიძე, მინდია*, წინდახედულობის ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში, *ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 4/1971, 56.*

²¹ იხ. *უგრეხელიძე, მინდია*, წინდახედულობის ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში, *ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 4/1971, 58.* ვერ დავეთახმები ავტორის მიერ ამავე სტატიის 62-ე გვერდზე დასახელებული კაზუსის შეფასებისას წინდახედულობის ნორმის გამორიცხვას იმ შემთხვევაში, როდესაც აფთიაქარის მიერ ეტიკეტის გარეშე ხელმისაწვდომ ადგილზე დადებული წამალი წერა-კითხვის უცოდინარმა ბავშვმა დალია და მოინამლა. მოცემულ მაგალითში, როგორც წესი, წინდახედულობის ნორმის დაცვის ვალდებულება გამოიხატება არა მხოლოდ წამალზე სათანადო ეტიკეტის დატანებაში, არამედ ბავშვებისათვის წამლის ხელმიუწვდომელ და უსაფრთხო ადგილას მიჩენაში.

²² იხ. *Schmidhäuser, Eberhard, Fahrlässige Straftat ohne Sorgfaltspflichtverletzung, Festschrift für Friedrich schaffstein zum 70. Geburtstag, 1975, გვ. 129* და მომდევნო

გვერდები. საკითხის ასეთ გადაწყვეტას ზოგიერთი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებს, რადგან, თუ გაუფრთხილებლობას წინდახედულობის დარღვევას დავუკავშირებთ, მაშინ შეიძლება ასეთ ლოგიკურად არასწორ აზრამდე მივიდეთ, რომ მოქმედებითი დელიქტები უკვე უმოქმედებით დელიქტებად გადაიქცევა. ე. ი. დამნაშემ არ შეასრულა წინდახედულობის მოთხოვნა, მაშასადამე, მან უმოქმედება გამოიჩინა. იხ. *Jakobs, Günther, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1983, გვ. 260.*

²³ იხ. *ცეციტიშვილი, თემურ*, ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის, *ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2013, გვ. 346.*

²⁴ იხ. *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang, Strafrecht Allgemeiner Teil, 11. Aufl., 2003, გვ. 528.*

დების შემადგენლობის შესაბამისი ქცევა გამართლებული უნდა იყოს.²⁵

საკითხის ასე დაყენება მიუღებელია, რადგან წინდახედულობის ნორმის დარღვევა თავისთავად არ გულისხმობს ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას. მართლწინააღმდეგობის გამოორიცილებელი გარემოებებში მოქმედ პირს, შესაძლებელია, წინდახედულობის ნორმები ჰქონდეს დარღვეული. ასეთია, მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა (საქართველოს სსკ-ის 30-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე, მისაღებია ფინალური და ქმედების სოციალური სკოლის წარმომადგენლების პოზიცია, რომლებიც გაუფრთხილებლობით დელიქტებში ობიექტური წინდახედულობის დარღვევას არა მართლწინააღმდეგობაში, არამედ ქმედების შემადგენლობაში ათავსებენ.

შედეგიან გაუფრთხილებლობით დელიქტებში გაუფრთხილებლობის უმართლობა შედეგის გამომწვევით არ მთავრდება. ქმედების უმართლობად შეფასებისთვის აუცილებელია განისაზღვროს, რომ შედეგი ობიექტურად განჭვრეტადი უნდა იყოს და იგი უნდა ეფუძნებოდეს წინდახედულობის მოვალეობის დარღვევას, რა დროსაც შედეგის თავიდან აცილება დამნაშავეს სოციალური წრის კეთილსინდისიერ ნევრებსაც უნდა ევალებოდეთ.²⁶

ამდენად, წინდახედულობის დარღვევა და გათვალისწინებულობა (განჭვრეტადობა) წარმოადგენს გაუფრთხილებლობითი დელიქტის ქმედების შემადგენლობის ელემენტებს. ისინი ერთმანეთისგან იზოლირებული არ არიან. წინდახედულობის დარღვევა განსაზღვრავს მოსალოდნელი შედეგის გათვალისწინებულობას (განჭვრეტადობას) ქმედების ჩადენის მომენტში. შედეგის გათვალისწინებულობა (განჭვრეტადობა) წინდახედულობის ნორმის დარღვევის გადამწყვეტ კრიტერიუმად რჩება.²⁷

ზოგიერთი მეცნიერი მკაცრად აკრიტიკებს წინდახედულობის ნორმის დარღვევის ობიექტივირებას და ამის საფუძველზე არ იზიარებს ობიექტური გაუფრთხილებლობის გაგებას, რადგან გაუფრთხილებლობის უმართლობა მხოლოდ მაშინ ხორციელ-

დება, როდესაც დამნაშავეს თავისი ინდივიდუალური უნარის დახმარებით შეუძლია ქმედების შემადგენლობის განხორციელების შეცნობა. ეს იგივეა, რაც ინდივიდუალური გათვალისწინებულობა. მაშასადამე, ამ მოსაზრების მიხედვით, უმართლობა დამოკიდებულია შესაბამისი დამნაშავეს უნარიანობაზე თავიდან აცილოს დანაშაულებრივი შედეგი.²⁸ ამდენად, წინდახედულობის დარღვევა გაუფრთხილებლობით დანაშაულში წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის დამოუკიდებელ ელემენტს რომელიც არასდროს არ არის ობიექტური, ობიექტური გათვალისწინებულობა (განჭვრეტადობა) უფრო სუბიექტურ შემადგენლობაში თავსდება, რადგან ე. წ. ობიექტურ გათვალისწინებულობას სუბიექტური ბუნება გააჩნია და ასეთი აზრის ავტორის თქმით, არ შეიძლება მისი ობიექტურად დენატურირება.²⁹

ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ობიექტურ გაუფრთხილებლობაში დამნაშავეს სოციალური წრიდან საშუალო შესაძლებლობის მქონე ადამიანის მხრიდან განჭვრეტადობისა და თავიდან აცილებადობით დგინდება თავად ობიექტური შემადგენლობა და არა სუბიექტის ინდივიდუალური შესაძლებლობები.

IV. გაუფრთხილებლობითი დელიქტის შეფასების სუბიექტური მასშტაბი

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გაუფრთხილებლობითი დელიქტებში სუბიექტური შემადგენლობის ცალკე გამოტანა არ ხდება და გაუფრთხილებლობითი დელიქტი მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტებით განისაზღვრება.³⁰ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეფუძნება იმ აზრს, რომ სუბიექტური შემადგენლობა, სადაც თვითიმედოვნება (გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა) და დუღევრობა ერთმანეთისაგან (გაუცნობიერებელი გაუფრთხილებლობა) იმიჯნება, რაიმე პრაქტიკულ

²⁵ იხ. *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 11. Aufl., 2003, გვ. 530.

²⁶ იხ. *Jescheck, Hans-Heinrich*, *Beiträge zum Strafrecht 1980-1998*, 1998, გვ. 183.

²⁷ იხ. *Kaminski, Ralf*, *Der objektive Maßstab im Tatbestand des Fahrlässigkeitsdelikts*, 1992, გვ. 52, 55.

²⁸ იხ. *Jakobs, Günther*, *Strafrecht, Allgemeiner Teil, Part I*, 1991, გვ. 323.

²⁹ იხ. *Maurach, Reinhart/Gössel, Karl Heinz/Zipf, Heinz*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 2. Band, 8. Aufl., 2014, გვ. 211-212, 216-217. იგივე აზრს ავითარებს ოტო, იხ. *Otto, Harro*, *Grundkurs Strafrecht. Allgemeine Strafrechtslehre*, მე-7 გამოცემა, 2004, გვ. 4, 31.

³⁰ იხ. *Otto, Harro/Bosch, Nikolaus*, *Übungen im Strafrecht*, 7. neu bearbeitete Aufl., 2010, გვ. 44-45.

დანიშნულებას არ ატარებს,³¹ გარდა იმისა, რომ ასეთი დაყოფა რელევანტურია არა ზოგადად დასჯადობის, არამედ სასჯელის შეფარდების თვალსაზრისით.³²

დასახელებული მოსაზრებების შეფასება, მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის ანალიზის ფონზე. აღნიშული მუხლის მიხედვით, თვითიმედოვნების (გაცნობიერებული გაუფრთხილებლობის) ცნებიდან გამომდინარეობს სუბიექტური შემადგენლობის ისეთი ელემენტი, როგორცაა წინდახედულობის ნორმის დარღვევის და შედეგის გამონვევის შესახებ ცოდნა (წარმოდგენა). მაშასადამე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხაზგასმულია თვითიმედოვნების დელიქტებში კოგნიტური ელემენტის დადგენის აუცილებლობის შესახებ. ასეთი ტიპის საკანონმდებლო რეგულაცია წარმოშობს ვალდებულებას ცოდნის ელემენტის ადგილის განსაზღვრის თაობაზე. თუმცა გადასაწყვეტია ცოდნის (წარმოდგენის) ელემენტი, სად უნდა განისაზღვროს ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში თუ ბრალში?

მოცემული ვარიანტებიდან ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცოდნის ელემენტის შეტანა არ იქნება მართებული, რადგან საკითხის ასეთი გადაწყვეტა სუბიექტურისა და ობიექტურის ერთმანეთში აღრევას გამოიწვევს. ის, რაც ობიექტურ შემადგენლობაში წინდახედულობის ნორმის განჭვრეტადობის და შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობის თვალსაზრისით დგინდება, არის დამნაშავეს სოციალური წრიდან საშუალო შესაძლებლობის მქონე ადამიანების პოზიციიდან ვითარების იმგვარად შემონება, რომ დასაბუთდეს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არსებობა (კოლექტიური, საზოგადოებრივი გამოცდილება, როგორც ატიპურობის გამორიცხვის საფუძველი), რაც არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს სუბიექტურისა და ობიექტურის ერთმანეთში აღრევას.

³¹ იხ. *Stratenwerth, Günther/Kuhlen, Lothar, Strafrecht Allgemeiner Teil*, 6. überarbeitete Aufl., 2010, გვ. 312; *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil*, 4. Aufl., 2014, გვ. 418.

³² იხ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil*, 4. Aufl., 2014, გვ. 432.

რაც შეეხება ბრალის ეტაპს, აქ ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის ფარგლებში მოწმდება უშუალოდ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის უმართლობის ჩამდენის ინდივიდუალური შესაძლებლობები და არა ის, ჰქონდა თუ არა გაუფრთხილებლობითი უმართლობის სუბიექტს ობიექტური შემადგენლობის ელემენტების შესახებ ცოდნა (ფსიქოლოგიური გაგებით).

ამდენად, თუ ცოდნის (წარმოდგენის) ელემენტი არც ობიექტურ შემადგენლობაში და არც ბრალში არ დადგინდება, მაშინ მისი განსაზღვრა ლოგიკურია უნდა მოხდეს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში (გაცნობიერებული გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა).³³

გარდა ამისა, არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომელიც გაუფრთხილებლობის სუბიექტურ შემადგენლობას, სადაც ხდება თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, თითქოს, პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია და ასეთ დაყოფას მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს ექცევა ყურადღება. საქმე იმაშია, რომ ასეთი მსჯელობები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგან, თუ გაუფრთხილებლობის სახეები სასჯელის დანიშვნის დროს მიიღება მხედველობაში, ლოგიკურია, რომ ასეთი დაყოფა აუცილებელია და ეს პროცესი სად უნდა განხორციელდეს, თუ არა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე. მაშასადამე, გაუფრთხილებლობის სახეებად დაყოფას ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე გააჩნია ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

V. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შესახებ თანამედროვე მოძღვრებაში აღიარებულია გაუფრთხილებლობის შეფასების ორსაფეხურიანი მოდელი, რა დროსაც ქმედების შემადგენლობაში დგინდება ობიექტური გაუფრთხილებლობა (ობიექტური მასშტაბი), ხოლო ბრალში – ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა. ამასთან, გაუფრთხილებლობის სუბიექტურ

³³ გაცნობიერებულ გაუფრთხილებლობით დელიქტებში სუბიექტურ შემადგენლობას აღიარებს პროფესორი *ტურავა*. იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 580-581.

რი მასშტაბი ნაწილობრივ აღიარებულია გაუფრთხილებლობის ქმედების შემადგენლობის ეტაპზე (გაცნობიერებული გაუფრთხილებლობისას) და ხაზგასმულია მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ამასთან, გაკრიტიკებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი, რომელიც შეფასების გარეშე ტოვებს ე. წ. უშედეგო გაუფრთხილებლობით დანაშაულებს.

კორპორაციული დანაშაული: დანაშაუვი კორპორაციის მოდელის საჭიროება?

ასისტენტი, სამართლის დოქ. *ანრი ოხანაშვილი LL.M.*

(იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

I. შესავალი

კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სისხლის სამართლის დოგმატიკის თავსატეხად იქცა. ამიტომ კორპორაციათა პასუხისმგებლობის თემა არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა.¹ ღრმად პატივცემული იუბილარის, პროფესორის, სამართლის დოქტორის, საპატიო დოქტორის, *ჰაინერ ალვარტის*, ინტერესის ერთ-ერთ სფეროს მისი ფართო სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში სწორედ კორპორაციათა პასუხისმგებლობა განეკუთვნებოდა. პროფესორი *ალვარტი* ჯერ კიდევ 1993 წელს მის მიერ „ერთიანი სისხლის სამართლის მეცნიერების ჟურნალში“ გამოქვეყნებულ ნაშრომში მისთვის დამახასიათებელი ღრმა ემპირიული ანალიზით მიმოიხილავს ინდივიდუალური შერაცხვის მოდელზე ორიენტირებულ კორპორაციათა აქცესორულ პასუხისმგებლობასა და კოლექტიური შერაცხვის მოდელზე ორიენტირებულ კორპორაციათა სუბ-

სიდიარულ პასუხისმგებლობას. შედეგად, ავტორი მკითხველს სთავაზობს კორპორაციათა პასუხისმგებლობის შესახებ მოდელს (რომელიც სისხლის სამართლის პრაქტიკისთვისაც სასარგებლოა), რაც გამოიხატება საკანონმდებლო სიახლის განხორციელებაში, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში² სპეციალური შემადგენლობის – „საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნა კორპორაციის მიერ“ – შემოღებაში.³

ამ სტატიის მიზანია *ალვარტის* კონცეფციის განხილვა, განსაკუთრებით კი, მისი იმ ქართველი მკითხველისთვის გაცნობა, ვინც ამ მოდელს არ იცნობს, – აგრეთვე კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გერმანული და ქართული პერსპექტივების წარმოდგენა.

აქედან გამომდინარე, პროფესორ *ალვარტს*, როგორც ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში (LL.M.) სწავლის დროს და ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების დიდ გულშემატკივარს, დიდი პატივისცემით ვუძღვნი მისთვის საკმაოდ კარგად ნაცნობ სფეროში შედგენილ სტატიას. ამასთანავე, ვუსურვებ მას კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ჯანმრთელად საქმიანობას, როგორც გერმანულ, ისე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

¹ გერმანული პერსპექტივიდან, მაგალითად, იხ. *Schöne-mann, Bernd*, ZIS (Zeitschrift für Internationale Strafrechts-dogmatik) 1/2014, 1 ff.; *ders.*, in FS-BGH, 2000, S. 621 ff.; *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 27 ff. m.w.N.; *Roxin, Claus/Greco, Luis*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl., 2020, § 8 Rn. 61 ff.; *Köl-bel, Ralf*, in FS Schünemann, 2014, S. 775 ff.; *Dannecker, Gerhard*, GA (Goldammer's Archiv für Strafrecht) 2001, 101 ff.; *Krekeler, Wilhelm*, in FS Hanack, 1999, S. 639 ff.; *Radtke, Henning*, in Münchener Kommentar, StGB, 3. Aufl. 2017, § 14 Rn. 129; ქართული პერსპექტივიდან, მაგალითად, იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 617 და მომდევნო გვერდები; *ცქიტიშვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 256 და მომდევნო გვერდები; *ოხანაშვილი, ანრი*, სამართლის ჟურნალი N2 (2009), 183 და მომდევნო გვერდები; *დვალიძე, ირაკლი*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, გვ. 256 და მომდევნო გვერდები.

² შემდგომ შემოკლებულია როგორც სსკ.

³ *Alwart, Heiner*, ZStW (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft) 105 (1993) Heft 4, 752 ff., 769 ff.

II. გერმანული მიდგომა და ალვარტის კონცეფცია კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

საკოველთაოდ ცნობილ ფუნდამენტურ პრინციპს „Societas delinquere non potest“ და იმას, რომ დასჯადობაუნარიანი არის მხოლოდ ადამიანი და არა კორპორაცია, ასწავლიან არა მხოლოდ მომავალ გერმანულ იურისტებს, არამედ კონტინენტური ევროპის საუნივერსიტეტო სამართლებრივ სივრცეშიც.⁴ ამის მიუხედავად, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში კვლევა არათუ არ შეჩერებულა, არამედ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული არაერთი კვლევის გამო მოდურ თემადაც კი შეფასდა.⁵ ამასთანავე, იურიდიული პირის დასჯადობის საკითხი, პრაქტიკული საჭიროების არგუმენტზე დაყრდნობით, სხვადასხვა სარეფორმო ჯგუფისა⁶ თუ კანონპროექტის ფარგლებშიც გამხდარა მსჯელობის საგანი.⁷ ამ ყველაფრის მიუხედავად, უმთავრესად მოქმედებაუნარიანობისა და ბრალუნარიანობის დოგმატურ სისხლისსამართლებრივ არგუმენტებზე დაყრდნობით გერმანიის სსკ-ში იურიდიული პირის ასახვამ დღემდე ვერ ჰპოვა გერმანულ კანონმდებელთა მხარდაჭერა.⁸

იურიდიული პირის ძირითადი საჯაროსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მართლწესრიგის კოდექსის (OWiG) 30-ე პარაგრაფით, თუმცა ამგვარი მონესრიგებაც გაკრიტიკებულია, რადგან მართლწესრიგის კოდექსიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მსგავს წინაპი-

რობებს ითვალისწინებს⁹. გერმანული კორპორაციული სისხლის სამართლის „ბირთვად“ ასევე მიჩნეულია მართლწესრიგის კოდექსის მე-9 და 130-ე პარაგრაფები და სსკ-ის მე-14 პარაგრაფი. სსკ-ის მე-14 პარაგრაფი სიტყვასიტყვით შეიცავს იმავე მონესრიგებას, როგორც მართლწესრიგის კოდექსის მე-9 პარაგრაფი. თუმცა ეს ნორმები აწესრიგებენ არა კორპორაციის პასუხისმგებლობას, არამედ მისი სახელით მოქმედი ორგანოებისა თუ წარმომადგენლების, როგორც ფიზიკური პირების, გაფართოებულ პასუხისმგებლობას.¹⁰

აღნიშნული სამართლებრივი მონესრიგების არსებობისა და იურიდიული პირის დასჯადობის უარყოფის მიუხედავად, 90-იან წლებში გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში კიდევ უფრო მოიმატა ისეთი კონცეფციების რაოდენობამ (მაგალითად, *ჰირშის*, *ტიდემანის*, *ჰაინეს* მოდელები), რომლებიც სისხლის სამართლის დოგმატიკის ბარიერების გადალახვასა და ასეთი პირდაპირი დასჯადობის გამართლებას ცდილობენ.¹¹ ამ მიდგომის პარალელურად კი განვითარდა საპირისპირო კონცეფციები, რომლებიც ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი შერაცხვის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით ეწინააღმდეგებიან იურიდიული პირის პასუხისმგებლობის კლასიკურ სისხლის სამართალში შემოტანას, თუმცა, ამასთანავე, მიუთითებენ სამართლებრივი სიკეთის იურიდიული პირის დანაშაულებრივი ქმედებისგან ეფექტიანად დაცვის მექანიზმების საჭიროებაზე.¹² ერთ-ერთ ამგვარ თვალსაჩინო კონცეფციად მიიჩნევა *შუნემანის* ე. წ. *სპეციალური მმართველის (Unternehmenskuratel) მოდელი*¹³, რომელიც განეკუთვნება სოციალური

⁴ *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 29; ასევე *Roxin, Claus/Greco, Luis*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl., 2020, § 8 Rn. 58 f.

⁵ *Schünemann, Bernd*, in FS-BGH, 2000, S. 621 f.

⁶ სარეფორმო სამუშაო ჯგუფის ანგარიშის შესახებ იხ. *Hettinger, Michael* (Hrsg.), Verbandsstrafe, Band 3, 2002.

⁷ *Roxin, Claus/Greco, Luis*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl., 2020, § 8 Rn. 60 ff.; *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 28.

⁸ დაწვრილებით იხ. *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 29 ff.; *Hettinger, Michael* (Hrsg.), Verbandsstrafe, Band 3, 2002, S. 211 ff.; აგრეთვე *ცქიტვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 309 და მომდევნო გვერდები.

⁹ *Hettinger, Michael* (Hrsg.), Verbandsstrafe, Band 3, 2002, S. 193 ff.

¹⁰ *Radtke, Henning*, in Münchener Kommentar, StGB, 3. Aufl. 2017, § 14 Rn. 1 ff.; მსგავსად *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 620.

¹¹ *Schünemann, Bernd*, ZIS 1/2014, 1 f., 3 ff.; *Roxin, Claus/Greco, Luis*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl., 2020, § 8 Rn. 61 ff.; *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 31 ff.

¹² შეად. *Schünemann, Bernd*, ZIS 1/2014, 1, 2 ff., 7; *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 60 f.

¹³ *Schünemann, Bernd*, ZIS 1/2014, 1, 7. ამ მოდელთან დაკავშირებით ასევე იხ. *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 60; *ცქიტვილი, თემურ*,

დაცვის („Maßregelmodell“) და არა სისხლის სამართლის ღონისძიებას¹⁴. *შუნემანი* ეწინააღმდეგება კორპორაციის დასჯადობას და სწორად მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი სანქციების სარეფორმო კომისიის 2000 წლის დასკვნით ანგარიშს¹⁵, რომლითაც, კრიმინალურ-პოლიტიკური საჭიროების არარსებობის არგუმენტისა და სისხლისსამართლებრივი ბრალის პრინციპის გათვალისწინებით, უარი ითქვა კორპორაციის დასჯადობის შემოტანაზე.¹⁶

პატივცემული იუბილარის, *ჰაინერ ალვარტის*, კონცეფციასთან დაკავშირებით კი აღსანიშნავია, რომ მის მიერ შემოთავაზებული მოდელი ითვალისწინებს სპეციალური შემადგენლობის შემოტანით კორპორაციის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹⁷ *ალვარტი* ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში წუხს, რომ სისხლის სამართალში თანამედროვე განვითარების შედეგად იცვლება სისხლისსამართლებრივი პარადიგმა: დამნაშავე ინდივიდის ნაცვლად მკვიდრდება დამნაშავე კორპორაციის, როგორც დამნაშავე კოლექტივის, ცნება.¹⁸ ამიტომ, იგი თავისი მიდგომის ასახსნელად აანალიზებს კორპორაციის კოლექტიური პასუხისმგებლობის ორ ურთიერთსაპირისპირო – აქცესორულ და სუბსიდიარულ – მოდელს.¹⁹ ის უთითებს, რომ მართალია, კორპორაციის აქცესორული პასუხისმგებლობა დამოკიდებულია კორპორაციის ცალკეულ წევრთა – დამნაშავე პირთა – ქმედებებზე, მაგრამ, დარღვევის პერსონიფიცირების მიუხედავად, ეს მოდელი, საბოლოოდ, მაინც კორპორაციის პასუხისმგებლობაზე არის ორიენტირებული.²⁰ ამის საპირისპირო, კორპორა-

ციის სუბსიდიარული პასუხისმგებლობის მოდელი კი ორიენტირებულია არა კორპორაციის ცალკეულ დამნაშავე ფიზიკურ პირებზე, არამედ კოლექტივის დამოუკიდებელ პასუხისმგებლობაზე – *დამნაშავე კორპორაციაზე*, რასაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არ უდევს საფუძვლად.²¹ *ალვარტი* აღნიშნავს, რომ მართალია, ამ სახის პასუხისმგებლობა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მისი მცდელობა სწორედ ამგვარი პასუხისმგებლობის დასაბუთებისკენ არის მიმართული.²² მას მიაჩნია, რომ სწორედ მომავალზე და არა ანტიკვარულზე ორიენტირებული სისხლის სამართალით არის შესაძლებელი თანამედროვე ინდუსტრიულ კორპორაციებსა და მათთან დაკავშირებულ პლანეტარულ საფრთხეებთან გამკლავება.²³

ალვარტი ცდილობს სისხლის სამართალში იპოვოს კოლექტიური პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმით ინტეგრირებისთვის გამართლებული გზა, რათა არ მოხდეს კორპორაციის, როგორც დამნაშავის, ნიველირება და მისი უბრალო დამხმარე ფენომენამდე დაყვანა.²⁴ მას ასეთი პასუხისმგებლობისთვის არასაკმარის საშუალებად მიაჩნია როგორც საგარანტიო ფუნქციის მოძღვრების მიხედვით კორპორაციის ხელმძღვანელის წარმომადგენლობითი დასჯადობა, ისე მართლწესრიგის კოდექსის სპეციალური ნორმა, კერძოდ, მისი 130-ე პარაგრაფი, რომელიც კორპორაციაში სამეთვალყურეო მოვალეობების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.²⁵ ამიტომ, ავტორი ცდილობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოკვეთოს კორპორაციული და კოლექტიური სიტუაციის ფრაგმენტები და, მაგალითად, სსკ-ის მე-14 პარაგრაფის საზღვრებში მათი მნიშვნელობა.²⁶ ამასთანავე, იგი უთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 31-ე პარაგრაფის მსგავსი ნორმის სსკ-ში არსებობა უკიდურესად პრობლემატური იქნებოდა, რადგან ეს გამოიწვევდა ფიზიკური პირის მიერ ნორმის დარღვევის გამო კოლექტივის დასჯას, ხოლო ასეთი აქცესორული დასჯადობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა სისხ-

სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 315 და მომდევნო გვერდები.

¹⁴ *Roxin, Claus/Greco, Luis, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl., 2020, § 8 Rn. 62, 63d.* სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებას მხარს უჭერს ასევე *Freund, Georg, in Münchener Kommentar, StGB, 3. Aufl. 2017, § Vor 13 Rn. 147 ff.*

¹⁵ *Hettinger, Michael (Hrsg.), Verbandsstrafe, Band 3, 2002.*

¹⁶ *Schünemann, Bernd, ZIS 1/2014, 1 f., 7.*

¹⁷ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 769 ff.*; *ალვარტის* კონცეფციას აანალიზებს აგრეთვე *ცეიტიშვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 327 და მომდევნო გვერდები.

¹⁸ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 753 f.*

¹⁹ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 755.*

²⁰ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 755.*

²¹ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 755.*

²² *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 755.*

²³ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 756.*

²⁴ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 757 ff.*

²⁵ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 759 f.*

²⁶ *Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 760 ff.*

ლისსამართლებრივი შერაცხვის პრინციპებთან.²⁷ ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ამგვარი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 31-ე პარაგრაფის მსგავსი, პრინციპულად საკამათო გზა კანონმდებელმა მართლწესრიგის კოდექსის 30-ე პარაგრაფის შემოტანით აირჩია.²⁸

მართალია, *ალვარტის* მოდელში, არ იცვლება პარადიგმა, რომ დამნაშავედ მიჩნეულ უნდა იქნეს ინდივიდი, მაგრამ, ამასთანავე, ის ორიენტირებულია იურიდიული პირის, როგორც ინდივიდუალიზებული დამნაშავე კორპორაციის (*Täterunternehmen*), კონსტრუქციის შემოტანაზე, რაც რეალურად არის იურიდიული პირის ჩამჭიდი პასუხისმგებლობა (*Auffanghaftung*).²⁹ ავტორს მართლწესრიგის კოდექსის 30-ე პარაგრაფით გათვალისწინებული აქცესორული პასუხისმგებლობის სსკ-ში გადატანა მართებულად არ მიაჩნია, რადგან, დოგმატურად, ეს იქნებოდა აბსურდი და ვერც არსებულ პრობლემებს მოაგვარებდა.³⁰ ამიტომ, იმის დაშვება, რომ კორპორაციის დასჯადობა დამოკიდებულია ინდივიდუალური ქმედების, როგორც საკუთარი ქმედების, კორპორაციისთვის შერაცხვაზე, დოგმატური აზროვნების შეცდომაა, ამასთანავე, ტიპიურ მტკიცებულებით პრობლემებს ვერ უმკლავდება.³¹ აქედან გამომდინარე, *ალვარტის* მოდელი ორიენტირებულია კორპორაციის დასჯადობის აქცესორობისგან დამოუკიდებლად დასაბუთებაზე, სუბსიდიარული პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომელიც არის შუალედური გზა შერაცხვის ზოგად ფორმასა და სპეციალურ დელიქტს შორის.³²

კორპორაციის სუბსიდიარული პასუხისმგებლობა *ალვარტის* მიხედვით განეკუთვნება აქცესორობის საპირისპირო მოდელს; კერძოდ, ის, ძირითადად, არის დამხმარე მექანიზმი, როდესაც არ არსებობს დანაშაული მისი ინდივიდუალური გაგებით, მაშინ, როცა აქცესორობის წინაპირობა სწორედ ამ სახის დანაშაულის ჩადენაა.³³ ამიტომ, სუბსიდიარული მოდელი არის მეორე დონის შერაცხვის ისეთი მოდელი, რომელიც პასუხისმგებლობას ად-

გენს იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობის დაკისრება შერაცხვის პირველადი საფეხურით ვერ ხორციელდება.³⁴ შედეგად, *ალვარტი* საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის გარემოებაზე დაყრდნობით გამოდის სსკ-ში სპეციალური შემადგენლობის შემოტანის საკანონმდებლო ინიციატივით, რადგან კოლექტიური შერაცხვის დასაბუთება სხვაგვარად შეუძლებლად მიაჩნია.³⁵

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში *ალვარტის* ამ მოდელთან დაკავშირებით მსჯელობს *თემურ ცქიტვილი*. ის აღნიშნავს, რომ შემოთავაზებული შემადგენლობის საშუალებით იურიდიული პირის დასჯა ბანდის სისხლისსამართლებრივი დასჯის მსგავსია და სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ასოცირდება. შედეგად, საქმე ეხება ისეთ შემადგენლობას, რომელიც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაშიც უშვებს სამართალდამრღვევის დასჯას არა ხელყოფისათვის, არამედ საფრთხის შექმნისათვის.³⁶

ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან სტატიის გვერდების რაოდენობა შეზღუდულია, აქ დანვრილებით ვერ გაანალიზდება *ალვარტის* კონცეფცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოდელი, ერთი მხრივ, ორიენტირებულია კორპორაციის დასჯადობის ზემოაღნიშნული მოდელისგან განსხვავებულ მოწესრიგებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სისხლის სამართლის დოგმატურ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის ერთგვარი მცდელობაა.³⁷ ამიტომ, აღნიშნული კონცეფცია განეკუთვნება დასჯადობის ერთგვარ ჰიბრიდულ მოდელს, რომელიც მართალია, კორპორაციის დელიქტურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, მაგრამ – არა კლასიკური სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრებით³⁸. საბოლოოდ, იურიდიული პირი წარმოდგენილია როგორც ქმედების შემადგენლობის განმასხვრციელებელი ბრალეული

²⁷ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 762 f.

²⁸ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 763.

²⁹ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 763 f.

³⁰ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 765 f.

³¹ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 766 f.

³² Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 767 f.

³³ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 769.

³⁴ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 769.

³⁵ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 769 ff.; აგრეთვე იხ. ცქიტვილი, თემურ, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 327.

³⁶ ცქიტვილი, თემურ, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 328.

³⁷ შეად. Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 771 f. მსგავსად აფასებს აგრეთვე ცქიტვილი, თემურ, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 327 და მომდევნო გვერდი.

³⁸ Alwart, Heiner, ZStW 105 (1993) Heft 4, 752, 770 f.

სუბიექტი, რომელიც დასჯადობას ექვემდებარება. ამიტომ, ეს მიდგომა, თუნდაც კლასიკური გაგებით, სასჯელის გამოუყენებლობის დათქმით გვერდს ვერ აუვლის სისხლის სამართლის დოგმატიკაში ამგვარი დასჯადობის საწინააღმდეგოდ გამოთქმულ ზემოაღნიშნულ მყარ არგუმენტებს. ზოგადად, ამ კონცეფციის როლი სისხლის სამართლის მეცნიერებაში თვალსაჩინოა, რადგან, თუ ერთ დღეს კორპორაციის დასჯადობის საკითხის სისხლის სამართალში შემოტანა პოზიტიურად გადაწყდება, ეს მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს სწორედ ფილიგრანულად დამუშავებული აღნიშნული მოდელის მეშვეობით.

III. ქართული მიდგომა კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე

2006 წელს საქართველოში იურიდიული პირის დასჯადობა სისხლის სამართლის დოგმატიკის სიღრმისეული კვლევის გარეშე იქნა შემოღებული.³⁹ ამას ადასტურებს ამ ინსტიტუტის შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი; კერძოდ, განმარტებით ბარათში არათუ არაფერია მითითებული ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის დოგმატურ შესწავლაზე, არამედ აღნიშნულია, რომ შესაბამის ექსპერტებსა თუ ორგანიზაციებს კონსულტაციის ფორმითაც კი არ მიუღიათ მონაწილეობა კანონპროექტის შემუშავებაში.⁴⁰ ამასთანავე, ამგვარი პასუხისმგებლობის შემოღების მიზეზად დასახელებულია იმ „საერთაშორისოსამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება, რომელთა მონაწილეს საქართველო ან რომელთა ხელმოწერასა და რატიფიცირებას აპირებს ჩვენი სახელმწიფო.“⁴¹ აღნიშნულია ასევე, რომ შესაბამისი „კონვენციების

ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება შიდა კანონმდებლობით.“⁴² თუმცა კონვენციებისა და ჩარჩო-გადანწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იურიდიული პირისთვის დაკისრება მიჩნეულია პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ალტერნატივად და არა სავალდებულო მოთხოვნად.⁴³

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ იურიდიული პირის დანაშაულის სუბიექტად აღიარების საკითხი სსკ-ის მიღების დროს, კერძოდ, 90-იანი წლების ბოლოს, საერთოდ არ წამოჭრილა.⁴⁴ დღესდღეობით კი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მსჯელობა ძირითადად გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით მიმდინარეობს.⁴⁵ მერაბ ტურავა უთითებს, რომ კორპორაციის დასჯადობის ქართულ მოდელს ერთდროულად (სინთეზურად) სამი მოდელი უდევს საფუძვლად; ესენია: მონაცველობითი პასუხისმგებლობის, იდენტიფიკაციისა და ორგანიზაციის ბრალეულობის მოდელები.⁴⁶ აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული მოდელი დანაშაულის სუბიექტად აღიარებს მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.⁴⁷ ქართულ სისხლის

³⁹ იხ. საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის N3530-რს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლითაც იურიდიული პირის დასჯადობა დადგინდა, <https://parliament.ge/legislation/15162> (ბოლოს ნანახია 28.11.2021).

⁴⁰ იხ. განმარტებითი ბარათი, გვ. 8, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/175073> (ბოლოს ნანახია 28.11.2021).

⁴¹ იხ. განმარტებითი ბარათი, გვ. 1, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/175073> (ბოლოს ნანახია 28.11.2021).

⁴² იხ. განმარტებითი ბარათი, გვ. 3, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/175073> (ბოლოს ნანახია 28.11.2021).

⁴³ დანვრილებით იხ. *ობანაშვილი, ანრი*, სამართლის ჟურნალი N2 (2009), 183, 186 და მომდევნო გვერდი; აგრეთვე *ცეციტიშვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 283 და მომდევნო გვერდი; *Morozinis, Ioannis, Dogmatik der Organisationsdelikte*, 2010, S. 54.

⁴⁴ *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 617.

⁴⁵ იხ. მაგალითად, *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 617 და მომდევნო გვერდები; *ცეციტიშვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 256 და მომდევნო გვერდები. ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურასთან დაკავშირებით იხ. *დვალიძე, ირაკლი*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, გვ. 258 და მომდევნო გვერდი.

⁴⁶ შეად. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 644.

⁴⁷ ქართული საკანონმდებლო მოდელის შესახებ იხ. *ცეციტიშვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 284 და მომდევნო გვერდები; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 644.

სამართლის მეცნიერებაში არ არის სიღრმისეულად გამოკვლეული, თუ რამდენად არის კორპორაციის დასჯადობა კლასიკური სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების ხარჯზე პრაგმატული არგუმენტით გამართლებული.⁴⁸ ამიტომ, საჭიროა ამ საკითხზე შემდგომი სამეცნიერო დისკუსიის გაგრძელება, რათა უფრო მეტად დასაბუთდეს, რომ კორპორაციის დასჯადობა ეწინააღმდეგება ინდივიდზე ორიენტირებულ, ინდივიდუალური შერაცხვის სისხლის სამართლის დოგმატურ პრინციპებს.⁴⁹ ამასთანავე, სამართლებრივი სიკეთისკენ მზარდად მიმავალი საფრთხეების გათვალისწინებით და მათზე პროპორციული რეაგირების მიზნით, საჭიროა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ჩამნაცვლებელ, ახალ მართლწესრიგის კოდექსში სათანადო ნორმების ჩამოყალიბება და, მეორე მხრივ, სისხლის სამართალში ინდივიდუალური შერაცხვის წესების გაფართოებასა და სრულყოფაზე მუშაობა.⁵⁰

IV. დასკვნა

კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დღემდე აქტუალურია გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში, თუმცა სისხლის სამართლის დოგმატური პრინციპების

ღვრება, 2011, გვ. 643 და მომდევნო გვერდი, გვ. 650 და მომდევნო გვერდი. იურიდიული პირის დასჯადობის ქართული და საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო მიდგომის შედარებით ანალიზთან დაკავშირებით იხ. *ოხანაშვილი, ანრი*, სამართლის ჟურნალი N2 (2009), 183, 188 და მომდევნო გვერდები.

⁴⁸ ასეთი გამართლებისკენ იხრებიან: *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 651 და მომდევნო გვერდები; *დვალიძე, ირაკლი*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013, გვ. 257. იურიდიული პირის დასჯადობის მოწინააღმდეგედ ითვლებიან: *ცქიტიშვილი, თემურ*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019, გვ. 289, 291 და მომდევნო გვერდები, სადაც ავტორი მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს აანალიზებს; *ოხანაშვილი, ანრი*, სამართლის ჟურნალი N2 (2009), 183, 208.

⁴⁹ მსგავსად *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 53, 60 ff.

⁵⁰ მსგავს მიდგომას ავითარებენ *Roxin, Claus/Greco, Luis*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl., 2020, § 8 Rn. 63d; აგრეთვე *Morozinis, Ioannis*, Dogmatik der Organisationsdelikte, 2010, S. 61.

გამო იქ არ ხდება ასეთი დასჯადობის შემოტანა. საქართველოში კი ამგვარი პასუხისმგებლობა ისე იქნა შემოტანილი, რომ ეს საკითხი არც აქტუალური ყოფილა და არც კლასიკური სისხლის სამართლის პრინციპების ანალიზი მომხდარა. საქართველოს მოქმედ სსკ-ს, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი სისხლის სამართლის რეფორმის შედეგად იქნა მიღებული და 2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა⁵¹, სულ მალე 22 წელი უსრულდება, ხოლო, პარალელურად, იურიდიულ წრეებში სულ უფრო ინტენსიურად ისმის ახალი სისხლის სამართლის რეფორმის საჭიროების საკითხი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ გერმანულ სამართლებრივ დოგმატიკაზე, კერძოდ, დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე, აგებულმა კოდექსმა⁵² ანგლოამერიკული სამართლის გავლენით ბოლო 20 წლის განმავლობაში თავბრუდამხვევი ცვლილებები განიცადა. ვინაიდან ამ ცვლილებების უმეტესობა სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის სისტემური გააზრების გარეშე განხორციელდა (რაც, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული პირის დასჯადობის შემოტანის საკითხს ეხება), აღნიშნული რეფორმის ჩატარების საკითხი აქტუალურია საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტში. მაქვს რა პატივი, როგორც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, უშუალო ხელმძღვანელობა გავუწიო იმ რეფორმას, რომელიც ახალი მართლწესრიგის კოდექსის შექმნასა და, ამავდროულად, სსკ-ის გადასინჯვასთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარეფორმო საკითხად სწორედ კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გადახედვა მიმაჩნია. IRZ-ის მხარდაჭერით ამ რეფორმაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი პროფესორები *მარტინ ჰეგერი* და *ბერნდ ჰაინრიხი*. ამიტომ ვფიქრობ, რომ გერმანული მიდგომა და პატივცემული იუბილარის ღრმა დაფიქრებით დამუშავებული, აქ განხილული მოდელი აღნიშნულ სარეფორმო ჯგუფში განხილვის საგანი გახდება.

⁵¹ მოქმედი სსკ-ის მიღების ისტორიასთან დაკავშირებით იხ. *Okhanashvili, Anri*, Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien, 2021, S. 305 ff.

⁵² *Okhanashvili, Anri*, Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien, 2021, S. 308 f.

ბულინგის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *მორის შალიკაშვილი*, LL.M. (ჰამბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2017 წლის პირველ დეკემბერს დანების გამოყენებით ხორავას ქუჩაზე 51-ე სკოლის ორი მოზარდის მკვლელობა მოხდა, ერთი მოზარდი დაიჭრა და რამდენიმე მოზარდის მიმართ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა იქნა გამოყენებული. 2018 წლის 6 ივნისს ამ საქმის შემსწავლელი საპარლამენტო საგამოძიებო დროებითი კომისია შეიქმნა. კომისიამ შეისწავლა ე.წ. „ხორავას ქუჩის“ მკვლელობის საქმე და ხაზი გაუსვა ბულინგის როლს მოცემული დანაშაულის ჩადენაში. „ხორავას ქუჩის“ მკვლელობის საქმის გამო თანამდებობიდან გადადგა მთავარი პროკურორი და 51-ე სკოლის დირექტორის მოადგილე.¹

I. შესავალი

გასული საუკუნის 60-იან წლებში პეტერ-ჰაულ ჰეინემანი აკვირდებოდა სკოლის ეზოში მოსწავლეთა ქცევას. მისმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი სისტემატურად ძალადობდა სხვა მოსწავლეებზე.² ამ დაკვირვებით ჰეინემანმა ბულინგის/მოზინგის კვლევას დაუდო საფუძველი. ერთი შეხედვით თითქოს უწყინარ, ბავშვურ ურთიერთობებს ისეთი მძიმე შედეგის მოტანა შეუძლია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა „ხორავას ქუჩის“ შემთხვევაში. მოსწავლეთა არც თუ ისე მცირე ნაწილისთვის სკოლა ქცეულია ადგილად, სადაც მათ მიმართ სხვა მოსწავლეთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, წამება, ღირსების შემლახავი ქმედება და დაცინვა სისტე-

მატურად ხდება. სკოლის მომსახურების საერთაშორისო კვლევის (PISA) 2017 წლის შედეგების თანახმად, გერმანიაში 15 წლის მოსწავლეების 15,7 პროცენტი, დაახლოებით ყოველი მეექვსე მოსწავლე თანასკოლელების მხრიდან ფიზიკური და სულიერი (ფსიქოლოგიური) ძალადობის და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი ხდება. იმავე კვლევის თანახმად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) განვერიანებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 18,7 პროცენტია.³

საქართველოში სასკოლო ბულინგის შესახებ კვლევები მწირია. ერთ-ერთი საინტერესო კვლევა ჩატარდა 2015 წელს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ. კვლევამ, რომელიც საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და 3829 რესპოდენტი გამოიკითხა, აჩვენა, რომ რესპოდენტთა (სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები) დაახლოებით 30,5% მიიჩნევს, რომ სკოლაში ხდება დამცირება/შეურაცხყოფა (ბულინგი) მოსწავლეებს შორის.⁴ სამწუხაროდ, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების დიდი ნაწილი (დაახლ. 67-69%) უარყოფს სკოლაში დამცირება/შეურაცხყოფის (ბულინგის) ფაქტების არსებობას, რაც უარყოფითად აისახება პრობლემის პრევენციაზე.⁵

ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შემსწავლელი საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული მონაცემებით ბოლო წლებში სკოლაში მოსწავლეებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება: 2015-2016 სასწავლო წელს დაფიქსირდა 2 582; 2016-2017 სას-

¹ იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები, 2018.

² Graf, Alexander, Mobbing, Theoretische und empirische Untersuchung von Konflikten im Bereich des Berufsschulwesens und Ableitung von Handlungsempfehlungen für Schule und Individuum, 2007, გვ. 7; შალიკაშვილი, მორის, ძალადობის კრიმინოლოგია, 2012, გვ. 163.

³ <https://www.wiwo.de/politik/deutschland/pisa-studie-fast-jeder-sechste-jugendliche-ist-ein-mobbing-opfer/19687708.html>, (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

⁴ http://issa-georgia.com/files/Reports/TPDC/TPDC-Org.-Culture-Report_Final.pdf, გვ. 70 (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

⁵ http://issa-georgia.com/files/Reports/TPDC/TPDC-Org.-Culture-Report_Final.pdf, გვ. 70 (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

ნავლო ნელს – 2 538; ხოლო, 2017-2018 სასწავლო ნელს – 3 673 შემთხვევა.⁶

ზემოაღნიშნული ეროვნული და საერთაშორისო კვლევები ნათლად მიუთითებენ მოსწავლეებს შორის სკოლაში ბულინგის (ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის) არსებობაზე.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილდება მხოლოდ სასკოლო ბულინგის საკითხებზე.⁷ როგორია ბულინგის შედეგები, ხდება თუ არა მოსწავლეებს შორის ბულინგის სისხლისსამართლებრივი რეგულირება, ბულინგისთვის სასჯელის დაკისრება რამდენად შეესაბამება ზიანის და პროპორციულობის პრინციპებს და რამდენად არის აუცილებელი ბულინგის თაობაზე კონკრეტული რეგულაციის ცალკე მუხლის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში?

II. ბულინგის ცნება

ბულინგი არის მობინგი სასკოლო კონტექსტში.⁸ მობინგი არის ნეგატიური ხასიათის კომუნიკაციის პროცესი (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა) სამსახურში, რომლის მიზანია მობინგის სამიზნე პირი მსხვერპლად გახდომა.⁹

Bullying ინგლისური სიტყვიდან Bullen-დან მომდინარეობს და ძირითადად ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოიყენება და მობინგის სინონიმია, რომელიც გერმანულენოვან ლიტერატურაში გვხვდება.¹⁰ ბულინგი არის არასასურველი, განმე-

ორებითი აგრესიული საქციელი მოზარდის მიმართ სხვა მოზარდის ან მოზარდთა ჯგუფის მიერ ჩადენილი, რომელიც არ არის მისი დედამამიშვილი ან ახლო მეგობარი.¹¹

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი ბულინგს შემდეგნაირად განმარტავს: „ბულინგი გულისხმობს სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენების შეგნებულ და უმეტესწილად არაპროვოცირებულ მცდელობებს. თავისი ხასიათით ბულინგი შეიძლება იყოს ფიზიკური და ვერბალური ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი. ბულინგი მოიცავს ერთი ან მეტი ადამიანის მიერ სხვა ადამიანის მიმართ განმეორებით ჩადენილ ნეგატიურ ქმედებებს, ასევე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალის დისბალანსს“.¹²

ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრდა ბულინგი,¹³ რის გამოც ჩვენც ამ ცნებას გამოვიყენებთ.

ბულინგის ცნების მრავალფეროვნების გამო მნიშვნელოვანია გამოიყოს ის ნიშნები/მახასიათებლები, რომლებიც ამ ქმედებას ახასიათებს:¹⁴

- დამნაშავე (ბულერი) მიზნად ისახავს მსხვერპლისთვის ზიანის მიყენებას ან მის დაზინებას;
- მსხვერპლის მიმართ აგრესიული ქცევა განმეორებით ხორციელდება;
- ბულინგის ჩამდენის პროვოცირება არ ხდება მსხვერპლის მიერ;
- ბულინგი ძირითადად ახლო სოციალურ ჯგუფებში ხდება (თანაკლასელი, თანასკოლელი);

⁶ იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები, გვ. 35.

⁷ სტატიის მოცულობის გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომში მოხდება მხოლოდ სასკოლო ბულინგის ფარგლებში მსჯელობა, თუმცა ზრდასრულთა ბულინგის შემთხვევების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც შეიძლება კვლევის საგანი გახდეს.

⁸ Heimann, Rudi/Fritzsche, Jürgen (Hrsg.), Gewaltprävention in Erziehung, Schule und Verein, 2020, გვ. 15.

⁹ Leymann, Heinz, Mobbing. Psychoterror am Arbeitsplatz und wie man sich dagegen wehren kann, 1993, გვ. 21.

¹⁰ Popow, Christian/Ohmann, Susanne/Paulus, Frank, „Cyberbullying“ unter Jugendlichen – Daten, Trends und Möglichkeiten der Prävention, In: Monatsschrift Kinderheilkunde, 2018, 498, ხელმისაწვდომია: <https://link.springer.com/article/10.1007/s00112-018-0464-8> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

article/10.1007/s00112-018-0464-8 (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

¹¹ Popow, Christian/Ohmann, Susanne/Paulus, Frank, „Cyberbullying“ unter Jugendlichen – Daten, Trends und Möglichkeiten der Prävention, In: Monatsschrift Kinderheilkunde, 2018, 498, ხელმისაწვდომია: <https://link.springer.com/article/10.1007/s00112-018-0464-8> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

¹² გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, 2008, გვ. 7, <https://www.unicef.org/georgia/media/2171/file/zaladobaskolebshi-kvleva.pdf> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

¹³ „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235-ე ბრძანებულება.

¹⁴ von Marées, Nodoli, Der Bullying- und Viktimisierungsfraagebogen: Konstruktion und Analyse von Instrumenten zur Erfassung von Bullying im Vor- und Grundschulalter, 2008, გვ. 17; BGH 4 StR 168/13 და BGHSt 48, 34, 36 f.

- ბულინგის ჩამდენი უფრო ძლიერია (მსხვერპლის მიერ აღიქმება) ვიდრე მსხვერპლი;
- მსხვერპლი იმყოფება პათოლოგიურ, სომატურ-ობიექტურ მდგომარეობაში და იძულებულია შეცვალოს ჩვეული ცხოვრების წესი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეულმა ინტერნეტიზაციამ ბულინგის განსაკუთრებული სახე – კიბერბულინგი წარმოქმნა. ბულერის ანონიმურობამ, რომელსაც ინტერნეტი უზრუნველყოფს, უფრო ინტენსიური და მძიმე გახდა მსხვერპლის შეურაცხყოფის აქტივობები.¹⁵

III. ბულინგის შედეგები

სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე მსჯელობისთვის საჭიროა განისაზღვროს ბულინგის მიერ მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის ხასიათი და ინტენსივობა.

გერმანელ მოსწავლეებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კიბერბულინგის შედეგად: 67,9% გაბრაზდა; 35,9%-ს ფსიქიკური ზიანი მიადგა; 22,3% – სასონარკვეთილი გახდა; 21,5% უმწეოდ იგრძნო თავი; 17,9% შეშინდა. კიბერბულინგის მსხვერპლებს ფსიქოსომატური პრობლემები შეექმნა: 7,6%-ს თავისტკივილი; 6,6%-ს მუცლის ტკივილი და 17,1%-ს უძილობა. გარდა ამისა, 3,7%-ს სურვილი აღარ ჰქონდა სკოლაში სიარულის და 9,3%-ს მეგობრებთან ურთიერთობის.¹⁶

ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულმა არაერთმა კროსკულტურულმა და გრძელვადიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ბულინგი პირდაპირ კავშირშია შემდეგ ფსიქიკურ და სხვადასხვა ხასიათის პრობლემების წარმოქმნასთან მოსწავლეებში: მწუხარება და უბედურად თავის გრძნობა, დაბალი თვით-

შეფასება, ნაკლები სოციალური კომპეტენცია და კომუნიკაციის უნარი, სკოლიდან გადასვლის სურვილი, დეპრესია, მარტოობის განცდა, აგრესიული ქმედებებისკენ მიდრეკილება, ემოციების კონტროლის პრობლემა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნარკოტიკების) და ალკოჰოლის მიღება, სუიციდის მცდელობა.¹⁷ ბულინგი ასევე წარმოქმნის სტრესს, რომელიც ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პირდაპირ აისახება და შემდეგ ფსიქოსომატურ სიმპტომებს წარმოქმნის: მუცლის-, თავის-, ზურგის ტკივილი და თავბრუსხვევა.¹⁸

ბულინგის შედეგად წარმოქმნილი ქრონიკული სტრესი ხელს უწყობს მსხვერპლში სტრესის ჰორმონის კორტიზოლის წარმოქმნას, რაც იმუნური სისტემის დაქვეითებას უწყობს ხელს. შესაბამისად, ბულინგის მსხვერპლი ბავშვები ხშირად ხდებიან ავად და აცდენენ სკოლას.¹⁹

კვლევები ადასტურებენ, რომ ბულინგმა და ძალადობამ სკოლაში შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვანთა ჩართვა დანაშაულებრივ ან ექსტრემისტულ ჯგუფებში.²⁰ ბულინგის მსხვერპლობამ შეიძლება უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მათი დანაშაულებრივ ჯგუფებში განევრიანება გამოიწვიოს.²¹

კვლევების თანახმად, (კიბერ)ბულინგის ჩამდენი და მისი ქმედების მსხვერპლი 12-19 წლის ორივე სქესის მოზარდები არიან.²²

¹⁷ Petras, Ira-Katharina/Petermann, Franz, Übersicht zu Risikofaktoren für Cybermobbing-Viktimisierung im Kindes- und Jugendalter und Empfehlungen für die Präventionsarbeit, Zeitschrift für Psychiatrie, Psychologie und Psychotherapie, 2019, 67 (4), გვ. 209-210; von Marées, Nadoli, Der Bullying- und Viktimisierungsfragebogen: Konstruktion und Analyse von Instrumenten zur Erfassung von Bullying im Vor- und Grundschulalter, 2008, გვ. 54-61; Heimann, Rudi/Fritzsche, Jürgen (Hrsg.), Gewaltprävention in Erziehung, Schule und Verein, 2020, გვ. 53.

¹⁸ von Marées, Nadoli, Der Bullying- und Viktimisierungsfragebogen: Konstruktion und Analyse von Instrumenten zur Erfassung von Bullying im Vor- und Grundschulalter, 2008, გვ. 61.

¹⁹ von Marées, Nadoli, Der Bullying- und Viktimisierungsfragebogen: Konstruktion und Analyse von Instrumenten zur Erfassung von Bullying im Vor- und Grundschulalter, 2008, გვ. 62.

²⁰ ბიორგო, ტორე, დანაშაულის პრევენცია – ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019, გვ. 49.

²¹ ბიორგო, ტორე, დანაშაულის პრევენცია – ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019, გვ. 122.

²² Petras, Ira-Katharina/Petermann, Franz, Übersicht zu Risikofaktoren für Cybermobbing-Viktimisierung im Kindes-

¹⁵ Neubacher, Frank, Kriminologie, 3. Auflage, 2017, გვ. 210; Popow, Christian/Ohmann, Susanne/Paulus, Frank, „Cyberbullying“ unter Jugendlichen – Daten, Trends und Möglichkeiten der Prävention, In: Monatsschrift Kinderheilkunde, 2018, 499, ხელმისაწვდომია: <https://link.springer.com/article/10.1007/s00112-018-0464-8> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

¹⁶ Petras, Ira-Katharina/Petermann, Franz, Übersicht zu Risikofaktoren für Cybermobbing-Viktimisierung im Kindes- und Jugendalter und Empfehlungen für die Präventionsarbeit, Zeitschrift für Psychiatrie, Psychologie und Psychotherapie, 2019, 67 (4), გვ. 204.

ძალადობის მსხვერპლი (მათ შორის ბულინგის მსხვერპლი) სწავლობს ისეთ ქცევას, რომელიც ხელს შეუწყობს მას, რომ თავი აარიდოს მსხვერპლად გახდომას.²³ აღნიშნული კი არის მსხვერპლის იძულება მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების მანამდე არსებული სტილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ბულინგის ცნება მოიაზრებს აგრესიულ და ძალადობრივ ქმედებას, რომელსაც სისტემატიური ხასიათი აქვს, მსხვერპლს ზიანს აყენებს ან აშინებს და ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს. თუმცა შესაძლებელია ერთჯერად, მძიმე შეურაცხყოფელ ქმედებასაც ჰქონდეს იგივე ხასიათის შედეგები მსხვერპლისთვის, რაც ექნება სისტემატიურ ბულინგს.

IV. ბულინგის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა

ბულინგის ქმედებას როგორც აღინიშნა საკმაოდ სერიოზული ზიანი მოაქვს მსხვერპლისთვის. ბულინგი წარმოადგენს სხვადასხვა სახის ქმედებას დაწყებულს ფიზიკური კონტაქტიდან მსხვერპლის შესახებ ჭორების გავრცელებით დამთავრებული.²⁴ შესაბამისად, ბულინგისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგეს მაგალითად, სსკ 117-120 მუხლებით (ჯანმრთელობის დაზიანება), სსკ 115 მუხლი (თვითმკვლელობამდე მიყვანა), სსკ 126 მუხლი (ძალადობა), სსკ 181 მუხლი (გამოძალვა), სსკ 187 მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება).

ბულინგის ცალკე სსკ-ის მუხლად ჩამოყალიბება შეიძლება „სწორედ ის ხელსაწყოა, რომელიც ყველაზე დიდი დოზით ახდენს დანაშაულის პრევენციას... თუ ადამიანს ნეიტრალური დამოკიდე-

ბულება აქვს ზიანისა და ტანჯვის მიყენებასთან, ცალკეულ სიტუაციაში მან შეიძლება გაუგონარი სისასტიკე ჩაიდინოს. გარეშე ფაქტორებმა შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ადამიანის მხრიდან სოციალური, პოლიტიკური ან მორალური წესრიგის აღქმადობასთან დაკავშირებით.“²⁵ სწორედ, ასეთი, გარეშე ფაქტორი შეიძლება გახდეს სსკ-ით ბულინგის დასჯადობა, რაც პოტენციურ ბულერს წესრიგის აღქმაში დაეხმარება. მოზარდისთვის იმის ცოდნამ, რომ მისი ქცევა სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულად აღიქმება და დაუსჯელი არ დარჩება, ბულინგის პრევენციას უნდა შეუწყოს ხელი. კვლევები მიუთითებენ, რომ მოზარდების დიდი ნაწილი (ზოგიერთი კვლევის მიხედვით 73%, ხოლო სხვა კვლევებით 90%) პოლიციაში ერთხელ ან ორჯერ რეგისტრირების შემდეგ კანონმორჩილ ცხოვრებას უბრუნდება.²⁶

ბულინგის დასჯადობა სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მხრიდან ბულინგის პრევენციის მეტი ყურადღების მოპყრობის აუცილებლობას უზრუნველყოფს,²⁷ რადგან სკოლას ნამდვილად არ ენდომება მართლმსაჯულების ორგანოებთან გამოძიების დროს მუდმივი ურთიერთობა, რაც სკოლის იმიჯს დააზარალებს და სკოლის ადმინისტრაციის სამსახურებრივი და მორალური პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.

ბულინგის დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი, რა თქმა უნდა, არის 14 წელს მიღწეული პირი.

საკითხავია, რამდენად არის შესაძლებელი ბულინგისთვის ცალკე მუხლის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინება და ქმედების პროპორციული სასჯელის დაკისრება.

und Jugendalter und Empfehlungen für die Präventionsarbeit, Zeitschrift für Psychiatrie, Psychologie und Psychotherapie, 2019, 67 (4), გვ. 208-209; Heimann, Rudi/Fritzsche, Jürgen (Hrsg.), Gewaltprävention in Erziehung, Schule und Verein, 2020, გვ. 55.

²³ Heimann, Rudi/Fritzsche, Jürgen (Hrsg.), Gewaltprävention in Erziehung, Schule und Verein, 2020, გვ. 36; შალიკაშვილი, მორის, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, 2017, გვ. 197.

²⁴ Heimann, Rudi/Fritzsche, Jürgen (Hrsg.), Gewaltprävention in Erziehung, Schule und Verein, 2020, გვ. 55.

²⁵ ბიორგო, ტორე, დანაშაულის პრევენცია – ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019, გვ. 47.

²⁶ შალიკაშვილი, მორის/მიქანაძე, გივი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, 2016, გვ. 18.

²⁷ 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის თანახმად, „მანდატურებს მეტი ძალისხმევის გაღება ევალებოდათ, როგორც სკოლის პერიმეტრის კონტროლისთვის, ისე დირექტორის მოადგილისგან მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად და მოსწავლეთა დიდი ჯგუფის აღმოსაჩენად. ხაზგასასმელია, რომ არც დირექტორის მოადგილემ და არც მანდატურებმა არ შეატყობინეს პოლიციას აშკარა კონფლიქტური მდგომარეობის თაობაზე“.

1. სტიუარტ მილის ზიანის პრინციპი

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოაზროვნე სტიუარტ მილი 1859 წლის ნაშრომში „თავისუფლების შესახებ“ ხაზს უსვამს ზიანის პრინციპის არსებობის აუცილებლობას ინდივიდის დასჯის დროს. მილის აზრით, „ერთადერთი მიზანი, რის მისაღწევადაც გამართლებულია საზოგადოების ინდივიდუალური თუ კოლექტიური ჩარევა მისი ნებისმიერი წევრის ქმედების თავისუფლებაში“, არის სხვებისთვის ზიანის მიყენების აღკვეთა.²⁸ ადამიანს ზიანი ადგება მაშინ, როდესაც იბლოკება მისი ინტერესები და მისი ცხოვრებისეული პერსპექტივები უარესდება.²⁹

როგორც ზემოთ აღინიშნა ბულინგი არის მრავალჯერადი, დროში მიმდინარე ქმედება და მისი შედეგი ძალიან მძიმე შეიძლება იყოს მსხვერპლისთვის, დაწყებული უბედურად თავის გრძობიდან დამთავრებული სუიციდის მცდელობით.

შესაბამისად, ბულინგი სწორედ ისეთი ქმედებაა, რომელიც მსხვერპლის მდგომარეობას და მის ცხოვრებისეულ პერსპექტივებს აუარესებს და, რომლის გამოც შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობა.

2. პროპორციულობის პრინციპი

საინტერესოა, ბულინგის ქმედების სისხლისსამართლის კოდექსის ცალკე მუხლად ჩამოყალიბება და ამ ქმედებისთვის დაწესებული სასჯელი რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს. ქმედების კრიმინალიზაციის საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში მოუწია მსჯელობა.³⁰

²⁸ მილი, სტიუარტ, თავისუფლების შესახებ, 2017, გვ. 17, ხელმისაწვდომია: <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-stiuart-mili-1.pdf> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

²⁹ ბატაძე, უჩა, ზიანის პრინციპი, როგორც კრიმინალიზაციის ერთ-ერთი საფუძველი, სამართლის ჟურნალი, 2/2016, გვ. 292.

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „სამართლებრივ სახელმწიფოში ქმედების კრიმინალიზაცია გამოიყენება როგორც ultima ratio. საზოგადოების და ადამიანის ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება, როდესაც ამონურულია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები“.³¹

ვინაიდან ბულინგისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე სასჯელის დაკისრება წარმოადგენს პირის თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევას აუცილებელია დადგინდეს ეს ჩარევა რამდენად არის ლეგიტიმური, გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული.³²

ა) ლეგიტიმური მიზანი

საინტერესოა, რომელ საჯარო ინტერესს შეიძლება ემსახურებოდეს ბულინგისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელის დაკისრება. „სახელმწიფოს, ზოგადად, გააჩნია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლეგიტიმური ინტერესი... [შესაბამისად,] დანაშაულისა და სხვა ანტისოციალური ქცევის პრევენცია ნამდვილად წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზნებს“,³³ რომელთა მისაღწევადაც საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს.

ზემოაღნიშნული კვლევების საფუძველზე შევიძლია დავასკვნათ, რომ ბულინგის ქმედება – ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, დაცინვა, აბურხად აგდება იწვევს მძიმე შედეგს მსხვერპლის

№1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 37.

³² თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის თაობაზე იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 13-57.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 18.

თვის და უნდა ჩაითვალოს ანტისოციალურად, რაც სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობის საკითხს აყენებს.

ბ) გამოსადეგობა

საზოგადოების უსაფრთხოების ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით უნდა შეფასდეს, რამდენად ქმნის ბუღინგის ქმედება უსაფრთხოების დარღვევის საფრთხეს. საქართველოში სასკოლო ბუღინგის შესახებ 2015 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგების 30,5% მიიჩნევს, რომ სკოლაში ხდება მოსწავლეებს შორის ბუღინგი. სკოლაში არსებულ უსაფრთხოების პრობლემებზე უთითებს ასევე 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიაც. აღნიშნული პირდაპირ უსვამს ხაზს სკოლაში უსაფრთხოების სერიოზულ პრობლემებს, რომლისთვისაც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც დაწესდეს.

გ) აუცილებლობა/პროპორციულობა

მოცემულ ქვეთავში შესაფასებელია, თუ რამდენად არის აუცილებელი ხსენებული მიზნის ფარგლებში ბუღინგის ცალკე სისხლის სამართლის ნორმად გამოყოფა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა.

2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, რომლის მიზანია ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის პირველი მუხლის, მეორე პუნქტის თანახმად, ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, რომ დაცულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომელიც გულისხმობს „მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებას“.

„ბავშვთა უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ინტერესების დაცვა შეუძლებელია სკოლის ბუღინგის პირობებში. საინტერესოა, რამდენად უზრუნველყოფს სკოლა ბუღინგისგან ბავშვების დაცვას. 2017 წლის პირველ დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავ-

ლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისგან მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ საჯარო სკოლებში გახშირებულია ისეთი გადაცდომები, როგორცაა: გაკვეთილის ჩაშლა, სკოლიდან გაპარვა, გაკვეთილის თვითნებურად მიტოვება, დაგვიანება, ფულის გამოძალვა, არაეთიკური ქცევა, მასწავლებლის შეურაცხყოფა, ჩაგვრა/ბუღინგი, ფიზიკური დაპირისპირება, აკრძალული საგნების ტარება. ამ გადაცდომებზე გამოყენებულ სახდელებს – სიტყვიერი გაფრთხილება, შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, ან სკოლიდან 3-9 დღით დათხოვნა – ფორმალური დატვირთვა აქვს და არ შეიძლება ჩაითვალოს პრევენციულ ზომებად“.³⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის #235-ე ბრძანებულების თანახმად, სკოლაში არსებული რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს არასრულწლოვანთა ქცევაზე და უბიძგებს მათ დანაშაულისაკენ არის მოსწავლეებს შორის მუქარა, დაშინება, ბუღინგი; დაბალი აკადემიური მოსწრება; დისკრიმინაცია; სკოლის სისტემატური გაცდენა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს არსებული მდგომარეობა სკოლაში (ფულის გამოძალვა, არაეთიკური ქცევა, მასწავლებლის შეურაცხყოფა, ჩაგვრა/ბუღინგი, ფიზიკური დაპირისპირება, აკრძალული საგნების ტარება) ვერ უზრუნველყოფს „ბავშვთა უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებულ მოსწავლის ღირსების დაცვას, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და განვითარების რეალიზებას და შეიძლება მოზარდს დანაშაულის ჩადენისკენაც კი უბიძგოს. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ ბუღინგის ქმედების სისხლისსამართლებრივ დასჯადობასა და შესაბამის სასჯელზე.

„მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების

³⁴ 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები, გვ. 38.

პრევენციულ მექანიზმებს შორის სწორი ბალანსის უზრუნველყოფა, შედეგზე და ზიანის შემცირებაზე ორიენტირებული და პრაქტიკული ეფექტის მქონე მიდგომების გამოყენება“.³⁵

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელის დაკისრება ისეთი ქმედებისთვის/ბულინგისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად ადამიანის უფლებაში.³⁶ „ქმედებისათვის დანიშნული სასჯელი უნდა იყოს თავად ამ ქმედებიდან მომდინარე საფრთხეების პროპორციული. პასუხისმგებლობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს“³⁷ ბულინგის ჩამდენის პიროვნებას, ქმედების მოტივს და მიყენებული ზიანის ხარისხს. მითუფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოზარდების დიდი ნაწილი პოლიციაში რეგისტრირების შემდეგ წყვეტს დანაშაულებრივ აქტივობას.³⁸ მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენა ნორმალური და ეპიზოდური მოვლენაა³⁹ და „პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა (მათ შორის, თუნდაც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ან საპროცესო შეთანხმების დადება), ნასამართლეობა და, შესაბამისად, პირის სტიგმატიზაცია“⁴⁰ უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება ბულინგის ჩამდენი ბავშვისთვის.

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 49.

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 49.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 54.

³⁸ შალიკაშვილი, მორის/მიქანაძე, გივი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, 2016, გვ. 18.

³⁹ Neubacher, Frank, Kriminologie, 3. Auflage, 2017, გვ. 70-72; შალიკაშვილი, მორის/მიქანაძე, გივი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, 2016, გვ. 15-18.

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 49.

პროპორციულად მაშინ შეიძლება საშუალება შეფასდეს, როცა იგი მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს და მისაღწევ მიზანთან პროპორციულ დამოკიდებულებაშია.⁴¹

ბულინგის პირველი ან თუნდაც მეორე ქმედებისთვის სსკ-ს მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ერთ-ერთი სახის გამოყენება არ იქნება ქმედების პროპორციული, ვინაიდან ზიანი რომელიც ბავშვს შეიძლება სასჯელის გამოყენებით მიადგეს (ნასამართლობა, ეტიკეტირება) აღემატება სასჯელის გამოყენებით მისაღწევ მიზანს, თურა თქმა უნდა ბულინგის ქმედება სსკ-ით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.

პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით შესაძლებელია ბულინგის ქმედებისთვის მოხდეს პასუხისმგებლობის ღონისძიების/სასჯელის გამოყენების გრადაცია, ერთი ღონისძიებიდან მეორე ღონისძიებაზე გადასვლა, შემდეგი სახით:

- რეაგირების პირველი დონე – ბულინგის პირველი ქმედებისთვის შეიძლება ბუღერი მოსწავლის მიმართ სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოიყენებოდეს სიტყვიერი გაფრთხილება, შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, ან სკოლიდან 3-9 დღით დათხოვნა. ამავე საფეხურზე უნდა ხდებოდეს სასკოლო მედიაცია, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩართულები იყვნენ ბუღერი და მსხვერპლი, მოსწავლეების მშობლები ან/და განათლების სამინისტრო;
- რეაგირების მეორე დონე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სახდელის – გაფრთხილების დაკისრება 16 წელს მიღწეული ბუღერის მიმართ. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მოსწავლის მიმართ ვისზეც სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყენებულმა სახდელებმა შედეგი არ გამოიღო. 16 წლამდე ასაკის ბუღერის მიმართ რეაგირების პირველი დონის პირობების განმეორებით გამოყენება;
- რეაგირების მესამე დონე – თუ ბუღერის მიმართ გამოყენებულმა პირველი და მეორე დონის რეაგირებამ შედეგი არ გამოიღო, მის მიმართ გა-

⁴¹ ცქიტიშვილი, თემურ, სასჯელის პროპორციულობა, ნიგნში: სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 502.

მოყენებული იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გათვალისწინებული განრიდების ერთი ან რამდენიმე ღონისძიება ან ჩართულ იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გათვალისწინებულ განრიდება-მედიაციის პროგრამაში;

- რეაგირების მეოთხე დონე – თუ პირველმა სამამა დონემ არ გამოიღო შედეგი მოსწავლისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის სახით შინაპატიმრობის შეფარდება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ დღეს არსებული საკანონმდებლო ჩანაწერი ჯარიმის გამოყენებას ხელს უშლის, რის გამოც შინაპატიმრობა ერთ-ერთ მისაღებ ღონისძიებად რჩება;⁴²
- რეაგირების მეხუთე დონე – თუ მოსწავლე შინაპატიმრობის შეფარდების პირობებში კვლავ აგრძელებს სხვა მოსწავლეების ბულინგს, შესაძლებელი იყოს მის მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ერთ წლამდე ვადით.

აუცილებელია ასევე მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის მუდმივი ტრენინგი ბულინგის თაობაზე ცნობიერების ამაღლების, შემთხვევების აღმოჩენის, რეაგირებისა სასკოლო მედიაციის გამოყენების და პოლიციასთან თანამშრომლობის კუთხით.

ვფიქრობთ, პასუხისმგებლობის ღონისძიების/სასჯელის გამოყენების ზემოაღნიშნული გრადაცია პასუხობს ბულერის საქციელის/ქმედების სიმძიმეს და შეესაბამება პროპორციულობის საკითხს.

V. ბულინგის შედარება ადევნების დასჯადობის საკითხთან

2017 წლის 4 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 151¹ მუხლი – ადევნება. ამ მუხლის თანახმად, „პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა

განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის“.

აღნიშნული ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე არის ადამიანის ცხოვრების ინდივიდუალური სფერო, შინაგანი სიმშვიდის უფლება, რათა პირი არ გახდეს ფსიქოტერორის მსხვერპლი.⁴³

ადევნების ნორმის დისპოზიცია მსგავსია ბულინგის ქმედებასა და მისი შედეგის. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სსკ-ში არსებობდა ადევნების ნიშნების შემცველი სხვა დანაშაულის შემადგენლობები,⁴⁴ ადევნება სისხლის სამართლის კოდექსით ცალკე მუხლად ჩამოყალიბება განპირობებული იყო 2011 წლის 11 მაისს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული კონვენციით „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე. წ. სტამბოლის კონვენცია).

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია და მისი საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ბავშვთა უფლებათა კოდექსი პირდაპირ საუბრობენ სახელმწიფოს ვალდებულებაზე ხელი შეუწყოს ბავშვის განათლებას, უსაფრთხოებას, განვითარებას და კეთილდღეობას. სასკოლო ბულინგის პირობებში კი, აღნიშნული შეუძლებელია. შესაბამისად, ადევნების მსგავსად შეიძლება სახელმწიფომ იფიქროს ბულინგის სისხლის სამართლის ცალკე ნორმად ჩამოყალიბებასა და ისეთი ხასიათის ალტერნატიული სასჯელით სანქცირებაზე, რაც ბულინგის პრევენციას შეუწყობს ხელს.

ერთი შეხედვით შეიძლებოდა ადევნების მუხლს მოეცვა ბულინგის ქმედებაც, მაგრამ ადევნებისგან განსხვავებით ბულინგის ქმედება უფრო კომპლექსურია და (ფიზიკური) ძალადობის გამოყენებასაც გულისხმობს (განსხვავებით ადევნებისგან, რომე-

⁴³ ჯიშკარიანი, ბაჩანა, ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, DGSiZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი) 3/2018, 46.

⁴⁴ დვალიძე, ირაკლი/ხარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/წიქარიშვილი, კახაბერ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 313.

⁴² შდრ. შალიკაშვილი, მორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ორი წლისაა, ნონა თოდუას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2021, გვ. 91-93.

ლიც მხოლოდ ძალადობის საფუძვლიან შიშს მოითხოვს), რაც სცილდება ადევნების დისპოზიციის ფარგლებს. ადევნება შესაძლებელია სიყვარულის მოტივითაც კი განხორციელდეს,⁴⁵ როდესაც ბუღინგი თავიდანვე უარყოფითი ქმედებაა და ის ბუღინგის მხრიდან მსხვერპლის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას გულისხმობს; ბუღინგის ჩამდენის პროვოცირება არ ხდება მსხვერპლის მიერ, როცა ადევნების შემთხვევაში შეიძლება პოტენციურ მსხვერპლს თავდაპირველად მოსწონდეს კიდევ პოტენციური მოძალადის მხრიდან ყურადღება.

სისხლის სამართლის კოდექსში 151¹ მუხლის – ადევნება – დამატების შემდეგ აღმოჩნდა, რომ 2019 წელს 86, ხოლო 2020 წელს 89 ადევნების დანაშაული მოხდა, რაც მუხლის ამოქმედებამდე არც კი ხდებოდა ცნობილი სამართალდამცავებისთვის ან თუ ხდებოდა, მასზედ რეაგირება

შეუძლებელი იყო არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციების გამო და, შესაბამისად, რჩებოდა სახელმწიფო ყურადღებისა და პრევენციის გარეშე.⁴⁶ მოცემული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ 2017 წლის ცვლილება ადევნების კრიმინალიზაციის თაობაზე დროული და პრევენციის მატარებელია.

როგორც ადევნების, ასევე ბუღინგის მსხვერპლს უწევს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლა. „მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება ნიშნავს პირის ცხოვრების ჩვეული რიტმის იმგვარ დარღვევას, როდესაც დაზარალებულს სასურველი საქციელის განხორციელებისთვის სჭირდება ზედმეტი დროის და ენერჯის ხარჯვა, ზედმეტი ეკონომიკური სახსრების გამოყენება ან გარკვეული ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება, რაც მომეტებულ დისკომფორტს უქმნის დაზარალებულს“.⁴⁷

⁴⁵ დვალაძე, ირაკლი/ზარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/ნიქარიშვილი, კახაბერ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 322.

⁴⁶ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi> (ბოლოს ნანახია: 25.11.2021).

⁴⁷ დვალაძე, ირაკლი/ზარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/ნიქარიშვილი, კახაბერ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 328.

მოსწავლეს, რომელიც ისე არის ბუღინგით (ბუღინგის ჩამდენი პირით) დაშინებული, რომ სკოლაში წასვლა არ უნდა ან სკოლის გამოცვლას ითხოვს, შეიძლება მოუწიოს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლა.⁴⁸ ის ტოვებს შეჩვეულ/შეგუებულ სოციალურ გარემოს და იძულებულია სხვა სკოლაში გადავიდეს. ის რაც ბუღინგისთვის დამახასიათებელი შედეგია (ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლა) ადევნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი ელემენტია. შესაბამისად, თუ ბუღინგს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლა მოჰყვა, შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და ცალკე ბუღინგის სსკ-ის მუხლად ჩამოყალიბების დროს საკმაოდ დიდი დატვირთვა მიეცეს (მაგალითად, რეაგირების მესამე, მეოთხე და მეხუთე დონის გამოყენება შეიძლებოდა).

VI. დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ბუღინგის ცალკე მუხლად ჩამოყალიბების პირობებში სახეზე გვექნება მოზარდის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობით გამოწვეული ეტიკეტირება და რესოციალიზაციის პრობლემები საზოგადოებაში, აუცილებელია მოხდეს პასუხისმგებლობის ღონისძიების/სასჯელის გამოყენების გრადაცია, ერთი ღონისძიებიდან მეორე ღონისძიებაზე გადასვლა, რაც სასჯელის გამოყენების *ultima ratio* პრინციპის დაცვიდან გამომდინარეობს.

კვლევები ადასტურებენ, რომ მძიმე ბუღინგის შედეგები მსხვერპლისთვის. ვინაიდან ბუღინგი არის არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ხელის შემწყობი პირობა,⁴⁹ არამედ ის თავად შეიცავს მძიმე ფსიქიკურ შედეგებს მსხვერპლისთვის, შეიძლება საჭირო იყოს მის ცალკე მუხლად ჩამოყალიბება სსკ-ში.

ბუღინგის ქმედების სსკ-ში ცალკე მუხლად ჩამოყალიბება და მისი გამოყენება ზემოაღნიშნული

⁴⁸ შდრ. დვალაძე, ირაკლი/ზარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/ნიქარიშვილი, კახაბერ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 325-326, 328-329.

⁴⁹ შალიკაშვილი, მორის/მიქანაძე, გივი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, 2016, გვ. 26.

გრადაციის მიხედვით, თავსებადია ზიანის და პროპორციულობის პრინციპებთან.

შეიძლება ბუღინგის ქმედება დასჯადი იყოს სისხლის სამართლის კოდექსით (მაგ. სსკ 117-120 მუხლებით (ჯანმრთელობის დაზიანება), სსკ 115 მუხლი (თვითმკვლელობამდე მიყვანა), სსკ 126 მუხლი (ძალადობა), სსკ 126 მუხლი (გამოძალვა), სსკ 187 მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება), თუმცა კონკრეტულად ბუღინგის ქმედების სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლად ჩამოყალიბება და მისი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობა მასთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდეს. სკოლაში დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, როგორც 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი მოსწავლის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნამ აჩვენა ამონურული სამართლებრივი სიკეთის დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები სკოლაში; სკოლის დისციპლინური ხასიათის ღონისძიებებს მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს; არ არის პრევენციული ხასიათის და ვერ უზრუნველყოფს სკოლაში მოსწავლეების და პერსონალის უსაფრთხოებას.⁵⁰

ბუღინგის ქმედების სსკ-ში ცალკე მუხლად ჩამოყალიბება და მისი გამოყენება ზემოაღნიშნული გრადაციის მიხედვით, მიუთითებს, რომ მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს დათქმით, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლის დისციპლინურმა და ადმინისტრაციულმა სახედოებმა შედეგი არ გამოიღო.

შესაბამისად, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნებოდა დაწყებულიყო მსჯელობა და სამეცნიერო კვლევები ბუღინგის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლად ჩამოყალიბების საკითხზე, რაც თავიდან აგვაცილებდა „ხორავას ქუჩის“ მსგავს შემთხვევებს.

⁵⁰ 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები, გვ. 38.

მოტივი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. **თემურ ცქიტიშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

I. შესავალი

წინამდებარე წერილში განხილვის საგანია მოტივი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში. კერძოდ, მოტივის გავლენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე. განხილულია მოტივი, როგორც სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოება. სტატიაში მსჯელობა არის იმაზე, თუ როდის არის მოტივი უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მოტივის ქმედების მართლწინააღმდეგობის გამორიცხვისა და გამართლებისთვის, რატომ ამძიმებს ან ამსუბუქებს მოტივი ცალკეულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას: იმიტომ რომ ბრალის ხარისხს განსაზღვრავს, თუ იმის გამო, რომ იცვლება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. სტატიაში ასევე გაანალიზებულია დანაშაულის მოტივის მნიშვნელობა თანაზომიერი სასჯელის შეფარდებისთვის.

საკითხი, რომელიც წინამდებარე წერილშია განხილული, ერთ-ერთია იმ თემებიდან, რომელიც მიეკუთვნებოდა პატივცემული იუბილარის, პროფესორ, დოქტორ ჰაინერ ალვარტის კვლევის სფეროს. ამიტომ მსურს, წარმოდგენილი სტატია მას მიუძღვნა და მის მიმართ გამოვხატო ჩემი პატივისცემა, აგრეთვე მაღლიერება იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ერთობლივი სტიპენდიის ფარგლებში სამეცნიერო მივლინების დროს გაწეული სამეცნიერო ხელმძღვანელობისთვის.

II. მოტივის ცნება

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, ისევე როგორც სასჯელის შეფარდება, მოითხოვს ობიექ-

ტური და სუბიექტური მომენტების გათვალისწინებას. სუბიექტური მომენტებიდან აღსანიშნავია ისეთი გარემოება, როგორიც არის მოტივი. მოტივი არის ფსიქოლოგიური ცნება, მაგრამ მას აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა სისხლის სამართალში. მანამ სანამ მოტივის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, უნდა გავარკვიოთ რა მოიაზრება ფსიქოლოგიაში მოტივის ცნების ქვეშ.

ფსიქოლოგიაში მოტივს მოქმედების საფუძველს უწოდებენ. სანამ ადამიანი გადაწყვეტილებას მიიღებს, მას წინ უსწრებს მოტივაციის პროცესი, რომელსაც ბოლოს მოსდევს გადაწყვეტის აქტი¹. მოტივაციის ცნებას შეუძლია უპასუხოს კითხვას – რა ამოძრავებს, რა წარმართავს ადამიანის ქცევას.²

მოტივი ქცევის ღირებულების უპირატესობის გაცნობიერებას უკავშირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სანამ ადამიანი გადაწყვეტდეს მოქმედებას და ჩამოუყალიბდებოდეს მოტივი, აფასებს, თუ რა სახის ქმედება განახორციელოს. ამიტომ გადაწყვეტილების მიღების პროცესს წინ შეიძლება უძღოდეს ხანგრძლივი ფიქრი და ყოყმანი.³

მოტივი არის ის, რაც ქცევას მნიშვნელობას აძლევს, რომლის გარეშეც იგი უბრალო ფიზიკური ფაქტი იქნებოდა.⁴ ქცევის შეფასება ხდება სწორედ იმის გათვალისწინებით, თუ რა მოტივი ედო მას საფუძვლად. ობიექტურად ერთი და იგივე სახის მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მოტივით. მაგალითად, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იყოს შურისძიების, ეჭვიანობის ან ანგარების მოტივით. ზოგჯერ შეიძლება ქმედებას საფუძვლად ედოს გასაკიცხი მოტივი, რომელიც

¹ უზნაძე, დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ. 207.

² ნათაძე, რევაზ, ზოგადი ფსიქოლოგია, 1986, გვ. 546.

³ უზნაძე, დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ. 209.

⁴ უზნაძე, დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ. 210-211.

უარყოფით შეფასებას იმსახურებს, ხოლო ობიექტურად იგივე სახის ქმედება მეორე შემთხვევაში განპირობებული იყოს ისეთი მოტივით, რომელიც მონონების და შექების ღირსია.

ფიზიკურად ერთი და იგივე ქცევა ფსიქოლოგიურად სხვადასხვა ქცევად წარმოგვიდგება იმის მიხედვით, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად. ფსიქოლოგიურად იმდენი ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი.⁵

ლიტერატურაში ხშირია მოტივის და მიზნის გაიგივების ტენდენცია, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მოტივის და მიზნის გამიჯვნასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი ითქვას: მოტივი მიგვითითებს იმაზე, თუ რატომ განხორციელდა დანაშაული, ხოლო მიზანი არის ის, რისკენაც დამნაშავე მიისწრაფის⁶ ანუ საბოლოო რეზულტატი⁷. არსებობს სხვადასხვა სახის მოტივი, როგორცაა: ეჭვიანობა, შურისძიება, ანგარება, შეუწყნარებლობის მოტივი და ა. შ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში როდესაც ვსაუბრობთ მოტივზე და მის მნიშვნელობაზე, პასუხი უნდა იქნას გაცემული კითხვაზე, უნდა მოხდეს მოტივის ფსიქოლოგიური ცნების გამოყენება, თუ სისხლის სამართალმა უნდა შეიმუშავოს მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნება? აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართალმა უნდა გამოიყენოს მოტივის ის ცნება, რომელიც ფსიქოლოგიაშია მიღებული.⁸ თუმცა, ამავდროულად უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართალს აინტერესებს მოტივი არა როგორც ადამიანური ქცევის კაუზალური მიზეზი, არამედ მოტივი, რომელიც ქმედებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაშასადამე საქმე ეხება მოტივის ჰერმენევტიკულ

ცნებას. ქმედების ჰერმენევტიკა გულისხმობს ქმედების გაანალიზებას შიგნიდან.⁹

როდესაც საუბარია მოტივზე სისხლის სამართალში, მხედველობაშია ის მოტივი, რომელიც განზრახ ქმედებას უდევს საფუძვლად, ვინაიდან ასეთ დროს აქვს მოტივს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. მოტივი შეიძლება გაუფრთხილებლობის დროსაც იყოს სახეზე, ვინაიდან ადამიანის მოქმედება, აქტივობა, ყოველთვის განსაზღვრული მოტივით და მიზნით არის წარმართული, მაგრამ გაუფრთხილებლობის დროს არსებული მოტივი სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას არის მოკლებული. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი, დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოება, ყოველთვის მხოლოდ განზრახ დელიქტებისა წარმოდგენილი.

III. მოტივის ფორმები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორები, მათ შორის პატივცემული იუბილარი, გთავაზობენ მოტივთა ფორმების კლასიფიკაციას. მაგალითად, წინდახედულების მოტივი (*vorausschauendes Motiv*), რომელიც გულისხმობს გარკვეული მიზნის მიღწევის გასაადვილებლად განხორციელებულ ქმედებას. პროფ. ალვარტი მეორე სახედ გამოყოფს თანამდევ მოტივს (*begleitendes Motiv*), რომელიც საბოლოოდ არ მიიჩნევა გასათვალისწინებლად. შემდეგ სახედ სახელდება რეტროსპექტული მოტივი (*rückschauendes Motiv*). აღნიშნული გულისხმობს მდგომარეობას, სადაც ვინმე მოქმედებს განსაზღვრული არსებული ფაქტების თუ ქმედებასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომის საფუძველზე.¹⁰

რეტროსპექტული მოტივი გადმოცემულია სიტყვით, რომელიც ქმედების მიზეზზე მიუთითებს (*Weil-Sätze*). აღნიშნული სახის მოტივს პროფ. ალვარტი უწოდებს “Weil-Motiv“-ს, ხოლო მოტივს, რომელიც

⁵ უზნაძე, დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ. 211.

⁶ ტყეშელიაძე, გიორგი, ნიგნში: ნაჭყებია, გურამ/დვალიძე, ირაკლი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2007, გვ. 142-143; დვალიძე, ირაკლი, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 29-30.

⁷ შავგულიძე, თამაზ, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, 1981, გვ. 70; ტყეშელიაძე გიორგი, ნიგნში: ნაჭყებია, გურამ/დვალიძე, ირაკლი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2007, გვ. 142.

⁸ ვაჩიშვილი, ალექსანდრე, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, 1957, გვ. 7.

⁹ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA (Goldammer's Archiv für Strafrecht) 1983, 433, 437.

¹⁰ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 438.

მომავალში განსახორციელებელ ქმედებას უკავშირდება და გადმოცემულია მიზანდასახულობასთან დაკავშირებული, ფინალური (*Um-zu Satz*) სიტყვით, „*Um-zu-Motiv*“-ს. „*Weil-Motiv*“-ი ეფუძნება წარსულში განხორციელებულ ქმედებას. მაგალითად, მე მინდა მეგობარს ვაჩუქო საჩუქარი, იმიტომ რომ, დაბადების დღეზე მანაც მაჩუქა საჩუქარი. თუმცა, ავტორი მიუთითებს, რომ ნამდვილი „*Weil-Motiv*“ შეიძლება ფინალური წინადადების სახით იქნას ფორმულირებული და არანამდვილ „*Um-zu-Motiv*“-ის სახით ფორმულირდეს. მაგალითად, მეგობარს მინდა ვაჩუქო საჩუქარი, იმიტომ რომ მინდა რევანში ჩემ თავთან.¹¹ როცა ქმედება განპირობებულია „*Weil-Motiv*“-ით, ქმედება წარმოგვიდგება როგორც რეაქცია განცდილ ქმედებასთან დაკავშირებით. „*Um-zu-Motiv*“-ი ამის საპირისპიროს ითვალისწინებს. აქ ქმედების სუბიექტური არსი კონსტრუირებულია მომავალზე.¹²

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიღებულია მოტივთა სხვაგვარი კლასიფიკაცია, როგორცაა: მორალური, სოციალური, ამორალური, ანტისოციალური მოტივები. აგრეთვე მიუთითებენ ალტრუისტულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ეგოისტურ მოტივებზე. ხოლო ავტორთა ნაწილი ახდენს მოტივთა კლასიფიკაციას შემდეგ სახეობად: 1) მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია იდეურ მოვლენებთან: ა) ზოგადსოციალური მოტივები: მორალურ-პოლიტიკური მოტივები (მაგალითად, რასობრივი შეუწყნარებლობა); მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ესთეტიკურ მოთხოვნილებასთან, ინტერესებთან, მისწრაფებებთან, გემოვნებასთან; რელიგიური ხასიათის მოტივები; ბ) პირადი ხასიათის მოტივები: ეგოისტური ხასიათის მოტივები (კარიერიზმი, შური, ეჭვიანობა, შურისძიება, უპატივცემულობა, სიხარბე, ანგარება); გ) არაეგოისტური მოტივები, გამობატული პიროვნების კომუნიკაციურ თვისებაში (მომჭირნეობა, სიჯიუტე, თავმოყვარეობა, სიყვარული, სიზარმაცე); მოტივები, დაკავშირებული პიროვნების ხასიათთან (სიამოვნება, უსიამოვნება, კმაყოფილება, უკმაყოფილება, ნაღვლიანობა, სევდა, სიხარული); აფექტური

ხასიათის მოტივები; მოტივები, რომლებიც სხვა მოთხოვნილებებს და ინტერესებს უკავშირდება და სხვა; 2) საგნობრივი ხასიათის მოტივები, რომლებიც საგნისადმი დაინტერესებას უკავშირდებიან.¹³

მოტივთა ტიპიზაციას იცნობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის ლიტერატურა, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. მაგალითად, სსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლ ნაწილში (საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა) კანონმდებელი მიუთითებს პოლიტიკურ მოტივზე, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ალტერნატიულ ნიშანზე, ხოლო 341-ე მუხლი (სამსახურებრივი სიყალბე) კი ქმედების სუბიექტურ ალტერნატიულ ნიშნად ითვალისწინებს მოქმედებას პირადი მოტივით. ანალოგიური სახის მითითებებს მოტივთან დაკავშირებით ვხვდებით სსკ-ის სხვა მუხლებშიც (მაგალითად, 363-ე მუხლი).

ზემოთ საუბარი იყო მოტივთა კლასიფიკაციაზე, მაგრამ საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ განხილული სახის ყველა მოტივი არის მოტივი, რომელიც ქმედებას განაპირობებს და იმის შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს, თუ რატომ იქნა ქმედება განხორციელებული და როგორი იყო მოქმედი პირის განწყობა დანაშაულის ჩადენის დროს, რაც ზეგავლენას ახდენს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე თუ სასჯელის ზომის განსაზღვრაზე.

IV. შეიძლება თუ არა, ადგილი ჰქონდეს მოტივთა კონკურენციას?

მოტივზე, როგორც ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველზე საუბრისას ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ქმედებას საფუძვლად ედოს სხვადასხვა მოტივი? ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ქმედების განხორციელებისას შეიძლება სახეზე იყოს მოტივთა სიმრავლე, რომელსაც სხვაგვარად მოტივთა ბრძოლასაც უწოდებენ. აღნიშნული თვალსაზრისით, თუ სახეზეა მოტივთა

¹¹ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 439.

¹² Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 439-440.

¹³ ხარაზიშვილი, ბეჟან, დანაშაულის ქმედების მოტივთან დაკავშირებული საკითხები საბჭოთა სამართალში, 1963, გვ. 50-63. ლიტერატურაში მიღებულია მოტივთა სხვაგვარი კლასიფიკაცია, იხ.: დვალისძე, ირაკლი, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 43-59.

სიმრავლე ქცევის შეფასებისას უნდა მოხდეს იმ მოტივის გათვალისწინება, რომელიც დომინანტურია.¹⁴ მაშასადამე, ქმედება შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა მოტივებს. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში ცალკეულ ავტორთა მიერ, არამედ ასევე გერმანულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაშიც.¹⁵

პროფ. ალვარტი თვლის, რომ ქმედებას სხვადასხვა მოტივი რომ ედოს საფუძვლად, საჭიროა მოტივთა ორმხრივი თავსებადობა და იყენებს სპეციალურ ტერმინს იმ შემთხვევის გამოსახატად, როცა სახეზეა ქმედების განმაპირობებელი სხვადასხვა მოტივი. კერძოდ, მას უწოდებს მოტივთა შეკავშირებას (Motivverknüpfungen), რომლისგანაც მიჯნავს მოტივთა შეუთავსებლობის შემთხვევას, რომელსაც უწოდებს „მოტივთა კოლიზიას“ (Motiv-Kollision). ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ მოტივები ერთმანეთს კი არ შეესაბამებიან, არამედ გამორიცხავენ. ავტორი ასევე ახდენს მოტივთა შეკავშირების სხვადასხვა შემთხვევის კლასიფიკაციას. მაგალითად, მოტივთა შეკავშირების ერთ შემთხვევაში (Motiv-Kopplung) ცალკეული მოტივი წარმოაჩენს არა მთლიან ქმედებას, არამედ მის მხოლოდ ერთ ასპექტს. მოტივთა შეკავშირების მეორე შემთხვევაში საქმე ეხება მიზანსა და საშუალებას შორის კავშირს. მოქმედ პირს სურს საშუალება, ვინაიდან სურს მიზანი (რეზულტატი). მაგალითად, სროლა ადამიანზე არის მკვლელობის საშუალება. მეორე მხრივ, სროლასთან მიმართებით მკვლელობა არის მიზანი. სხვა მხრივ, მკვლელობა არის შემდგომი მიზნის, მემკვიდრეობის მიღების საშუალება (მოქმედ პირს სურს ესროლოს, იმიტომ რომ მოკლას და მემკვიდრეობა მიიღოს). მეორე ჯგუფის მოტივთა შეკავშირებისთვის (Motiv-Implication) დამახასიათებელია ის, რომ „ბოლო“ მოტივი წინა მოტივს აფუძნებს და წინა და

ბოლო მოტივი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ავტორის თქმით, აქ საქმე ეხება მოტივთა „იერარქიულ რიგს“. მესამე ჯგუფის მოტივთა შეკავშირების (Motiv-Konjunktion) დროს სულ მცირე ორი მოტივი ერთ ქმედებას განაპირობებს. მაშასადამე, სახეზეა თანაბარი რანგის მოტივთა სიმრავლე. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება შეიძლება არა მხოლოდ ერთი მოტივის საფუძველზე აიხსნას, არამედ სხვადასხვა მოტივების საფუძველზე.¹⁶

Motiv-Konjunktion-ის მაგალითად პროფ. ალვარტს მოყავს შემდეგი შემთხვევა: პირი ახორციელებს მკვლელობას ორი მიზეზით. ერთი მხრივ იმისთვის, რომ მის ქვრივთან იქორწინოს, ხოლო მეორე მხრივ, იმისთვის, რომ განყოფილების გამგის თანამდებობა დაიკავოს, რომელიც მანამდე მსხვერპლს ეკავა. მოცემულ შემთხვევაში მკვლელობა განხორციელებულია ორი თანაბარი რანგის მიზნით, რომლებიც საკმარისი აღმოჩნდნენ ქმედების განსახორციელებლად. სხვა შემთხვევაში შეიძლება ქმედებას საფუძვლად ედოს არა ორი გულზრახვა (zwei Intentionen), არამედ მხოლოდ ერთი Weil-Motiv-ი. მაგალითად, დამნაშავემ გადაწყვიტა მკვლელობა იმიტომ, რომ განყოფილების გამგე გამხდარიყო და აგრეთვე იმის გამო, რომ მკვლელობა მსხვერპლმა სთხოვა.¹⁷ მოცემულ შემთხვევაში ავტორი უარყოფს ორი მოტივით მოქმედებას, რაც გასაზიარებელია. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე მსხვერპლის თხოვნასაც ითვალისწინებს მკვლელობასთან დაკავშირებით და ქმედება ხორციელდება თანამდებობის მოპოვების მიზნით, ქმედებას მაინც ერთი მოტივი უდევს საფუძვლად, რომელიც არის ქმედების წარმმართველი. თანამდებობის მოპოვების გამო მკვლელობას საფუძვლად შეიძლება ედოს ისეთი მოტივი, როგორც არის კარიერიზმი. ხოლო, თუ თანამდებობის მოპოვება დამნაშავეს სურს მატერიალური გამორჩენის მისაღებად, მოტივად ანგარება შეიძლება მივიჩნიოთ. ორივე მოტივი შეუთავსებელია სიბრალების მოტივთან, რომელიც შეიძლება ედოს საფუძვლად მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეუძლებელია მკვლელობის მოტივებად

¹⁴ ვაჩიშვილი, ალექსანდრე, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, 1957, გვ. 18; წერეთელი, თინათინ, სისხლის სამართლის პრობლემები, 2007, გვ. 268; ლეკვიშვილი, მზია/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2019, გვ. 41; ჯიშკარიანი, ბაჩანა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, გვ. 54-55.

¹⁵ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 441.

¹⁶ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 441-442.

¹⁷ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 442.

დასახელდეს როგორც ანგარება ან კარიერიზმი, ისე მსხვერპლის სიბრალული. დასახელებული მოტივებიდან ქმედებას მხოლოდ ერთ-ერთი შეიძლება განაპირობებდეს.

ავტორთა ერთი ნაწილი მიუთითებს, რომ შეიძლება შურისძიებისა და ეჭვიანობის მოტივებს შორის წარმოიშვას კონკურენცია, როცა ეჭვიანობა შურისძიების წარმოშობის საფუძველია. ასეთ დროს ქმედების კვალიფიკაციისას უპირატესობა უნდა მიეცეს მოტივს, რომლითაც დამნაშავე ხელმძღვანელობს. ამიტომ უნდა დადგინდეს დამნაშავეის ნამდვილი მოტივი.¹⁸ აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. თუ კონკრეტული მოტივი საფუძვლად არ უდევს განხორციელებულ ქმედებას, ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენისას ის არც არსებობდა. ხოლო არარსებული მოტივი არსებულს კონკურენციას ვერ გაუწევდა. ნათქვამის სისწორეს კიდევ უფრო ასაბუთებს ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითი და მსჯელობა, სადაც დამნაშავეის მიერ ცოლის მკვლელობის საფუძვლად დასახელებულია ცოლის ღალატი, რამაც დამნაშავეს შურისძიების მოტივი ჩამოუყალიბა.¹⁹ თუ დამნაშავემ იცოდა, რომ ცოლი ღალატობდა და ამის გამო მოკლა, დანაშაული მიჩნეულ უნდა იქნას შურისძიების მოტივით ჩადენილად. ეჭვიანობა მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ მოქმედ პირს ეჭვი ექნებოდა იმაზე, რომ ცოლი შეიძლება მოღალატე ყოფილიყო. როდესაც მკვლელობა ხდება ცოლ-ქმრული ღალატის გამო და აღნიშნულზე მოქმედი პირი მკვლელობამდე კი არ ეჭვიანობდა, არამედ დარწმუნებული იყო, ეჭვიანობის მოტივი გამოირიცხება. მოტივთა კონკურენციზე საუბარს მაშინ ექნებოდა საფუძველი, თუ დანაშაულის ჩადენის დროს სახეზე იქნებოდა ორი მოტივი, რაც მეტად საკამათოა.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მიუთითებენ, რომ შეცდომა იქნება მკვლელობისას ანგარების გვერდით ქმედების სხვა მოტივის გამორიცხვა. შემთხვევას, როცა სახეზეა მოტივთა სიმრავლე, გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში სპეციალური ტერმინით მოიხსენიებენ (Motivbündel) და მიუთითებენ, რომ ასეთ დროს დამნაშავეის პიროვნების შესაფასებლად უნდა მოხ-

დეს ყველა მოტივის დადგენა და გათვალისწინება, რომელიც საფუძვლად დაედო გადანყვეტილების მიღებას. თუმცა, ამავდროულად ხდება დომინანტი მოტივის უპირატესობაზე მითითება.²⁰ პატივცემული იუბილარი აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს იმ არგუმენტით, რომ მისი შეხედულებით, ანგარების მოტივი არ შეიძლება იყოს მოტივთა სიმრავლის შემადგენელი ნაწილი.²¹

მოტივთა ბრძოლის და კონკურენციის იდეას იზიარებს ასევე ბ. ჯიშკარიანი, რომელსაც აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „ა-ს ავტოავარიის შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიადგა და სიკვდილის პირას იყო. ამასთანავე, მას აუტანელი ტკივილი ტანჯავდა. ა-მ თავის ცოლს, ბ-ს სთხოვა, მისთვის, ფარულად, ნემსით სანამლავი გაეკეთებინა და ამ კომმარისგან გაეთავისუფლებინა. თხოვნა სრულიად სერიოზული იყო და ა-მ ის ცოლს გარკვეული პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე გაუმეორა. საბოლოოდ, ცოლი მის ნებას დაჰყვა, რათა მეუღლე არ დატანჯულიყო. ამასთანავე, არც იმის სანინააღმდეგო ჰქონდა რაიმე, რომ ა-ს მთელი ქონება მას დარჩებოდა“. ავტორი თვლის, რომ მოცემულ კაზუსში სახეზეა როგორც სიბრალულის, ისე ქონების მიღების (მაშასადამე, ანგარების) მოტივი, თუმცა დომინანტურია სიბრალულის მოტივი. ამას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ ცოლს ქმრისთვის ნემსის გაკეთების გადანყვეტილება გამდიდრების გამო არ მიუღია, რის გამოც გამდიდრების მოტივს მიიჩნევს არა ძირითად, არამედ „თანამდეგ“ მოტივად.²² ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუ მოტივი გადანყვეტილების საფუძველია, არ შეიძლება „თანამდევი“ იყოს. არსებობს „თანამდევი“ არა მოტივი, არამედ შედეგი. მოტივი ყოველთვის ძირითადია. მოტივი გადანყვეტილებას უდევს საფუძვლად, ამიტომ მოტივს დანაშაულებრივი ქმედების მიზეზად მიიჩნევენ. ის რაც მოქმედების მიზეზი და საფუძველია, არ შეიძლება ძირითადი არ იყოს. თუ დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება დამნაშავეს არა

¹⁸ *ლეკვეიშვილი, მზია/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2019, გვ. 41.

¹⁹ *ლეკვეიშვილი, მზია/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2019, გვ. 41.

²⁰ *Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 436-437.*

²¹ *Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 451.*

²² *ჯიშკარიანი, ბაჩანა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, გვ. 54-55.

გამდიდრების სურვილით, არამედ სიბრაღის გამო აქვს მიღებული, ეს იმას ნიშნავს, რომ სიბრაღის მსხვერპლის მკვლელობის მოტივი. მოცემულ შემთხვევაზე ვერ ვიტყვით, რომ სიბრაღის მოტივმა გაუწია კონკურენცია ანგარების მოტივს, ვინაიდან ანგარების მოტივი საერთოდ არ არსებობდა. ანგარების მოტივით დანაშაულის ჩასადენად არ კმარა ის, რომ „დამნაშავეს სანინალმდეგო არაფერი ჰქონდა დანაშაულის შედეგად ქონების მიღებასთან დაკავშირებით“. ანგარების მოტივი მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ დანაშაული სწორედ ქონების მისაღებად იქნებოდა განხორციელებული.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის მოსაზრებით, მოტივთა ბრძოლის შესახებ საუბარი სრულიად დაუსაბუთებელია. არავითარი მოტივთა ბრძოლა და მოტივთა შეხლა-შემოხლა არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ერთი ქცევა, რომელსაც სხვადასხვა მოტივი შეიძლება ჰქონდეს. ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს. რეალურად ადგილი შეიძლება ჰქონდეს არა მოტივთა, არამედ მოტივაციის ფაქტორთა კონკურენციას.²³

გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გამოირიცხება მოტივთა კონკურენცია და ერთი ქმედების განხორციელება ერთსა და იმავე დროს ერთზე მეტი მოტივით. ეს მით უფრო შეეხება ურთიერთგამომრიცხავი, შინაარსობრივად ურთიერთსაპირისპირო მოტივებით ქმედების განხორციელების საკითხს. შეუძლებელია ქმედება ერთსა და იმავე დროს განხორციელებული იყოს როგორც სიბრაღის, ისე ანგარების მოტივით. დამნაშავეს, რომელიც ანგარების მოტივით კლავს მსხვერპლს, შეუძლებელია მსხვერპლის მიმართ დანაშაულის ჩადენისას ამავედროულად ამოძრავებდეს სიბრაღის მოტივი. სიბრაღის და ანგარების მოტივის შეუთავსებლობის იდეას იზიარებს პატივცემული იუბილარიც, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

²³ უზნაძე, დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ. 212; შავგულიძე, თამაზ, საზოგადოებრივი აზრი, მართლმეტყველება და მოსწავლე ახალგაზრდობა, 1981, გვ. 75; კიკნაძე, დიმიტრი, დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის, „ალმანახი“, 13/2000, 126; დვალიძე, ირაკლი, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 36; ნაჭყებია, გურამ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010, გვ. 191.

V. მოტივის მნიშვნელობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის

1. მოტივი, როგორც სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება

მოტივი დანაშაულის კლასიკური მოძღვრების მიხედვით, ბრალის ნიშანია. კლასიკური მოძღვრება ქმედების შემადგენლობას მხოლოდ ობიექტური ნიშნებისგან აყალიბებდა და ყველანაირ სუბიექტურ ნიშნებს ბრალს მიაკუთვნებდა. ნეოკლასიკურმა მოძღვრებამ ქმედების შემადგენლობაში სუბიექტური ნიშანი შემოიტანა მიზნის სახით და აღიარა მისი, როგორც უმართლობის დამაფუძნებელი ან ქმედების გამამართლებელი სუბიექტური ნიშანის მნიშვნელობა. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნად იქნა მიჩნეული ასევე მოტივი, ხოლო მოგვიანებით განზრახვაც (ფინალური მოძღვრება).²⁴

სისხლის სამართალში მოტივთან დაკავშირებით მოსაზრება ორად იყოფა. ერთი შეხედულებით, მოტივი ყოველთვის ბრალის ნიშანია.²⁵ მოცემული მოსაზრების წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ მიზანს შეუძლია უმართლობის დაფუძნება, მაგრამ მოტივი მხოლოდ ბრალის ხარისხს განსაზღვრავს.²⁶ ხოლო მეორე შეხედულებით, მოტივი ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განხილულ იქნას ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნად. ეს ეხება

²⁴ დანაშაულის კლასიკურ, ნეოკლასიკურ და ფინალურ სისტემებზე იხ.: Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 201-203, §7 Rn.15-18; Heinrich, Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, გვ. 39-42, Rn. 96-106. ხოლო ქართულ ენაზე იხ.: ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 73-85; გამყრელიძე, ოთარ, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, კრებულში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, თამაზ შავგულიძის 75-ე იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, 2006, გვ. 28 და მომდევნო გვერდები.

²⁵ უგრეხელიძე, მინდია, ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, საბჭოთა სამართალი, 6/1978, 50; გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, 2011, გვ. 346.

²⁶ გამყრელიძე, ოთარ, უმართლობის სუბიექტური ნიშნის საკითხისათვის, მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 2/1983, 87.

იმ შემთხვევებს, როცა მოტივი ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშნადაა გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით. ასეთ შემადგენლობებს სხვაგვარად მოტივით დაფუძნებული დელიქტები ეწოდება,²⁷ რაც იმას გულისხმობს, რომ მოტივი სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანია. მოტივი განსაზღვრავს ქმედების უმართლობას. ასეთ შემადგენლობებს მიეკუთვნება საქართველოს სსკ-ის 135-ე (სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა), 174-ე (ბავშვის შეცვლა), 197-ე (ფალსიფიკაცია), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები.

ჰ. ველცელი თვლიდა, რომ მოტივი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია, რომელიც ქმედების სოციალურ უღირსობას აფუძნებს ან ზრდის. მისი თვალსაზრისით, მოტივი რომ ბრალის ნიშანი არ არის, მეტყველებს ის, რომ ბრალუენაროს შეუძლია ამ ნიშნით მოქმედებდეს. კერძოდ, განახორციელოს ანგარების მოტივით სხვისი სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობა.²⁸ შეურაცხს არ შეუძლია ბრალეული ქმედების განხორციელება, თუმცა აქვს უნარი სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ განახორციელოს.²⁹

²⁷ *შავგულიძე, თამაზ*, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, 1981, გვ. 72; *სურგულაძე, ლამარა*, სისხლის სამართალი, დანაშაული, 2005, გვ. 382-383; *დვალაძე, ირაკლი*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 73, 79; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 340; *მჭედლიშვილი-ჰედრინი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, 2014, გვ. 92; *თოდუა, ნონა*, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამიძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 24.

²⁸ *Welzel, Hans*, Das Deutsche Strafrecht, 1969, გვ. 79.

²⁹ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, შეუძლებელია შეურაცხი პირის ქმედების მართლსაწინააღმდეგობის დასაბუთება ქმედების სუბიექტური ნიშნების გათვალისწინებით. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, შეურაცხის ქმედება არამართლზომიერად შეიძლება შეფასდეს შეურაცხის მოქმედების ობიექტური საფრთხიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მას შეუძლია სხვისი სამართლებრივად დაცული უფლების დარღვევა

მოტივს თანამედროვე სისხლის სამართალში მიაკუთვნებენ ქმედების შინაგან მხარეს. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ის შემადგენლობები, რომლებიც გამოირიცხება განსაზღვრული მოტივის გარეშე.³⁰

მაშინ, როცა მოტივი უმართლობის დამაფუძნებელ გარემოებადაა გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში, იგი ობიექტურ ხასიათს იძენს, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტური ნიშანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ნიშნის არსებობა აუცილებელია ამსრულებლის მხარეს, იმისთვის, რომ ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს შესაბამისი მუხლით, მაგრამ თანამონაწილის მხარეს მისი არსებობა არ არის აუცილებელი, რაც არ გამოირიცხავს თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციას იმავე მუხლით. თანამონაწილესთან მიმართებით საკმარისია, რომ გაცნობიერებული ჰქონდეს ამსრულებლის მოტივი, რომელიც უმართლობას აფუძნებს. თუ თანამონაწილეს ამსრულებლის მოქმედების მოტივი გაცნობიერებული აქვს, ის თანამონაწილეზეც გადმოვა და თანამონაწილესაც შეერაცხება. მოტივით დაფუძნებულ დელიქტებში სხვაგვარად თანამონაწილის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია. მაშინ, როცა მოტივი უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებაა, ამსრულებლის მოტივი თუ თანამონაწილეზე არ გადმოვიდა, თანამონაწილის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს.

როდესაც ვსაუბრობთ ამსრულებლის მოტივის თანამონაწილისთვის შერაცხვაზე და თანამონაწილის მხარეს გადმოსვლაზე, გასათვალისწინებელია მოტივის ბუნებაც, ის თუ როგორ უნდა განიმარტოს იგი. ამ მხრივ საყურადღებოა ანგარების მოტივი, რომელიც ქართული სსკ-ის არაერთი მუხლით უმართლობის დამაფუძნებელ გარემოებადაა გათვალისწინებული. მართალია, ანგარების გარდა, სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები სხვა სახის მოტი-

და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. იხ.: *ნაჭყებია, გურამ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2015, გვ. 310-313; *კუტალია, ლაშა-გიორგი*, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, დოგმატურ-სისტემური თავისებურებები, 1999, გვ. 201; *მამნიაშვილი, მიხეილ*, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, 2003, გვ. 34-37.

³⁰ *Alwart, Heiner*, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 434.

ვებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ანგარების მოტივია ასახული ქმედების შემადგენლობებში, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ, თუ დამამძიმებელ ნიშნად.

ქმედება ანგარების მოტივითაა განხორციელებული, როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს პირადი გამორჩენის, გამდიდრების, მატერიალური შემოსავლის დაზოგვის, თუ მატერიალური ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით. ქმედების ანგარების მოტივით განხორციელებულად კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, მიაღწია თუ არა მოქმედმა გამორჩენის მიზანს. ქმედება ანგარების მოტივით განხორციელებულად მიიჩნევა მაშინაც, როცა მოქმედი პირი გამორჩენის მიზანს ვერ აღწევს. საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა მკვლელობა ანგარების მოტივით ჩადენილი, როცა მკვლელობის მიზანია ქონების ნაწილის შენარჩუნება, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა. ერთი მოსაზრებით, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში (დასახელებული მიზნით მკვლელობისას) მკვლელობა ანგარების მოტივით განხორციელებულად არ ითვლება,³¹ ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრებით, რომელსაც გერმანიის უზენაესი სასამართლოც უჭერს მხარს, მკვლელობა ანგარების მოტივითაა ჩადენილი, როცა მკვლელობა ხორციელდება ადამიანის რჩენის (მზრუნველობის) ან ვალის დაბრუნების (მაშასადამე, მატერიალური) ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით.³² ანგარების მოტივით ქმედება აგრეთვე მაშინაც არის განხორციელებული, როცა პირადი გამორჩენის მიზანი არ არსებობს, თუმცა მოქმედი დაინტერესებულია იმ პირის გამორჩენით და ბედ-იღბლით, ვინც ანგარების მოტივით მოქმედებს. მოქმედი ასეთ დროს არა მხოლოდ ანგარების მოტივით მოქმედი პირის დამხმარეა, არამედ თავადაც მიიჩნევა ანგარების მოტივით მოქმედად. მოცემული მსჯე-

ლობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ანგარების მოტივისთვის არ არის გადამწყვეტი, მოქმედ პირს გამორჩენის მიღება თავისთვის უნდა, თუ სხვისთვის, ვისი ბედ-იღბლითაც არის დაინტერესებული (მაგალითად, ოჯახის წევრი).³³ შეიძლება დანაშაულის ჩადენაში პირი მონაწილეობდეს იმის გამო, რომ ამსრულებლის მატერიალური გამორჩენითაა დაინტერესებული, მაგრამ ეს არ ითქმის ყველა შემთხვევაზე. არ არის გამორიცხული, თანამონაწილე დანაშაულში მონაწილეობდეს შურისძიების მოტივით, როცა ამსრულებლის მოტივი ანგარებაა.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრებით, იმისთვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა ქმედება განხორციელებული ანგარების მოტივით, საჭიროა ქმედების მოტივაციის მთლიანი შეფასება. ამავე შეხედულებით, მოტივთა სიმრავლის შემთხვევაში უნდა დადგინდეს რომელი მოტივი იყო გადამწყვეტი, რომლის ზეგავლენითაც იქნა მიღებული მკვლელობის გადამწყვეტილება. როცა დამნაშავე მოქმედებდა არა მხოლოდ გამორჩენის მისაღებად (არამედ სხვა მიზნითაც), ქმედება მაშინ ჩაითვლება ანგარების მოტივით განხორციელებულად, თუ გამორჩენის მიღების განწყობამ დამნაშავეზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა.³⁴

პროფ. ალვარტი აკრიტიკებს გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციას და აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლო ანგარებას ისეთივე მარტივ (einfach) მოტივად წარმოგვიდგენს, როგორც სხვა მოტივებს. ის არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ანგარება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა მოტივთან ერთად მოტივთა სიმრავლის სახით, სადაც დასადგენი იქნება „ძირითადი მოტივი“ (Hauptmotiv). ალვარტი არ გამორიცხავს მოტივთა სიმრავლის შესაძლებლობას, მაგრამ ამას არ უშვებს მაშინ, როცა ქმედება ანგარების მოტივითაა განხორციელებული. იგი თვლის, რომ მოტივთა სიმრავლის დროს ყველა მოტივი მიიღება მხედველობაში ქმედების გასაგებად (შესაფასებლად). ეს კი იმას ნიშ-

³¹ Eser, Albin/Sternberg-Lieben, Detlev, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Auflage, 2019, §211, Rn. 17; Mitsch, Wolfgang, JuS (Juristische Schulung) 1996, 124; Joecks, Wolfgang, Strafgesetzbuch, Studienkommentar, 10. Auflage, 2012, გვ. 372-373, §211 Rn. 18-19.

³² BGHSt 10, 399; BGHSt 47, 243; ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა, წიგნი: ლეკვეიშვილი, მზია/მამულაშვილი, გორა/თოდუა, ნონა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, 2019, გვ. 72-73; ნაჭყებია, გურამ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010, გვ. 204.

³³ ნერეთელი, თინათინ, წიგნი: მაცაშვილი, ვლადიმერ/მაჭავარიანი, მირიან/ნერეთელი, თინათინ/შავგულიძე, თამაზ, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 1980, გვ. 20; ლეკვეიშვილი, მზია, წიგნი: ლეკვეიშვილი, მზია/მამულაშვილი, გორა/თოდუა, ნონა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, 2019, გვ. 74;

³⁴ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 443.

ნავს, რომ ყველა მოტივი არის თანაბარი რანგის. შეუძლებელია მოტივთა კლასიფიკაცია მთავარ და თანამდევ მოტივებად (*Nebenmotiv*). შესაძლებელია კითხვა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად არსებობდა თუ არა მოტივი. მოკლედ რომ ვთქვათ, ან არსებობს მოტივი ან არ არსებობს. ავტორი არ ეთანხმება ანგარება როგორც მთავარი მოტივი ისე იქნას პოსტულირებული, ვინაიდან ეს ნიშნავს სხვა თანამდევ მოტივის დაშვებას, რაც მას მართებულად არ მიაჩნია. ანგარება შეიძლება იყოს ერთადერთი მოტივი თანამდევ მოტივის გარეშე.³⁵

ავტორი ზემოაღნიშნულისგან განასხვავებს მოტივთა შეკავშირების შემთხვევას (*Motiv-Implication*), რომელიც გულისხმობს მოტივთა იერარქიულ რიგს. მას შეესაბამება გამონათქვამი „მთავარი მოტივი“. მაგრამ, გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციით ანგარებას სხვა მოტივებისთვის არ აქვს დამაფუძნებელი ფუნქცია. ანგარების მოტივი შეუძლებელია იყოს უკანასკნელი (*letzte*) მოტივი, ვინაიდან ის მოტივთა ასეთ რიგს არ განეკუთვნება.³⁶

ალვარტი სვამს კითხვას, როცა მკვლელობა ჩადენილია მსხვერპლის თხოვნით (გერმანული სსკ-ის 216-ე პარაგრაფი და ქართული სსკ-ის 110-ე მუხლი) ეს გამორიცხავს თუ არა იმის დაშვებას, რომ მკვლელობა ანგარების მოტივით იყოს განხორციელებული. ავტორი აღნიშნულ კითხვაზე პასუხობს, რომ ერთი მხრივ არ იქნებოდა ალოგიკური, თუ ანგარების მოტივს დავუშვებდით, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავემ მსხვერპლი მისი თხოვნით მოკლა, იმიტომ რომ, დამნაშავემ მსხვერპლის თხოვნა შეიძლება ანგარების მოტივით შეასრულოს. მეორე მხრივ, მითითებული ცალკეული მოტივი შეიძლება ჩართულ იქნას ერთიან კონტექსტში, რომლითაც მხოლოდ ანგარების დაშვება შეიძლება დასაბუთდეს. თუ დავუშვებთ როგორც მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით (გსსკ-ს 216-ე პარაგრაფის გაგებით), ისე იმას, რომ დამნაშავე ანგარებით მოქმედებდა, წარმოიშობა კითხვა, რომელი ქმედების შემადგენლობაა განხორციელებული. ვინაიდან ანგარებას როგორც თავდაჭერის მინიმალური

მოთხოვნის სულიერ-მორალურ დარღვევას ყველა მოტივის მომცველი შეფასების მოცემა შეუძლია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული თვალსაზრისით, ქმედებასთან ახლოს მყოფი მოტივი მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის შემადგენლობისთვის მნიშვნელოვანია. ის რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს ანგარებით მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით, მოქმედი სამართლის მიხედვით, მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის შემადგენლობისთვის არავითარ როლს არ ასრულებს,³⁷ არამედ შეიძლება მხოლოდ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგისთვის, სასჯელის შეფარდებისთვის ყოფილიყო გასათვალისწინებელი.

მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის შემადგენლობა თუ გამოირიცხებოდა, იმის გამო, რომ მსხვერპლის თხოვნასთან დაკავშირებით დამნაშავის სუბიექტური განცდა არ იქნა სერიოზულად ჩათვლილი, შეიძლება ყოფილიყო გაზიარებული აზრი ანგარების მოტივის არსებობაზე. პროფ. ალვარტი მიუთითებს გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მის სტატიაში განხილვის საგანია. გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულმა მკვლელობა ჩაიდინა სიბრალულის, თანაგრძობის გამო (*Mitleid*), ამგვარად დანაშაული არ განხორციელებულა ანგარების მოტივით, ვინაიდან წარმოუდგენელია თანაგრძობა და ანგარება ერთმანეთს დაუახლოვდეს (ერთმანეთს შეესაბამებოდეს).³⁸

2. მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება

როგორც უკვე აღინიშნა, მოტივი შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას და მაკვალიფიცირებელ ნიშნად იყოს გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით. ერთ-ერთი მოტივი, რომელმაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაამძიმოს, არის ანგარების მოტივი. ანგარების

³⁵ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 443-444.

³⁶ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 444.

³⁷ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 445-446.

³⁸ Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 446.

მოტივი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა ქართული სსკ-ის 109-ე (განზრახ მკვლელობა), 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 144-ე (მძევლად ხელში ჩაგდება) და სხვა მუხლებით, სადაც ანგარება არ აფუძნებს უმართლობას, ვინაიდან დამამძიმებელ გარემოებას არ შეიძლება წარმოადგენდეს უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება, რაც ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარეობს. გარდა ანგარების მოტივისა, არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სხვა სახის მოტივებიც. მაგალითად, 109-ე მუხლით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით, მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (შეუწყნარებლობის მოტივი), მკვლელობა გენდერის ნიშნით, მკვლელობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც შურისძიების მოტივის კერძო შემთხვევას წარმოადგენს.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ მოტივთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, აღნიშნულ შემთხვევებში მოტივი თუ რატომ იწვევს პასუხისმგებლობის დამძიმებას? იმიტომ რომ ბრალის ხარისხია მაღალი, თუ ქმედების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების გამო? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბრალი ინდივიდუალური,³⁹ პერსონალური ხასიათისაა⁴⁰ და შესაბამისად, ბრალის ნიშანიც

³⁹ ბრალის ინდივიდუალურ ხასიათზე იხ.: *Heinrich, Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, 224, Rn. 524; Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, გვ. 477, §16 Rn. 1.* ინდივიდუალურ ბრალზე ქართულ სისხლის სამართალში იხ.: *ჭურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 403; *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013, გვ. 172-173.

⁴⁰ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით ბრალი კი არ არის პერსონალური ხასიათის, არამედ ბრალის ხარისხი. თუმცა, ამავე დროს მიუთითებენ, რომ ბრალის ხარისხს, რომელიც პერსონალური ხასიათისაა, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე. იხ. *ნაჭყებია, გურამ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2015, გვ. 422. აღნიშნული მოსაზრება შეიძლება საკამათო იყოს, ვინაიდან ქმედების საშიშროება ბრალს არ მოიცავს, საზოგადოებრივად

მხოლოდ მას უნდა შეერაცხოს, ვის მხარესაც იქნება იგი. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან, რომელიც ასახულია საქართველოს სსკ-ის როგორც 25-ე (ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა), ისე არაერთ მუხლში.⁴¹

დამნაშავის მოტივი იმიტომ არის პერსონალური ნიშანი,⁴² რომ მოტივი დამნაშავის პიროვნებაშია და არსად სხვაგან. თავიდან გერმანულ მართლმსაჯულებაში მოტივი ქმედებასთან დაკავშირებულ ნიშნად განიხილებოდა, მაგრამ მოგვიანებით მოტივთან დაკავშირებით შეფასება შეიცვალა და დღეს აღიარებული შეხედულებით იგი მიიჩნევა დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებად.⁴³

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ მოტივთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოსაზრება ორად იყოფა: ერთი მოსაზრებით, რომელიც გაზიარებულია როგორც გერმანულ,⁴⁴

საშიში ქმედება ბრალის გარეშე შეიძლება განხორციელდეს. ქმედების სოციალური საშიშროება ობიექტური ხასიათისაა, რომლის ხარისხს, როგორც წესი, ობიექტური ხასიათის გარემოებები განსაზღვრავს. ქმედების სოციალური საშიშროება და მართლწინააღმდეგობა ბრალის წინამძღვარია. ბრალზე მსჯელობას წინ უძღვის მართლწინააღმდეგობასა და ქმედების სოციალურ საშიშროებაზე მსჯელობა. იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე, საბჭოთა სამართალი, 1/1970, 32. აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული ისიც, რომ ქმედების უმართლობას ზოგჯერ სუბიექტური ნიშნები აფუძნებს, რაც წარმოშობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, აღნიშნულ გარემოებებს თუ რატომ არ უნდა შეეძლოთ უმართლობის ხარისხის განსაზღვრა, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ბრალის ხარისხი მისი წინამძღვარი ქმედების სოციალური საშიშროების და უმართლობის ხარისხს განსაზღვრავს.

⁴¹ ანალოგიურ რეგულაციას ვხვდებით გერმანული სსკ-ის 28-ე და 29-ე პარაგრაფებში.

⁴² *Heinrich, Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, გვ. 600-601, Rn. 1349-1350.*

⁴³ *Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, გვ. 244, §27 Rn. 28.*

⁴⁴ *Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 314, §10 Rn. 73; Eser, Albin/Sternberg-Lieben, Detlev, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Auflage, 2019, გვ. 2097, §211 Rn. 6; Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut, Strafrecht, Allgemeiner Teil, 51. Auflage, 2021, გვ. 235, Rn. 673; Lackner, Karl, NSTZ (Neue Zeitschrift für Strafrecht) 1981, 348.*

ისე ქართულ ლიტერატურაში,⁴⁵ როდესაც მოტივი ქმედების კვალიფიცირებული შემადგენლობის ნიშანია, იგი ბრალის ხარისხს განსაზღვრავს, როგორც პერსონალური ნიშანი, ხოლო მეორე მოსაზრებით, ქმედების სოციალური საშიშროების,⁴⁶ უმართლობის ხარისხსაც⁴⁷. მოტივის მიხედვით უმართლობის მოცულობის განსაზღვრის შესაძლებლობაზე მიუთითებენ გერმანელი ავტორებიც.⁴⁸ ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ თუ მოტივს შეუძლია ქმედების უმართლობის დაფუძნება, რატომ არ უნდა შეეძლოს სოციალური საშიშროების ხარისხის განსაზღვრა?

როდესაც დანაშაულის ამსრულებელი მოქმედებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მოტივით, ამსრულებლის ქმედება შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირდება, მაგრამ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა აღნიშნული ნიშანი მხოლოდ თანამონაწილის მხარეს არის? მაგალითად, თუ მკვლელობაში თანამონაწილე (დამხმარე) მონაწილეობს ანგარების მოტივით, ხოლო ამსრულებელი მოქმედებს ანგარების გარეშე, შურისძიების

მოტივით, ამსრულებლის ქმედება 108-ე მუხლით დაკვალიფიცირდება, მაგრამ თანამონაწილის ქმედებაც იმავე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ 109-ე მუხლით, როგორც ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობა?

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მაშინ, როცა ანგარების მოტივი მხოლოდ თანამონაწილის მხარესაა და არა ამსრულებლის, თანამონაწილის ქმედება ამსრულებლის ქმედებასთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც ქმედების ძირითად შემადგენლობას ითვალისწინებს. მკვლელობის შემთხვევაში ეს იქნება 108-ე მუხლი. ავტორის თვალსაზრისით, ქმედების ასეთი კვალიფიკაციის მიზეზი, თანამონაწილის ქმედება რომ 108-ე მუხლით კვალიფიცირდება და არა 109-ე მუხლით, არის ის, რომ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები იწერება ამსრულებლისთვის და არა თანამონაწილისთვის. შესაბამისად, 109-ე მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების ადრესატია არა თანამონაწილე, არამედ ამსრულებელი. თანამონაწილის ქმედება 109-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მაშინ, როცა აღნიშნული მუხლით კვალიფიცირდება ამსრულებლის ქმედება, თუ თანამონაწილის მხარესაც არის ანალოგიური მოტივი.⁴⁹ ავტორი საკითხის ასეთ გადაწყვეტას ასაბუთებს თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებით.⁵⁰

ზემოაღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. მართალია, სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები გაანგარიშებულია ამსრულებელზე და არა თანამონაწილეზე, მაგრამ ეს ეხება ქმედების ძირითად შემადგენლობას და არა სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებულ იმ შემადგენლობებს, სადაც მაკვალიფიცირებელი გარემოება პერსონალური ხასიათისაა. თუ ჩვენ მოვიტხოვთ თანამონაწილისთვის სუბიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი გარემოების შესარაცხად იმას, რომ იგივე ნიშანი

⁴⁵ *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, 2011, გვ. 346; *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013, გვ. 284; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 340; *ნაჭყებია, გურამ*, ნიგნზი: *ნაჭყებია, გურამ/დვალაძე, ირაკლი* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2007, გვ. 232; *მჭედლოშვილი-ჭედრიძი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, 2014, გვ. 92; *დვალაძე, ირაკლი*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 79; *თოდუა, ნონა*, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 24.

⁴⁶ *ვაჩიშვილი, ალექსანდრე*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, 1957, გვ. 13, 20-21; *ნაჭყებია, გურამ*, ნიგნზი: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 248.

⁴⁷ *დვალაძე, ირაკლი*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 73.

⁴⁸ *Paeffgen, Hans-Ullrich*, Einmal mehr – Habgier und niedrige Beweggründe, GA 1982, გვ. 255; *Jakobs, Günther*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Part 1, 2. Auflage, 1991, გვ. 309, Abschn. 8, Rn. 94.

⁴⁹ *თოდუა, ნონა*, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 34.

⁵⁰ *თოდუა, ნონა*, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 36-37.

ამსრულებელსაც შეერაცხოს, ამით უარყოფთ აღნიშნული ნიშნის პერსონალურ ხასიათს, რაც ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებათა პერსონალური ხასიათის უარყოფის მომასწავებელია. სუბიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი ნიშნები ობიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი ნიშნებისგან იმით განსხვავდებიან, რომ პერსონალური ხასიათი გააჩნიათ.

ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებათა პერსონალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დანაშაულში მონაწილე თითოეულ პირს ინდივიდუალურად შეერაცხება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ამსრულებლის მხარეს. აღნიშნულთან დაკავშირებით არც ის უნდა იყოს გადამწყვეტი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სუბიექტური გარემოება აისახება სასჯელის ზომაზე, თუ ქმედების კვალიფიკაციაზეც. შესაბამისად, წამქეზებელი (თანამონაწილე) დაისჯება ანგარების მოტივით მკვლელობისთვის მაშინაც, როცა ამსრულებელი მოქმედებს ანგარების მოტივის გარეშე.⁵¹

თანამონაწილეობა აქცესორული ხასიათისაა, მაგრამ თანამონაწილეობის აქცესორურობა არ მოითხოვს ამსრულებლის და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციას ერთი და იმავე მუხლებით. აქცესორურობის რეგულირება მაშინ მოქმედებს მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან მიმართებით და თანამონაწილისთვის დამამძიმებელი გარემოების შესარაცხად ამსრულებლის იმავე მაკვალიფიცირებელი გარემოებისთვის დასჯა მაშინ მიიჩნევა აუცილებელ წინაპირობად, როცა საქმე ეხება არა მოქმედის პიროვნებასთან, არამედ ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს.⁵² აქცესორული თეორია გულისხმობს ამსრულებლის და თანამონაწილის მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელებას და არა იმას, რომ თანამონაწილისთვის მაკვალიფიცირებელი გარემოების შესარაცხად აუცილებელ

წინაპირობად გამოცხადდეს იმავე ქმედების (სუბიექტური ნიშნით დამძიმებული) შემადგენლობის განხორციელება ამსრულებლის მიერ.

ქართული სსკ-ის 109-ე მუხლით თანამონაწილის დასჯას ანგარების მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის მაშინ შეუშლიდა ხელს ანგარების მოტივის გარეშე ამსრულებლის მოქმედება, თუ ანგარების მოტივით მკვლელობას მივიჩნევდით არა მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, მაკვალიფიცირებელ გარემოებად, არამედ ცალკე აღებულ მკვლელობის ისეთ შემადგენლობად, რომლისთვისაც 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა არ წარმოადგენს ქმედების ძირითად შემადგენლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად გასათვალისწინებელი და არსებითი მნიშვნელობისაა როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოების ბუნება (ხასიათი), ისე 108-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობათა ურთიერთმიმართება.

3. მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება

მოტივი შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის როგორც დამაფუძნებელ ან დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებას. ასეთია სიბრაღის მოტივი მკვლელობის დროს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მსხვერპლის თხოვნით მკვლელობისას (110-ე მუხ.). მართალია საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლი ასეთ მოტივზე არ უთითებს და მხოლოდ კონკრეტულ მიზანს ითვალისწინებს (მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლების მიზანი), მაგრამ აღნიშნული მიზანი გულისხმობს სიბრაღის მოტივით განხორციელებულ ქმედებას. თუ ქმედება განხორციელებულია არა სიბრაღის, არამედ შურისძიების ან ანგარების მოტივით, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლით, ფორმალურად სახეზე რომც იყოს მსხვერპლის თხოვნა მისი სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით.

ისევე როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მოტივი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მოტივიც პერსონალური ხასიათის მატარებელია, რაც იმას გულისხმობს, რომ ის რაც ზემოთ ითქვა თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციას

⁵¹ Eisele, Jörg, Strafrecht, Besonderer Teil I., Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, 3. Auflage, 2014, გვ. 55-56, Rn. 141-142; Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, გვ. 838, 841-842, §26 Rn. 156, 170. ანალოგიური მოსაზრება ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში იხ.: ნაჭყებია, გურამ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010, გვ. 205-206.

⁵² Hilgendorf, Eric, in: Arzt, Gunther/Weber, Ulrich/Heinrich, Bernd/Hilgendorf, Eric, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 2. Auflage, 2009, გვ. 45, §2 Rn. 28.

თან დაკავშირებით, ვრცელდება შემამსუბუქებელ (მაპრივილეგირებელ) მოტივზეც.

მაშინ, როცა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მოტივი სსკ-ის არაერთ მუხლშია გათვალისწინებული, იგივეს ვერ ვიტყვით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ მოტივზე.

4. მოტივი, როგორც გამამართლებელ გარემოებათა სუბიექტური ნიშანი?

როგორც ცნობილია, დანაშაული სამი ნიშნისგან შედგება: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. მართლწინააღმდეგობა დგინდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებათა გამორიცხვით. თუ სახეზეა რომელიმე გამამართლებელი გარემოება, მართლწინააღმდეგობა, შესაბამისად, დანაშაულიც გამოირიცხება. გამამართლებელი ანუ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები მოითხოვენ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გამამართლებელი ნიშნების არსებობას.

გამამართლებელ სუბიექტურ გარემოებებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა. ერთი მოსაზრებით (ნებელობის თეორია – Willenstheorie), ქმედების გასამართლებლად საკმარისი არ არის არც მხოლოდ ობიექტური გარემოებები და არც უბრალო ცოდნა აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით და საჭიროდ მიიჩნევა ნებელობითი ელემენტის არსებობა⁵³ გამონაკლისის სახით. მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობა ეფუძნება ქმედებას, რომელიც ემსახურება სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებით არსებული საფრთხის თავიდან აცილებას.⁵⁴ აუცილებელი მოგერიების დროსაც სამართლებრივი სიკეთის დაცვა უნდა იყოს მოქმედების მოტივი. მომგერიებელი უნდა მოქმედებდეს იმისთვის, რომ დაიცვას სიკეთე ან დაეხმაროს საფ-

რთხეში მყოფს.⁵⁵ აღნიშნულ მოსაზრებას უჭერს მხარს პატივცემული იუბილარიც, თუმცა თვლის, რომ დაცვის მოტივი ქმედების განმაპირობებელ სხვა მოტივებთან მიმართებით თანაბარი რანგის უნდა იყოს,⁵⁶ რაც იმაზეც მიუთითებს, რომ მას დასაშვებად მიაჩნია ქმედების განხორციელება სხვადასხვა მოტივით. ავტორი შესაძლებლად თვლის, მოტივთა სიმრავლის დროს სხვა მოტივები იყოს დომინანტური თავდაცვის მოტივთან მიმართებით, რაც ქმედების გამართლების შესაძლებლობას გამორიცხავს განსახილველი კონცეფციის მიხედვით. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქმედების გამამართლებელ სუბიექტურ ელემენტად მიიჩნევა ის მოტივი, რომელიც მოტივთა კლასიფიკაციაში პატივცემული იუბილარის მიერ *Weil-Motiv*-ად არის დასახელებული, ვინაიდან აუცილებელი მოგერიება არის რეაქცია თავდასხმაზე.⁵⁷ პროფ. ალვარტი მიუთითებს, რომ მხოლოდ კოგნიტური ელემენტის არსებობა, აუცილებელი მოგერიების ცოდნის თვალსაზრისით, არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი უმართლობის გამოსარიცხად. მისი მოსაზრებით, მხოლოდ ხელყოფის თავიდან აცილება ქმედებას ვერ გადააქცევს თავდაცვით ქმედებად. თუ ქმედება დაცვის მოტივით არ არის განხორციელებული, ქმედება ვერ იქნება განხილული რეაქციად თავდასხმაზე, რაც აუცილებელი მოგერიებისთვის, თავდაცვითი ქმედებისთვის აუცილებელ ნიშნად მიაჩნია.⁵⁸ ჰ. ალვარტი აკონკრეტებს, რომ მას აუცილებელი მოგერიების წინაპირობად მიაჩნია დაცვითი მოტივით მოქმედება, მაგრამ არა „*Um-zu-Motiv*“-ის სახით. ასეთი მოტივის მიჩნევა უმართლობის გამომრიცხვის წინაპირობად, იქნებოდა იმაზე მეტის მოთხოვნა, რომ მოქმედმა პირმა რეაგირება მოახდინოს სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ იმნუთიერ ხელყოფაზე.⁵⁹ აღნიშნული

⁵³ *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 51. Auflage, 2021, გვ. 139, Rn. 414; *Krey, Volker/Esner, Robert*, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2011, გვ. 185, Rn. 459.

⁵⁴ *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eiseler, Jörg*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, გვ. 360, §14 Rn. 48; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 1996, გვ. 328-329, §31 IV 1.

⁵⁵ *Heinrich, Bernd*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, გვ. 161-162, Rn. 389.

⁵⁶ *Alwart, Heiner*, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 447.

⁵⁷ *Alwart, Heiner*, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 449.

⁵⁸ *Alwart, Heiner*, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 452.

⁵⁹ *Alwart, Heiner*, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 452.

მოსაზრება საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ აუცილებელი მოგერიება, მართლაც გულისხმობს იმნუთიერი ხელყოფისგან სამართლებრივი სიკეთის დაცვას, რაც არ გამოორიცხავს მომავალში ხელყოფას და საფრთხის შექმნას იმავე სიკეთისთვის და იმავე ხელყოფისგან. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სამართლებრივი სიკეთისთვის იმნუთიერი საფრთხის არსებობა აუცილებელი მოგერიების აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, დაცვითი ქმედებაც ორიენტირებული უნდა იყოს იმნუთიერი (და არა სამომავლო) საფრთხის პრევენციასზე.

ჰ. ალვარტის შეხედულება, როგორც თვითონ მიუთითებს, იკავებს შუალედურ ადგილს იმ კონცეფციებს შორის, რომელიც საკმარისად მიიჩნევს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის მხოლოდ ცოდნას ან მოითხოვს დაცვით შინაგან ტენდენციას (*Abwehrintention*). არც გამამართლებელი გარემოების არსებობის ცოდნა მიაჩნია საკმარისად და ამასთან ერთად მოითხოვს განსაზღვრული დაცვითი შინაგანი ტენდენციით მოქმედებას.⁶⁰

ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული წარმოდგენა, ავტორის თვალსაზრისით, თავდაცვით მოტივთან მიმართებით არანაირ როლს არ ასრულებს. თავდაცვის მოტივი არის დამოუკიდებელი იმისგან, არის თუ არა რეალობის შესაბამისი მოქმედი პირის წარმოდგენა.⁶¹ აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია იმდენად, რამდენადაც თავდაცვის მოტივით ადამიანი შეიძლება მაშინაც მოქმედებდეს, როცა მოქმედი პირი ცდება და ჰგონია, რომ თავს ესხმიან ანუ როცა თავის დაცვის საფუძველი არც არსებობს. ასეთ მდგომარეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოჩვენებითი აუცილებელი მოგერიების დროს.

ჰ. ალვარტი მსჯელობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა სახეზეა გამამართლებელი ობიექტური გარემოებები თავდაცვითი მოტივის და გამამართლებელი სუბიექტური ნიშნების გარეშე და მიდის დასკვნამდე, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკ-

ვალიფიცირდეს არა დანაშაულის მცდელობად,⁶² არამედ დამთავრებულ დანაშაულად, რის მიზეზად ასახელებს იმას, რომ უმართლობის გამორიცხვა და უმართლობის დაფუძნება ემყარება განსხვავებული სტრუქტურის მასალას.⁶³

ნებელობის თეორიის წარმომადგენლები მიუთითებენ იმაზე, რომ ქმედების უმართლობა ეფუძნება გასაკიცხ სუბიექტურ მომენტებს, რომლის კომპენსირებისა და ქმედების გამართლებისთვის საკმარის სუბიექტურ მომენტს შეიძლება არ წარმოადგენდეს გამამართლებელ ობიექტურ გარემოებათა უბრალოდ ცოდნა და შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევა (სამართლებრივი სიკეთის) დაცვის მოტივაცია.⁶⁴

თუმცა, სუბიექტურ გამამართლებელ გარემოებათა საჭიროებასთან დაკავშირებით არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულება, რომ შესაბამისი მოტივი შეიძლება ძნელად დასადგენი იყოს, რაც შეფასების თვალსაზრისით პრობლემურად მიაჩ-

⁶² გამამართლებელი ობიექტური ნიშნების არსებობისას, გამამართლებელი სუბიექტური ნიშნების გარეშე განხორციელებული ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციას მხარს უჭერს ავტორთა ერთი ნაწილი, იხ.: *Jeschek, Hans-Heinrich/Weigend, Thomas, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 1996, 5. Auflage, 1996, გვ. 330, §31 IV; Kühl, Kristian, Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, 2017, გვ. 130-131, §6 Rn. 16; Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 644, §14 Rn. 104; Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, გვ. 402, §15 Rn. 48; Hoffmann-Holland, Klaus, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2015, გვ. 99, Rn. 274; Joecks, Wolfgang, Strafgesetzbuch, Studienkommentar, 10. Auflage, 2012, გვ. 152, §32 Rn. 12-14; Rengier, Rudolf, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2011, გვ. 138, §17 Rn. 18; Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut, Strafrecht, Allgemeiner Teil, 51. Auflage, 2021, გვ. 139-140, Rn. 415; Krey, Volker/Esser, Robert, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2011, გვ. 188, Rn. 468-469; Ebert, Udo, Strafrecht, AT, 3. Auflage, 2001, გვ. 158-159; მჭედლიშვილი-ჭედრიანი, ქეთევანი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 36; დვალიძე, ირაკლი, აუცილებელი მოგერიება და „უვარგისი ობიექტი“, წიგნში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, 2013, გვ. 250.*

⁶³ *Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 454-455.*

⁶⁴ *Rengier, Rudolf, Strafrecht, Allgemeiner Teil, 13. Auflage, 2021, გვ. 177-178, §18 Rn. 108.*

recht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 453.

⁶⁰ *Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 453.*

⁶¹ *Alwart, Heiner, Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, 454.*

ნიათ ე. წ. „მოტივთა სიმრავლის“ დროს. ამასთან ერთად მიუთითებენ, რომ თუ მოტივი იქნა აუცილებელ გამამართლებელ სუბიექტურ ნიშნად მიჩნეული, მოსამართლეს მოუწევს კვლევის ჩატარება მოტივთან დაკავშირებით.⁶⁵

სხვა შეხედულების მიხედვით, მოტივს არ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ქმედების გამართლებისთვის. ობიექტური თეორიის მიხედვით, ქმედების გამართლებისთვის სუბიექტური ელემენტის არსებობა არ არის საჭირო.⁶⁶ აღნიშნული თეორიის თანახმად, ქმედების გასამართლებლად საკმარისად მიიჩნეოდა აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის არსებობა. თუმცა, აღნიშნულ მოსაზრებას დღეს არ იზიარებენ, ვინაიდან აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება, გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის, მართლწინააღმდეგობის დასაცავად განხორციელებულ ქმედებას, მაგრამ სამართლებრივი სიკეთის დაცვა მას შეუძლია, ვინც იცის, რომ ის საფრთხეშია.⁶⁷ ამიტომ სუბიექტური გამამართლებელი ელემენტის არსებობა საჭიროა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ყველა გარემოებისთვის, რაზეც მეტყველებს სსკ-ის შესაბამისი ნორმებიც, რომლებიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს ითვალისწინებენ და კონსტრუირებულია როგორც ფინალური წინადადება, რაც გულისხმობს შესაბამისი სუბიექტური ნიშნით მოქმედებას. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 28-ე (აუცილებელი მოგერიება) და 30-ე (უკიდურესი აუცილებლობა) მუხლებში⁶⁸ საუბარია სამართლებრივი სიკეთის დასაცავად მოქმედებაზე. თითქმის ანალოგიურად (და არა იდენტურად) არის ფორმულირებული გერმანული სსკ-ის 32-ე და 34-ე პარაგრაფები (მიზანზე ორიენტირებული, ფინალური წინადადების სახით). თუმცა, საკამათოა სუბიექტური ელემენტების არსებობის მოთხოვნა რა ფარგლებში ვრცელდება.

⁶⁵ *Heinrich, Bernd*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2019, გვ. 162, Rn. 389.

⁶⁶ *Gropp, Walter*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 4. Auflage, 2015, გვ. 207, §5 Rn. 175; *Spendel, Günter*, in: *Festschrift für Paul Bockelmann zum 70. Geburtstag*, 1979, 245-260.

⁶⁷ *Heinrich, Bernd*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2019, გვ. 160, Rn. 387.

⁶⁸ სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლი კი პირდაპირ მიუთითებს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნით მოქმედების აუცილებლობაზე.

ცოდნის თეორიის (*Kenntnistheorie*) მიხედვით, საჭიროდ, მაგრამ საკმარისად მიიჩნევა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობის ცოდნა. მოქმედმა პირმა უნდა იცოდეს, რომ განხორციელებული ქმედება ემსახურება თავდასხმისგან დაცვას (მოგერიების, თავდაცვის განზრახვა).⁶⁹ აღნიშნული თეორიის მიხედვითაც, აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ქმედების მოტივის დადგენა არ არის აუცილებელი, ვინაიდან ეს შეიძლება გარკვეულ სირთულესთანაც იყოს დაკავშირებული მტკიცების და დადგენის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი მოგერიების, თუ სხვა გამამართლებელი გარემოებების შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მოქმედი პირის მოტივი სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი დადგენა არ უნდა იქნას მიჩნეული ქმედების გამართლების აუცილებელ წინაპირობად, თუმცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოტივი რთული დასადგენია, არამედ იმის გამოც, რომ ცალკეულ შემთხვევაში საფრთხეში მყოფი პირის გადარჩენა და აუცილებელი დახმარება შეიძლება წარმოადგენდეს ერთგვარ საშუალებას სხვა მიზნის (მაგალითად, მატერიალური გამორჩენის) მისაღწევად, რაც კითხვის ქვეშ აყენებს იმასაც, არის თუ არა ქმედება განხორციელებული სამართლებრივი სიკეთის დაცვის კეთილშობილური მოტივით. მოცემულ შემთხვევაში საფრთხეში მყოფი პირის გადარჩენა არის არა საბოლოო მიზანი, არამედ საშუალება სხვა მიზნის მისაღწევად. მაგალითად, საფრთხეში მყოფ პირს აუცილებელი დახმარება შეიძლება აღმოუჩინოს მოქმედმა პირმა არა იმიტომ, რომ საფრთხეში მყოფი პირის დაცვის, გადარჩენის მოტივი ამოძრავებდა, არამედ იმიტომ, რომ ასე ეძია შური საფრთხეში მყოფ პირზე თავდამსხმელის მიმართ. აუცილებელი დახმარება შეიძლება ასევე განხორციელდეს არა დაცვის მოტივით, არამედ იმის გამო, რომ საფრთხეში მყოფი პირისგან მატერიალურ გამორჩენას მიიღებდა (ან გარეობის მოტივი).⁷⁰

რაც მეტად მნიშვნელოვანია, სსკ-ის 28-ე და 30-ე მუხლები ფინალურ მოქმედებაზე მიუთითე-

⁶⁹ *Kühl, Kristian*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 8. Auflage, 2017, გვ. 184, §7 Rn. 128.

⁷⁰ *შავგულიძე, თამაზ/ურგულაძე, ლამარა*, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1988, გვ. 104.

ბენ, მაგრამ კონკრეტულად არ განსაზღვრავს, ქმედება თუ რა მოტივით უნდა იყოს განხორციელებული ან აქვს თუ არა მოტივის მნიშვნელობა ქმედების გასამართლებლად. ფინალური წინადადება გულისხმობს მიზნით დეტერმინირებულ ქმედებას, თუმცა, სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით მოქმედება არ გამოორიცხავს გასაკიცხი მოტივით მოქმედებას. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა საშუალებაა სხვა მიზნის მიღწევისთვის.⁷¹

პირი შეიძლება მოქმედებდეს გამამართლებელი ობიექტური მდგომარეობის ცოდნით, მაგრამ არ არის გამოორიცხული, რომ თავდასხმის საპასუხო მოქმედება იყოს განპირობებული არა დაცვითი მიზნით, არამედ მოტივირებული იყოს სიბრაზით და წყრომით (Zorn), რაც არ გამოორიცხავს ქმედების გამართლების შესაძლებლობას. ქმედების გამართლება შესაძლებელია აგრეთვე მაშინ, როცა თავდამსხმელის დაზიანება ხდება მისი დასჯის მიზნით. ქმედების გამართლება არ გამოორიცხება მაშინაც, როცა დაზარალებულის შემთხვევის ადგილიდან საავადმყოფოში გადაყვანა მოტივირებულია არა მსხვერპლის გადარჩენით, არამედ იმით, რომ მოქმედმა პირმა თავი დააღწიოს სამართალდამცავების მიერ დაკავებას და მოსალოდნელ სასჯელს.⁷²

დაუხმარებლობის შემადგენლობა (ქართული სსკ-ის 129-ე მუხლი და გერმანული სსკ-ის 323C-ე პარაგრაფი) მოითხოვს დახმარების აღმოჩენას უკიდურეს მდგომარეობაში, განსაცდელში მყოფი პირისთვის, რომელიც ასეთ მდგომარეობაში შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის შედეგად, მაგრამ მსხვერპლისთვის დახმარების აღმოჩენა თავდამსხმელის მიმართ საპასუხო მოქმე-

დების განხორციელებით, არ შეიძლება დასჯადად გამოცხადდეს იმის გამო, რომ ქმედება (დახმარების აღმოჩენა) არ იყო მოტივირებული მსხვერპლის დაცვით.⁷³

VI. მოტივი, როგორც სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი გარემოება

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომელთა შორის ერთ-ერთია დანაშაულის მოტივი. ამით კანონმდებელმა გამოხატა პოზიცია, რომ დანაშაულის მოტივს შეუძლია სასჯელის როგორც შემსუბუქება, ისე დამძიმება. მოტივი როგორც სასჯელის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება მაშინ მიიღება მხედველობაში, როცა ის ქმედების შემადგენლობის ნიშნად არ არის გათვალისწინებული იმ მუხლით, რომლითაც ქმედება დანაშაულად კვალიფიცირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ორჯერ შეფასების აკრძალვის (Das Verbot der Doppelverwertung) პრინციპი.⁷⁴

მოტივზე, როგორც სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ შემამსუბუქებელ გარემოებაზე მითითებას ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც. კერძოდ, სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად გათვალისწინებულ იქნა ის, რომ ნარკოტიკული საშუალების შექმნა მოხდა პირადი მოხმარების მოტივით.⁷⁵

2017 წლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად საქართველოს სსკ-ს დამატა 53¹-ე მუხლი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით, სადაც დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელი-

⁷¹ გასათვალისწინებელია ის, რომ უკიდურესი აუცილებლობის პარაგრაფში მოცემული წინადადების ფინალურ კონსტრუქციას *როქსინი* უარყოფს და აღნიშნავს, რომ ის გამოხატავს ობიექტური დაცვითი ქმედების ხასიათს, თვისებას და არა მოქმედი პირის მიზანს. როქსინი მიუთითებს აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც სამოქალაქო სამართლებრივ გამამართლებელ გარემოებასაც უწოდებენ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს და სადაც არსებითი მნიშვნელობისაა ხელყოფილ და დაცულ სიკეთეთა თანაფარდობის საკითხი (ობიექტური მომენტი), ის, რომ გადარჩენილი სიკეთე ხელყოფილს მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს. *Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 642, §14 Rn. 100.*

⁷² *Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 641, §14 Rn. 97.*

⁷³ *Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 642, §14 Rn. 99.*

⁷⁴ *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 1996, 5. Auflage, 1996, გვ. 901, §83 VII.*

⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეზე, 2005, N4, გვ. 234; 249; 262.

გის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“.⁷⁶ თუ სახეზეა აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება დანაშაულის ჩადენის დროს, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას (53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილი). აღნიშნული წესი არ მოქმედებს, როცა მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დამნაშავესთვის ხდება კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა ან სასჯელის პირობით დანიშვნისას, აგრეთვე მაშინ, როცა აღნიშნული გარემოება დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად არის გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით (53¹-ე მუხლის მე-4 ნაწილი). საკითხის გადაწყვეტა ანალოგიურად უნდა მოხდეს მაშინაც, როცა შეუწყნარებლობის მოტივი წარმოადგენს დანაშაულის არა მაკვალიფიცირებელ გარემოებას, არამედ ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნიშანს. ამ მხრივ აღსანიშნავია მაგალითად, სსკ-ის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), 142¹-ე (რასობრივი დისკრიმინაცია) და 407-ე (გენოციდი) მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები.

დანაშაულის განხორციელებისას მოტივი მისი ეთიკური ღირებულების მიხედვით უნდა შეფასდეს და გასაკიცხი და არაგასაკიცხი მოტივები უნდა გაიმიჯნოს. გასაკიცხი მოტივი სასჯელს ამძიმებს. გასაკიცხაობის ზომა სასჯელის დამძიმების ზომას განსაზღვრავს. სასჯელის შეფარდების დროს მოტივის არა მხოლოდ ღირებულება, აგრეთვე სიძლიერეც არის გასათვალისწინებელი. წმინდა ეგონის-

ტური მოტივები სასჯელის დამძიმებას იწვევს. მაგალითად, ანგარება.⁷⁷

სასჯელის დამძიმება შესაძლებელია აგრეთვე მაშინაც, როცა დანაშაულის ჩადენას საფუძველად უდევს შემდეგი მოტივები: პატივმოყვარეობა, შრომის მოძულეობა, მფლანგველობა, გართობისადმი მიდრეკილება.⁷⁸

სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში სასჯელის დამამძიმებელ მოტივად მიიჩნევა აგრეთვე რასობრივი შეუწყნარებლობა (სიძულვილი რასის მიმართ/Rassenhass) და სხვა ისეთი მოტივები, რომელიც მსხვერპლის დამცირებისკენ არის მიმართული. აღნიშნული ვრცელდება ყველა იმ შემთხვევაზე, როცა დანაშაული მიმართულია პიროვნული სიკეთის წინააღმდეგ, ხოლო მსხვერპლი, როგორც სამიზნე ობიექტი, არჩეულია მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, რომელიც დამნაშავეს სძულს. დასახელებული მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის გენერალურად გამკაცრება პოზიტიური გენერალური პრევენციის თვალსაზრისით შეიძლება შემდეგნაირად დასაბუთდეს: მკაცრმა სასჯელმა განსაზღვრული ადამიანური ღირებულებების მნიშვნელობა უნდა აჩვენოს. როცა დანაშაული დაკავშირებულია მკაფიოდ ან კონკლიუდენტურად გამოხატულ სიძულვილთან, იგი სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ მსგავს დანაშაულებზე მეტ უმართლობას შეიცავს. გარდა ამისა, ჯგუფისადმი კუთვნილების გამო სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს მსხვერპლისთვისაც სხვა მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დამნაშავეს ქცევა მიუთითებს მსხვერპლის განსაზღვრული უფლებების უარყოფაზე სწორედ ჯგუფისადმი კუთვნილების გამო. მსხვერპლისთვის სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იგივე სახის ქმედებას ამ მოტივის გარეშე, ვინაიდან სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული არის როგორც საშიში, ისე დამამცირებელიც.⁷⁹

მოტივის საფუძველზე სოციალურ-ეთიკური უმართლობის გაზრდა ხდება იმ შემთხვევაში, რო-

⁷⁶ დისკრიმინაციული ნიშნით, სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევასთან დაკავშირებით იხ.: *ვასმერი, მარტინ პაულ*, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები გერმანულ სისხლის სამართალში, წიგნში: *ჯიშკარიანი, ბაჩანა/ვასმერი, მარტინ პაულ* (რედ.), სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, 2019, გვ. 78-97; *ჯალაღანია, ლიკა*, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფცია და მისი რეგულირების მექანიზმები, წიგნში: *ჯიშკარიანი, ბაჩანა/ვასმერი, მარტინ პაულ* (რედ.), სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, 2019, გვ. 98-113.

⁷⁷ *Bruns, Hans-Jürgen*, Recht der Strafzumessung, 1985, გვ. 211.

⁷⁸ *Gribbom, Günter*, in: Leipziger Kommentar, 2. Band, 11. Auflage, 2003, §46 Rn. 76.

⁷⁹ *Hörnle, Tatjana*, Tatproportionale Strafzumessung, 1999, გვ. 272-273.

მელშიც გარკვეული შეფასებითი კომპონენტები მონაწილეობს და მოტივი მხოლოდ განსაკუთრებულ უპატივცემულობას გამოხატავს.⁸⁰

რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც მას ბრალის დამამძიმებელ ნიშნად მიიჩნევს. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ის ვინც რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადის მკვლელობას, მაღალი ხარისხის ბრალით იმითომ მოქმედებს, რომ პრაქტიკულად, განსაზღვრული ჯგუფის სიცოცხლის უფლების უარყოფა ხდება.⁸¹ თუმცა, გარკვეული ჯგუფის სიცოცხლის უფლების უარყოფა ბრალის ხარისხს ზრდის, თუ უმართლობის სიმძიმესაც, საკამათოა.

რასობრივი და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი რომ სასჯელს უნდა ზრდიდეს, ამაზე მიუთითებს ქართული სსკ-ც, რომლის 109-ე მუხლით იგი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული. აღნიშნული მუხლით მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი, თუ იგი განხორციელდა რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ან ეროვნული შეუწყნარებლობის გამო.

შეხედულება, რომელიც რასობრივი ან სხვაგვარი შეუწყნარებლობის მოტივით მოქმედებას უმართლობის დამამძიმებელ გარემოებად განხილვის შესაძლებლობას უშვებს, შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, ვინაიდან როგორც უკვე ითქვა, რასობრივი სიძულვილის მოტივით მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანების დროს მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა კი არ ხდება, არამედ კონკრეტული ჯგუფის წევრთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლების უარყოფაც. მართალია, ერთი ადამიანის მკვლელობა საზოგადოებასაც საფრთხეს უქმნის, მაგრამ საფრთხის ხარისხი უფრო მაღალია იმ ჯგუფისთვის, რომლის წევრიც იქნა მოკლული, რაც მათი სიცოცხლის უფლების უარყოფიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, ქმედების საშიშროების (ობიექტური ნიშნის) ხარისხის განსაზღვრა შესაძლოა დამნაშავეის მოტივიდან (სუბიექტური ნიშნიდან) გამომდინარე. მოცემული მსჯელობა იმის თქმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მოტივს შეუძლია უმართლობის რო-

გორც დაფუძნება, ისე მისი ხარისხის განსაზღვრაც. როდესაც რასობრივი სიძულვილის მოტივით დანაშაული თანამონაწილეობით ხორციელდება, აღნიშნული მოტივი თანამონაწილესაც უნდა შეერაცხოს, მაგრამ ამის წინაპირობას წარმოადგენს თანამონაწილის მიერ ქმედების განხორციელება ამავე მოტივით ან მის მიერ იმის გაცნობიერება, რომ იგი მონაწილეობდა რასობრივი სიძულვილის მოტივით განხორციელებულ დანაშაულში. თუ რასობრივი სიძულვილის მოტივით მკვლელობა, შესაბამისი ჯგუფის წევრთა სიცოცხლის უარყოფასაც ნიშნავს, თანამონაწილეს უარყოფს ჯგუფის არსებობის უფლებას დანაშაულში მონაწილეობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამონაწილე ამსრულებელთან ერთად მონაწილეობს ისეთ მკვლელობაში, რომლის საშიშროების, შესაბამისად, უმართლობის, ხარისხი მეტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ როცა ადამიანი კონკრეტული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივითაა მოკლული, არსებობს იმის საფრთხე, რომ დამნაშავემ იგივე მოტივით იგივე ჯგუფის სხვა წევრიც მომავალში მოკლას, რაც ქმედების საშიშროებაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ბრალის ხარისხზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ მოტივს შეუძლია ბრალის ხარისხის განსაზღვრა. მოტივმა არა მხოლოდ უმართლობის, არამედ ბრალის ხარისხიც შეიძლება დაამძიმოს, მაგრამ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე მოტივის როგორც უმართლობის, ისე ბრალის დამამძიმებელ გარემოებად განხილვა პრობლემატურია ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე.

VII. დასკვნა

მოტივზე და სისხლის სამართალში მის მნიშვნელობაზე დასკვნის სახით შეიძლება შემდეგი ითქვას: მოტივი მეტად მნიშვნელოვანი სუბიექტური ნიშანია, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე, ქმედების მართლწინააღმდეგობის თუ მართლზომიერების დასაბუთებაზე, ისე ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების მოცულობაზე ან ბრალის ხარისხზე, შესაბამისად, სასჯელის ზომაზე. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თვალსაზრისით მოტივი მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა ის სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით არის გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნად,

⁸⁰ Paeffgen, Hans-Ulrich, Einmal mehr – Habgier und niedrige Beweggründe, GA 1982, 269.

⁸¹ Köhler, Michael, Zur Abgrenzung des Mordes. Erörtert am Mordmerkmal „Verdeckungsabsicht“, GA 1980, 138.

მიუხედავად იმისა, საქმე ეხება ქმედების ძირითად, კვალიფიციურ თუ პრივილეგიურ შემადგენლობას. როდესაც მოტივი ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნიშანია, იგი ობიექტურ ხასიათს იძენს და უმართლობის დამაფუძნებელ გარემოებად გვევლინება, რაც იმას გულისხმობს, რომ თანამონაწილის ქმედების შესაბამისი მუხლით დასაკვალიფიცირებლად საჭირო არ არის თანამონაწილეს იმავე მოტივით მოქმედებდეს, რა მოტივითაც მოქმედებდა ამსრულებელი. საკმარისია თანამონაწილეს ამსრულებლის მოტივი გაცნობიერებული ჰქონდეს. ხოლო როცა მოტივი ქმედების მაკვალიფიცირებელი (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი) გარემოებაა, ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, შეუწყნარებლობის მოტივი) შეიძლება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების, უმართლობის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებად ვცნოთ, ხოლო სხვა შემთხვევებში პერსონალურ ხასიათს ატარებს და შეერაცხება იმას, ვის ქმედებასაც უდევს იგი საფუძვლად. შეიძლება ასეთი მოტივი იყოს ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს. თუ მხოლოდ თანამონაწილე მოქმედებდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი მოტივით, თანამონაწილის ქმედება შესაბამისი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს (მაგალითად, ანგარებისას 109-ე მუხ.) და ამას ხელი არ უნდა შეუშალოს იმან, რომ ამსრულებელიც იგივე მოტივით არ მოქმედებდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა გამომდინარეობს აღნიშნული მაკვალიფიცირებელი მოტივის პერსონალური ხასიათიდან.

სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები ამსრულებელზეა გაანგარიშებული, მაგრამ ეს ეხება ქმედების ძირითად და ობიექტურ ნიშნით კვალიფიცირებულ შემადგენლობებს. სუბიექტური მაკვალიფიცირებელი გარემოება კი თანამონაწილეს შეიძლება შეერაცხოს ისეთ პირობებში, როცა ამსრულებელს ქმედების მხოლოდ ძირითადი შემადგენლობა აქვს განხორციელებული, რაც თანამონაწილეობის აქცესორულობას არ ეწინააღმდეგება, რომელიც გულისხმობს ამსრულებლის და თანამონაწილის მონაწილეობას ობიექტური ხასიათის ერთ უმართლობაში.

მოტივი პერსონალური ხასიათის ნიშანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მაშინ, როცა ის კვალიფიცირებული შემადგენლობითაა გათვალისწინებული, არამედ მაშინაც, როცა ის განიხილება სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ პასუ-

ხისმგებლობის დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებად.

რაც შეეხება მოტივს, როგორც მაპრივილეგირებელ გარემოებას, ასეთი მოტივი ქართული სსკ-ის კერძო ნაწილის არცერთ მუხლში არ არის პირდაპირ მითითებული და იგი მხოლოდ იგულისხმება, რომელიც სახეზე უნდა იყოს შესაბამის მიზანთან ერთად (მაგალითად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, რომელიც გულისხმობს მოქმედებას სიბრალულის მოტივით).

სუბიექტურ ნიშნებს, ობიექტურთან ერთად, აქვს არსებითი მნიშვნელობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ (გამამართლებელ) გარემოებებთან მიმართებით. თუმცა, მოცემულ სტატიაში წარმოდგენილი პოზიციით, რომელიც განსხვავდება პატივცემული იუბილარის პოზიციისგან, ეს არ ეხება მოტივს. მაშინ, როცა აუცილებელ მოგერიებასთან თუ უკიდურეს აუცილებლობასთან (ან სხვა გამამართლებელ გარემოებებთან) მიმართებით მოქმედი პირის მიზანი და განზრახვა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, მოტივზე რთულია იგივე ითქვას. შეიძლება მომგერიებელი მოქმედებდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის მოტივით, მაგრამ არ არის გამორიცხული შემთხვევებიც, როცა ადამიანის გადარჩენა არის არა საბოლოო მიზანი, არამედ მხოლოდ საშუალება სხვა მიზნის მისაღწევად. მაგალითად, როგორცაა მატერიალური გამორჩენის მიღება. ასეთ დროს ქმედება ანგარების მოტივითაა განხორციელებული, რაც არ გამორიცხავს აუცილებელ მოგერიებას, შესაბამისად, ქმედების გამართლებას. როდესაც ადგილი აქვს აუცილებელ დახმარებას (სხვისი დაცვა), არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ რა მოტივით ხდება თავდამსხმელის განეიტრალება: იმის გამო, რომ მომგერიებელს საფრთხეში მყოფის დაცვის მოტივი ამოძრავებს, თუ იმიტომ, რომ დასაცავი (საფრთხეში მყოფი) პირისგან მოელოდა მატერიალურ სარგებელს.